

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე საქმეებზე

2008, # 9

მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ე ბ ე ბ ი

1. მტკიცებულებათა დასაშვებობა
2. ნივთმტკიცების საკითხის გადაწყვეტა
 - განაჩენის შეცვლა ნივთმტკიცების საკითხის ნაწილში
 - ნივთმტკიცების მესაკუთრისათვის გადაცემა
 - ნივთმტკიცების საპროცესო დამაგრება
 - საგნის ნივთმტკიცებად ცნობა
3. განზრახ მკვლელობა (მცდელობა)
 - განზრახ მკვლელობა
 - განზრახ მკვლელობის მცდელობა
4. გაუპატიურება
5. დევნა
6. ქურდობა
7. ძარცვა

1. მტკიცებულებათა დასაშვებობა

განჩინება

#2107-აპ

15 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშარელი (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. ც-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატების - მ. ჭ-შვილისა და ლ. ა-ურის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 30 მარტის განაჩენით:

კ. ც-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

ვ. ჯ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენით მსჯავრდებულების: კ. ც-ძისა და ვ. ჯ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

კ. ც-ძემ და ვ. ჯ-შვილმა გამოძიებით დაუდგინებლად დროს, დაუდგინებელი პირისაგან, გამოძიებით დაუდგინებლად ვითარებაში, უკანონოდ შეიძინეს ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რასაც უკანონოდ ინახავდნენ. მათ წინასწარი შეთანხმებით განიზრახეს, უკანონოდ შენახული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ გაესაღებინათ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის #5 საპრობილის #101 საკანში მონთავსებულ გ. ჯ-შვილზე.

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, კ. ც-ძე 2006 წლის 10 ნოემბერს, დაახლოებით 11.00 საათზე, მივიდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #5 საპრობილის საამანათო განყოფილებაში, სადაც ვ. ჯ-შვილთან შეთანხმებით, წარადგინა ამანათი და წერილობითი განცხადებით მიმართა საპრობილის ადმინისტრაციას, რომ ამანათი, რომელშიც რაიმე კანონსაწინააღმდეგო, აკრძალული ნივთები, მათ შორის - ნარკოტიკული საშუალებები, ფსიქოტროპული და ძლიერმოქმედი ნივთიერებები არ ინახებოდა და გაფრთხილებული იყო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ, გადაეცათ ამავე დაწესებულებაში მოთავსებულ პატიმარ გ. ჯ-შვილისათვის.

კ. ც-ძის ამანათის შემოწმებისას აღმოჩინეს საეჭვო სითხით გაჟღენთილი ბალიშის პირი, რაც კონტროლიორ მ. კ-შვილისაგან ამოღებულ იქნა და ადგილზევე დაილუქა იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ბეჭდით.

სასამართლო ქიმიური ექსპერტიზის 2006 წლის 10 ნოემბრის #1539/სქ დასკვნის თანახმად, კ. ც-ძის მიერ წარმოდგენილ ამანათში აღმოჩენილი ბალიშის პირი გაჟღენთილი იყო ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველი ხსნარით, რომელშიც კუსტარული წესით მიღებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ წონა შეადგენს 0, 167 გრამს.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ კ. ც-ძის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. ჭ-შვილმა და მსჯავრდებულების - კ. ც-ძისა და ვ. ჯ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. მ-ძემ.

აპელანტი მ. ჭ-შვილი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა განაჩენის გაუქმებასა და კ. ც-ძის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

აპელანტი ი. მ-ძე სააპელაციო საჩივრით ითხოვდა განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ, გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და კ. ც-ძის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას, ხოლო ვ. ჯ-შვილის გათავისუფლებას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

საქმის სააპელაციო წესით განხილვისას მსჯავრდებულმა ვ. ჯ-შვილმა და მისმა ადვოკატმა მოხსნეს სააპელაციო საჩივარი და ითხოვეს მისი განუხილველად დატოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრების მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ კ. ც-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ჭ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და კ. ც-ძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; საქმე განხილულია საპროცესო დარღვევებით; კ. ც-

ძის დანაშაულებრივი ქმედების განზრახვის არათუ უტყუარი, არამედ საერთოდ არანაირი მტკიცებულება არ არსებობს საქმეში.

მსჯავრდებულ კ. ც-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ლ. ა-ური საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და კ. ც-ძის გამართლებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო, იგი ემყარება კანონით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრების მოტივთა საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განაჩენი, სხვა მასალებთან ერთად, მსჯავრდებულ კ. ც-ძის მსჯავრდების ნაწილში ეყრდნობა საქმეში არსებულ შემდეგ მტკიცებულებებს: მოწმეების - მ. კ-შვილისა და ო. ი-იანის ჩვენებებს, ვ. ჯ-შვილის განცხადებას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 484-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მხარეთა შუამდგომლობით ან სასამართლოს ინიციატივით სასამართლოს სხდომაზე საჯაროდ ქვეყნდება წინასწარი გამოძიების დროს საქმისათვის დართული წერილობითი მტკიცებულებები და საგამოძიებო მოქმედების ოქმები. ამასთანავე, ირკვევა საკითხი ამ მტკიცებულებათა მიღების ხერხების, სანდოობის, შესახებობისა და დასაშვებობის თაობაზე. სსსკ-ის 496-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

საქმის ის მასალები, რომლებსაც დაეყრდნო სააპელაციო პალატა გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას, სასამართლო სხდომაზე არ გამოქვეყნებულა და, შესაბამისად, სასამართლო სხდომაზე არ განხილულა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი მოთხოვნის მიხედვით, სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძვლად უნდა დაედოს მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც მხარეთა მონაწილეობითა და კანონით დადგენილი წესების დაცვით გამოკვლეული იყო სასამართლო სხდომაზე.

მოცემულ შემთხვევაში, სწორედ ზემოაღნიშნული ფუნდამენტური პრინციპებია დარღვეული, რაც წარმოადგენს არსებით საპროცესო დარღვევას და რამაც გავლენა იქონია საქმის შედეგზე, სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის კანონიერების თვალსაზრისით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დაშვებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტითა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევა, ხოლო ეს უკანასკნელი წარმოადგენს განაჩენის გაუქმების საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი უკანონოა, იგი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს განჩინებაში მითითებული გარემოებები და მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ოქტომბრის განაჩენი და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მტკიცებულებათა დასაშვებობა

განჩინება

#1435-აპ 18 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),

**დ. სულაქველიძე,
ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ შ. ს-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ა-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განაჩენზე შ. ს-ძის, გ. ჩ-შვილისა და პ. მ-შვილის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

ნინოწმინდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 6 თებერვლის განაჩენით შ. ს-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ 2005 წლის 25 ივლისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტითა და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა სხვისი მოძრავი ნივთის დიდი ოდენობით მითვისება, როდესაც ეს ნივთი იმყოფებოდა მის მართლზომიერ მფლობელობაში; ასევე - ყალბი დოკუმენტის დამზადება და გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ამავე განაჩენით დ. ჩ-შვილი და პ. მ-შვილი ცნობილ იქნენ დამნაშავეებად 2005 წლის 25 ივლისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 220-ე მუხლითა და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინეს ყალბი დოკუმენტის დამზადება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ასევე, ორგანიზაციაში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ, სხვისთვის გამორჩენისა და უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

შ. ს-ძის, დ. ჩ-შვილისა და პ. მ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2003 წლის ნოემბრიდან დ. ჩ-შვილი და პ. მ-შვილი მუშაობდნენ სოციალური ინვესტიციების ფონდის „ა» ზონის ჯგუფში, დ. ჩ-შვილი - აღნიშნული ჯგუფის უფროსად, ხოლო პ. მ-შვილი - თემის განვითარების სპეციალისტად. ისინი აღჭურვილი იყვნენ სოციალური ინვესტიციების ფონდის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით და მათ სამსახურებრივ მოვალეობას წარმოადგენდა „ა» ზონაში (სამცხე-ჯავახეთის ადმინისტრაციული ტერიტორია) სოციალური ინვესტიციების ფონდის ეგიდით მშენებარე ობიექტების სავალდებულო მონიტორინგი.

2004 წლის 14 დეკემბერს ... რაიონის სოფ. ... სათემო კავშირ „ხანჩალის» თავმჯდომარე ე. მ-იანსა და შპს „პირამიდა-98-ის» დირექტორ თ. გ-ძეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება სოფ. ... საშუალო სკოლის აღდგენითი, სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებაზე. ხელშეკრულების თანახმად, სამშენებლო სამუშაოების ჩატარება დაევალა შპს „პირამიდა-98-ს». სამუშაოები უნდა დაწყებულიყო ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და უნდა დასრულებულიყო 2005 წლის 15 მარტს, მაგრამ ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილების შემდეგ მთლიანი სამუშაოების დამთავრების ვადამ გადაიწია 2005 წლის 15 დეკემბრამდე. აღნიშნულ ვადაში უნდა შესრულებულიყო 136780,5 ლარის ღირებულების სამუშაოები.

დ. ჩ-შვილი და პ. მ-შვილი სოფ. ... საშუალო სკოლის აღდგენით სამუშაოზე ახდენდნენ სავალდებულო მონიტორინგს, ისინი რამდენჯერმე პირადად მივიდნენ სოფელში, აკონტროლებდნენ მშენებლობის მიმდინარეობასა და ხარისხს. მათთვის კარგად იყო ცნობილი, რომ მშენებლობა მიმდინარეობდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევით; მიუხედავად ამისა, აღნიშნულზე არანაირი ზომები არ მიუღიათ და არც სამართლებრივი რეაგირება მოუხდენიათ. დ. ჩ-შვილმა და პ. მ-შვილმა სათანადოდ არ ჩაატარეს სავალდებულო მონიტორინგი მშენებლობის მოცულობისა და ხარისხის თაობაზე, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ 2005 წლის 12 დეკემბერს შპს „პირამიდა-98-ის» ახალმა დირექტორმა შ. ს-ძემ „ა» ზონის ჯგუფის უფროს დ. ჩ-შვილსა და თემის განვითარების სპეციალისტ პ. მ-შვილს წარუდგინა სოფ. ... საშუალო სკოლის მშენებლობასთან დაკავშირებული „შესრულებული სამუშაოების ანგარიშის ფორმა», რომლის მიხედვითაც, თითქოსდა, „პირამიდა-98-ს» სამშენებლო სამუშაოები მთლიანად ჰქონდა ჩატარებული. ამავე დროს დ. ჩ-შვილისა და პ. მ-შვილისათვის შ. ს-ძისაგან ცნობილი იყო, რომ სკოლაში არ იყო შესრულებული მთელი რიგი სამუშაოები. მათ ადგილზე მისვლით არ შეამოწმეს ობიექტზე მშენებლობის მიმდინარეობა, ხარისხი, მოცულობა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით უპირატესობა მიანიჭეს შპს „პირამიდა-98-ის» დირექტორ შ. ს-ძეს; ასევე, მათ შ. ს-ძეს ხელმოწერებით დაუდასტურეს „შესრულებული სამუშაოების ანგარიშის» ფორმა და ყალბი დოკუმენტის დამზადებით შესაძლებლობა მისცეს, სოფ. ... სკოლაში შესრულებულად ეჩვენებინა 15168,50 ლარის ღირებულების ჩატარებული სამუშაოები.

2005 წლის 2 თებერვლიდან შ. ს-ძე მუშაობდა სამშენებლო-საპროექტო ორგანიზაცია შპს „პირამიდა-98-ის» დირექტორის თანამდებობაზე.

2004 წლის 4 ნოემბერს სოციალური ინვესტიციების ფონდისა და სათემო კავშირ „...» მიერ გამოცხადებულ კონკურსში ... რაიონის სოფ. ... სკოლის სამშენებლო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „პირამიდა-98».

2004 წლის 14 დეკემბერს ნინოწმინდის რაიონის სოფ. ... სათემო კავშირ „...» თავმჯდომარე ე. მ-იანსა და შპს „პირამიდა-98-ის» დირექტორ თ. გ-ძეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება სოფ. ... საშუალო სკოლის აღდგენითი, სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებაზე. ხელშეკრულების თანახმად, სამშენებლო სამუშაოების ჩატარება დაევალა შპს „პირამიდა-98-ს». სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო

2004 წლის 21 დეკემბრიდან 2005 წლის 21 მარტის ჩათვლით. სკოლის სამშენებლო-ადგენითი სამუშაოები მიკროპროექტის სახით 79276,20 ლარით დააფინანსა სოციალური ინვესტიციების ფონდმა. ვინაიდან მშენებლობის დროს, სამშენებლო სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე, საჭირო გახდა, გაზრდილიყო დაფინანსება, 2005 წლის 9 აგვისტოს იგი გაიზარდა 57504,3 ლარით და შეადგინა 136780,5 ლარი; ამავე დროს გადაიწია მთლიანი სამუშაოს დასრულების ვადამ 2005 წლის 15 დეკემბრამდე.

ადგენითი სამუშაოების ჩატარების პერიოდში შპს „პირამიდა-98-ის« დირექტორი თ. გ-მე შეცვალა ახალმა დირექტორმა შ. ს-მემ, რომელიც, 2004 წლის 14 დეკემბრის ხელშეკრულების თანახმად, ვალდებული იყო, შეესრულებინა ხელშეკრულებაში ნაკისრი ვალდებულებები. მიუხედავად აღნიშნულისა, მან ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში არ ჩაატარა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები და „შესრულებული სამუშაოების ანგარიშის« ფორმაში შეიტანა ყალბი მონაცემები, რომელიც შემდგომში წარუდგინა პროექტის ხელმძღვანელს - სოციალური ინვესტიციების ფონდს, რომლის თანახმადაც, 2005 წლის 12 დეკემბერს შპს „პირამიდა-98-ს« თითქოსდა, შესრულებული ჰქონდა 134967,50 ლარის სარეკონსტრუქციო სამუშაოები. სინამდვილეში შპს „პირამიდა-98-ს« შესრულებული ჰქონდა 119,799 ლარის სამუშაოები. აღნიშნული ქმედებით შ. ს-მემ მიითვისა 15168,50 ლარი.

აღნიშნული ქმედებისათვის შ. ს-მეს საბოლოოდ განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დ. ჩ-შვილსა და პ. მ-შვილს - 3-3 წლით თავისუფლების აღკვეთა. შ. ს-მეს სასჯელის ათვლა დაეწყო 2007 წლის 12 იანვრიდან, დ. ჩ-შვილს - 2006 წლის 27 ნოემბრიდან, პ. მ-შვილს - 2006 წლის 28 ნოემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის პროკურორმა ლ. ა-მემ, მსჯავრდებულების ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - ვ. ა-მემ და ა. ა-მემ.

პროკურორმა ლ. ა-მემ სააპელაციო საჩივრით ითხოვა განაჩენის გაუქმება დ. ჩ-შვილისა და პ. მ-შვილის მსჯავრდების ნაწილში სასჯელის ლმობიერების მოტივით და მათთვის 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება.

ადვოკატმა ვ. ა-მემ სააპელაციო საჩივრით ითხოვა მსჯავრდებულების - პ. მ-შვილისა და დ. ჩ-შვილის მიმართ დანიშნული სასჯელის პირობითი მსჯავრით შეცვლა ან მათთვის სასჯელის უმდაბლესი ზომის განსაზღვრა, ხოლო ადვოკატმა ა. ა-მემ - მსჯავრდებულ შ. ს-მისათვის დანიშნული სასჯელიდან 4 წლით რეალური სასჯელის, ხოლო დანარჩენის - პირობითი მსჯავრად განსაზღვრა, 5 ათასი ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განაჩენით პროკურორის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო ადვოკატების სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: დ. ჩ-შვილსა და პ. მ-შვილს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 220-ე მუხლითა და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტით განესაზღვრა 2-2 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა - თითოეულს 2 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო შ. ს-მეს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტითა და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტით მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 2 ათასი ლარის ოდენობით. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი - ადვოკატი ა. ა-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი შ. ს-მის მიმართ უსამართლოა, რადგან სასამართლომ არ გაითვალისწინა სსსკ-ის 496-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებები, კერძოდ ის, რომ შ. ს-მემ დაკავებისთანავე აღიარა ჩადენილი დანაშაული; ითანაშრომლა გამოძიებასთან; არაერთხელ მიმართა სამცხე-ჯავახეთის სამხარეო პროკურატურას ზარალის ანაზღაურებისა და ჯარიმის გადახდის შესახებ; მას ჰყავს სამი შვილი, რომლებიც მის კმაყოფაზე არიან; წარსულში არ ყოფილა ნასამართლევნი და ხასიათდება დადებითად; იგი მზად არის, აანაზღაუროს ზარალი 15 ათასი ლარის ოდენობით და ასევე გადაიხადოს ჯარიმა - 10 ათასი ლარი.

ადვოკატ ა. ა-მის აზრით, შ. ს-მის მიმართ გამოყენებული სასჯელი ზედმეტად მკაცრია, არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და პიროვნებას, რის გამოც ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის შეცვლას, შ. ს-მისათვის პირობითი სასჯელის შეფარდებას და ჯარიმის დაკისრებას 10 ათასი ლარის ოდენობით.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებულ განაჩენში მითითებულია, რომ მსჯავრდებულთა მიერ მათთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა, სხვა მასალებთან ერთად, დადასტურებულია შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნით და «საქმეზე შეკრებილი მთელი რიგი მტკიცებულებების ანალიზით».

საქმის მასალებით ირკვევა, რომ პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების სხდომებზე საქმეში არსებული არცერთი მტკიცებულება არ წაკითხულა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 484-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მხარეთა შუამდგომლობით ან სასამართლოს ინიციატივით სასამართლოს სხდომაზე საჯაროდ ქვეყნდება წინასწარი გამოძიების დროს საქმისათვის დართული წერილობითი მტკიცებულებები და საგამოძიებო მოქმედების ოქმები. ამასთანავე, ირკვევა საკითხი ამ მტკიცებულებათა მიღების ხერხების, სანდოობის, შესახებობისა და დასაშვებობის თაობაზე. სსსკ-ის 496-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

როგორც აღინიშნა, საქმის ის მასალები, რასაც ასევე დაეყრდნო სააპელაციო პალატა გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას, სასამართლო სხდომაზე არ გამოქვეყნებულა და, შესაბამისად, სასამართლო სხდომაზე არ განხილულა. ამასთან, არ გარკვეულა ამ წერილობითი მტკიცებულებების მიღების ხერხების, სანდოობის, შესახებობისა და დასაშვებობის საკითხი.

რამდენადაც გასაჩივრებული განაჩენი ეყრდნობა სასამართლო სხდომაზე გამოუკვლეველ, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებებსაც, იგი დაუსაბუთებელია, უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის უნდა გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს განჩინებაში მითითებული გარემოებები და მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებს საკასაციო საჩივარში მითითებულ მოტივებზე.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, 570-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განაჩენი შ. ს-ძის, გ. ჩ-შვილისა და პ. მ-შვილის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მტკიცებულებათა დასაშვებობა

განჩინება

#281-აპ

30 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. ლ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 4 ოქტომბრის განაჩენით ლ. ლ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა», „გ» ქვეპუნქტებით, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ» და „გ» ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჯგუფურად და ბინაში უკანონო შეღწევით ჩაიდინა ძარცვა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ასევე, ქურდობა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, არაერთგზის, ბინაში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 21 ივნისს ლ. ლ-ძემ წინასწარი შეთანხმებით, დაუდგენელ სამ პირთან ერთად უკანონოდ შეაღწია ქ. ბათუმში, ... ქ. #60-ის, ბინა 35-ში მცხოვრებ ი. კ-იას საცხოვრებელ ბინაში, საიდანაც ცდილობდა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა ი. კ-იას ძვირფასეულობას, რა დროსაც ბოროტმოქმედები სახლში მისვლისას შეამჩნია დაზარალებულმა და მოუწოდა, შეჩერებულიყვნენ, რის შემდეგაც ლ. ლ-ძემ და მისმა თანამზრახველებმა შეძლეს გაქცევა და ი. კ-იას კუთვნილი ძვირფასეულობის გატაცება, რითიც დაზარალებულს მიაყენეს 750 ლარის ოდენობის მნიშვნელოვანი ზიანი.

2006 წლის 20 სექტემბერს, დღის საათებში, ლ. ლ-ძემ უკანონოდ შეაღწია ბათუმში, ... ქ. #24-ის, ბინა 36-ში, შ. შ-ძის დროებით საცხოვრებელ ბინაში, სადაც არაერთგზის, ფარულად დაუფლდა შ. შ-ძის კუთვნილ ნივთებს, რითიც დაზარალებულს სულ მიაყენა 1500 ლარისა და 150 აშშ დოლარის ოდენობის მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის ლ. ლ-ძეს საბოლოოდ მიესაჯა 12 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 9 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მასვე დაზარალებულ ი. კ-იას სასარგებლოდ დაეკისრა 750 ლარის, ხოლო დაზარალებულ ზ. დ-ძის სასარგებლოდ - 1500 ლარისა და 150 აშშ დოლარის გადახდა. მსჯავრდებულს სასჯელის ათვლა დაეწყო 2007 წლის 18 ივნისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და ითხოვა გამართლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 დეკემბრის განაჩენით პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ლ. ლ-ძის მიმართ დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული ლ. ლ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უსაფუძვლოა და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებული თავს არ ცნობს დამნაშავედ ბრალდების არც ერთ ეპიზოდში, რადგან ეს ბრალდებები ხელოვნურად შექმნეს სამართალდამცავმა ორგანოებმა; ბრალდების ერთადერთი მტკიცებულება არის 2006 წლის 11 დეკემბრისა და 2007 წლის 27 თებერვლის ექსპერტიზების დასკვნები, რომელთა თანახმადაც, შემთხვევის ადგილებიდან ამოღებული ხელის თითის კვალი თითქოსდა ეკუთვნის ლ. ლ-ძეს; ეს დასკვნები გაყალბებულია; სადავო უნდა ყოფილიყო ის, თუ რა მეთოდით და როგორც ამოიღეს ხელის თითის კვალი შემთხვევის ადგილიდან და როგორც მოხდა მისი საექსპერტო ბიუროში წარდგენა იდენტიფიკაციისათვის; თვით დანაშაულის ფაქტების არსებობა არ გულისხმობს პირის დანაშაულში მხილებას, მით უფრო, რომ ერთ-ერთმა დაზარალებულმა ბათუმის საქალაქო სასამართლოში პირდაპირ უარყო ლ. ლ-ძის ყოფნა შემთხვევის ადგილზე; ამოცნობის ოქმით დადგენილია, რომ ი. კ-იას სხვა პირები ჰყავდა ნანახი და ლ. ლ-ძეს ძარცვაში მონაწილეობა არ მიუღია; სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის 131-ე-132-ე მუხლების მოთხოვნები; გამოტანილი განაჩენი არ ემყარება უტყუარ მტკიცებულებებს; გაუგებარია ქურდობისა და ძარცვისათვის ცალ-ცალკე სასჯელების დანიშვნა და შემდეგ მათი შეკრება; დანაშაულის არაერთგზისობა მაკვალიფიცირებელ გარემოებას ქმნიდა და მასზე ერთიანი სასჯელი უნდა დადგენილიყო.

გამომდინარე აღნიშნულიდან, მსჯავრდებული ლ. ლ-ძე ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შესისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განაჩენი, სხვა მასალებთან ერთად, ეყრდნობა 2007 წლის 27 თებერვლის #5/3-50/დ-კ დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნას.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების სხდომებზე საქმეში აღნიშნული მტკიცებულება არ წაკითხულა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 484-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მხარეთა შუამდგომლობით ან სასამართლოს ინიციატივით სასამართლოს სხდომაზე საჯაროდ ქვეყნდება წინასწარი გამოძიების დროს საქმისათვის დართული წერილობითი მტკიცებულებები და საგამომიებო მოქმედების ოქმები. ამასთანავე, ირკვევა საკითხი ამ მტკიცებულებათა მიღების ხერხების, სანდოობის, შესახებობისა და დასაშვებობის თაობაზე. სსსკ-ის 496-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

კასატორი ეჭვქვეშ აყენებს დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნებს და ამ მოტივებზე საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებს, რადგან, როგორც აღინიშნა, ექსპერტიზის ერთ-ერთი დასკვნა, რასაც დაეყრდნო სააპელაციო პალატა გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას, სასამართლო სხდომაზე არ გამოქვეყნებულა და, შესაბამისად, სასამართლო სხდომაზე არ განხილულა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი დაუსაბუთებელია, იგი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის უნდა გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს განჩინებაში მითითებული გარემოებები და მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

იმის გამო, რომ საქმე უნდა გაიგზავნოს ახალი სასამართლო განხილვისათვის, საკასაციო პალატა არ მსჯელობს მსჯავრდებულ ლ. ლ-ძის საჩივრის მოტივებზე.

პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, 570-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 დეკემბრის განაჩენი ლ. ლ-ძის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მტკიცებულებათა დასაშვებობა

განჩინება

#718-აპ

22 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

მ. ოშხარელი

განიხილა მსჯავრდებულ კ. გ-ავასა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების - ი. გ-ძის, გ. ყ-იასა და ა. დ-იანის სავსაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 დეკემბრის განაჩენით კ. გ-ავა ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით, 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ყალბი დოკუმენტის დამზადება და გასაღება, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შექმნა, შენახვა და გასაღება, ასევე, პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა მისი საქმიანობის შეწყვეტისა და შეცვლის მიზნით, ჩადენილი ძალადობითა და ძალადობის მუქარით.

კ. გ-ავას მიერ ჩადენილი ქმედება საბრალდებო დასკვნის მიხედვით გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 21 მარტს ქ. ზუგდიდში დაფუძნდა შპს დაცვის სამსახური „დელტა“, რომლის დირექტორად დაინიშნა ქ. ზუგდიდში მცხოვრები კ. გ-ავა. შპს დაცვის სამსახურ „დელტას“ დამფუძნებელმა კ. გ-ავამ, რომელსაც „იარაღის შესახებ“ კანონის მიხედვით არ ჰქონდა უფლება, პირისათვის მიენიჭებინა ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება, დაცვის სამსახურ „დელტას“ ოპერატიული ჯგუფის ინსპექტორ ვ. კ-შვილის სახელზე 2005 წელს, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, დაამზადა პირადობის მოწმობა, სადაც აღნიშნულია, რომ ამ უკანასკნელს უფლება აქვს, შეინახოს და ატაროს ცეცხლსასროლი იარაღი. აღნიშნული დოკუმენტი კ. გ-ავამ დაამოწმა საკუთარი ხელმოწერით და „იარაღის შესახებ“ კანონის დარღვევით ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და ტარების უფლება მიანიჭა ისეთ პირს, რომელიც არ შედის ზემოაღნიშნული კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის ჩამონათვალში, რითიც დაამზადა ყალბი დოკუმენტი. 2005 წელს, ზუსტი თარიღი დაუდგენელია, კ. გ-ავამ თავის მიერ დამზადებული ყალბი მოწმობა გაასაღა შპს დაცვის სამსახურ „დელტას“ ოპერატიული ჯგუფის ინსპექტორ ვ. კ-შვილზე.

კ. გ-ავამ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი - ტექნიკურად გამართული და გასროლისათვის ვარგისი „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი მისთვის განკუთვნილი საბრძოლო ვაზნებით, რომლებსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ სახლში. 2007 წლის 22 აგვისტოს კ. გ-ავამ დედის - ი. გ-ავას მეშვეობით ვ. კ-შვილზე მართლსაწინააღმდეგოდ გაასაღა მართლსაწინააღმდეგოდ შექმნილი და შენახული ზემოხსენებული ცეცხლსასროლი იარაღი საბრძოლო მასალით. შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მუშაკებმა 2007 წლის 22 აგვისტოს ვ. კ-შვილისაგან პირადი ჩხრეკის შედეგად ამოიღეს კ. გ-ავას მიერ მასზე მართლსაწინააღმდეგოდ გასაღებული ცეცხლსასროლი იარაღი - ტექნიკურად გამართული და დანიშნულებისამებრ გასროლისათვის ვარგისი „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი მისთვის განკუთვნილი საბრძოლო ვაზნებით.

შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო შს მთავარ სამმართველოში მიმდინარეობდა წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე ვ. კ-შვილის მიმართ ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ შექმნის, შენახვისა და ტარების ფაქტზე. გამოძიებას ატარებდა ამავე სამმართველოს გამომძიებელი დ. წ-ავა. საქმის ფაქტობრივი გარემოებების ყოველმხრივად და სრულყოფილად დასადგენად შეიქმნა ზუგდიდში, ... ქ. #25-ში მცხოვრებ ი. გ-ავას დაკითხვის აუცილებლობა. საქმის მწარმოებელ ორგანოში მის გამოცხადებაზე უწყების ჩასაბარებლად ი. გ-ავას საცხოვრებელ სახლში მივიდნენ შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მუშაკები - გამომძიებელი დ. წ-ავა, ინსპექტორ-გამომძიებლები - ა. ვ-ია, კ. კ-ია და გ. ლ-ია, რომლებსაც ეცვათ პოლიციელის უნიფორმა. დ. წ-ავა შევიდა ი. გ-ავას საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე მდებარე მისაღებ ოთახში, ხოლო მასთან ერთად მყოფი პოლიციელები დარჩნენ ჭიშკართან

გაჩერებულ ავტომატურად. ამ დროს სახლში მივიდა ი. გ-ავას ვაჟი - კ. გ-ავა და ჩქარი ნაბიჯით გაემართა მისაღები ოთახისაკენ. ოთახში შესვლის შემდეგ მან ჩაკეტა კარი, რათა გარეთ მყოფი პოლიციელები არ შესულიყვნენ შიგნით. კ. გ-ავამ, რომლისთვისაც ცნობილი იყო, რომ დ. წ-ავა იყო პოლიციის მუშაკი, ამ უკანასკნელის საქმიანობის შეწყვეტისა და შეცვლის მიზნით დაიწყო გინება და მისთვის ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევა, კერძოდ, კ. გ-ავა აგინებდა პოლიციელ დ. წ-ავას, მისი მიმართულებით დასარტყმელად იქნედა ხელებს, ეხებოდა და ექაჩებოდა მას, შეაფურთხა სახეში, ჩაავლო ხელები უნიფორმაში და ცდილობდა მის გაგდებას სახლიდან, რითიც ხელს უშლიდა მას სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებაში და ცდილობდა პოლიციელის საქმიანობის შეწყვეტას. მიუხედავად კ. გ-ავას მხრიდან გაწეული წინააღმდეგობისა, იგი დააკავეს.

აღნიშნული ქმედებისათვის კ. გ-ავას საბოლოოდ მიესაჯა 7 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 31 ოქტომბრიდან; მას სასჯელის მოხდაში ჩათვალა დაკავების დრო - 2007 წლის 23 სექტემბრიდან 26 სექტემბრის ჩათვლით - 4 დღე. მსჯავრდებულს დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა 25 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატებმა - ა. დ-იანმა და გ. ყ-იამ. მათ ითხოვეს კ. გ-ავას გამართლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 მარტის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ამასთან, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 დეკემბრის განაჩენი შეიცვალა: კ. გ-ავას განაჩენიდან ამოერიცხა სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე მითითება დანიშნულ სასჯელთან ერთად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო და ამ ნაწილში გამართლდა; კ. გ-ავას სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი, მე-3 ნაწილებითა და 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით საბოლოოდ მიესაჯა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 2 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორები - მსჯავრდებული კ. გ-ავა და მისი ადვოკატები - ი. გ-მე, გ. ყ-ია და ა. დ-იანი საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ განაჩენი უკანონოა და უნდა გაუქმდეს, რადგან სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევებით, არასწორად გამოიყენა მატერიალური კანონი, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე და დაადგინა გამამტყუნებელი განაჩენი; სააპელაციო პალატამ საქმეზე ჩაატარა არასრული და ცალმხრივი სასამართლო გამოძიება, რითიც დაარღვია საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნა; არ გამოიკვლია ისეთი არსებითი ხასიათის გარემოებები, რომელთა გარეშე საქმეზე შეუძლებელია სწორი გადაწყვეტილების მიღება; ისე, რომ არ აღმოფხვრა წინააღმდეგობები მოპოვებულ მტკიცებულებათა შორის, მიუხედავად სსკ-ის მე-10, მე-19 და 132-ე მუხლების იმპერატიული მოთხოვნისა, ეჭვი არ განმარტა განსასჯელის სასარგებლოდ; გაიზიარა ბრალდების მტკიცებულებები, რითიც, ფაქტობრივად, უარი თქვა მართლმსაჯულების განხორციელებაზე და კ. გ-ავას წართვა სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნის კონსტიტუციითა და ევროკონვენციით მინიჭებული უფლება.

კასატორთა აზრით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დაშვებული დარღვევები მდგომარეობს შემდეგში:

კ. გ-ავას თანმიმდევრული ჩვენებებით დადგენილია, რომ 2007 წლის 23 სექტემბერს მის სახლში მისული გამომძიებელი დ. წ-ავა იქცეოდა ძალზე უხეშად, რის გამოც მათ შორის მოხდა სიტყვიერი შელაპარაკება, მაგრამ მას დ. წ-ავასათვის ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებია, არ შეუფურთხებია და არც წინააღმდეგობა გაუწევია; სააპელაციო პალატა სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით კ. გ-ავას მსჯავრდებას ამყარებს მხოლოდ ოთხი პოლიციელის ჩვენებით, რომელთაგან ერთი დაზარალებულადაა ცნობილი; ეს პოლიციელები დაინტერესებულები არიან საქმის შედეგით და ჩვენების მიცემის დროს ობიექტურები ვერ იქნებიან; პალატამ იგნორირება გაუკეთა სხვა, კ. გ-ავას უდანაშაულობის დამადასტურებელ მტკიცებულებებს, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს, რომ პოლიციელებმა მოახდინეს დანაშაულის პროვოკაცია; სხვანაირად, რაში სჭირდებოდა ხანდაზმული ქალბატონისათვის უწყების გადაცემას ოთხი ჯან-ღონით სავსე პოლიციელის ძალისხმევა, როდესაც კანონი ითვალისწინებს მოწმის უწყებით გამოძახებას; კ. გ-ავამ პალატას აუხსნა, რომ მათი ასეთი ქცევის მიზეზი იყო ის, რომ იგი ზუგდიდის რაიონის სოფ. ... ბავშვებისათვის აშენებდა გასართობ ცენტრს და ბოლო დროს მისგან ითხოვდნენ ამ ქონების დათმობას კონკრეტული პირების სასარგებლოდ, რის გამოც მასზე ხორციელდებოდა სისტემატური ზეწოლა, რაშიც სხვადასხვა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ; ამ ეტაპზე კ. გ-ავა მზად არის, დაასახელოს მასზე ზეწოლის განმახორციელებელი კონკრეტული პირები და მისცეს სრულყოფილი და რეალური ჩვენება.

გარდა აღნიშნულისა, პალატამ კ. გ-ავა დამნაშავედ ცნო საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით მხოლოდ სატელეფონო საუბრების ბუნდოვანი შინაარსისა და საეჭვო წარმომავლობის კრებსის, ასევე - ვ. კ-შვილის ჩხრეკის ოქმის საფუძველზე, რასაც მსჯავრდებული კატეგორიულად უარყოფს; „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტის კანონიერი მესაკუთრე რ. ქ-ია და ვ. კ-შვილი კატეგორიულად უარყოფენ და გამორიცხავენ კ. გ-ავას შემხებლობას ამ იარაღთან; ამასთან, განაჩენში კრებსისათვის მიცემული მტკიცებულებითი დატვირთვა აშკარად სცდება პალატის მიერ გამოქვეყნებულ და გამოკვლეულ კრებსის შინაარსს; კერძოდ, პალატის მიერ გამოკვლეული კრებსის

პირველი ჩანაწერი წარმოადგენს კ. გ-ავასა და დაუდგენელი მამაკაცის სატელეფონო საუბარს, რომელშიც კ. გ-ავა თანამოსაუბრეს სთხოვს, რომ „შუმახერმა« (იგივე ვ. კ-შვილმა) წაიღოს მისი სახლიდან «სკუტერის» გასაღები და იარაღი, რაზეც მამაკაცი პასუხობს, რომ „შუმახერი» უკვე წასულია, ანუ ეს მამაკაცი ვერ გადასცემდა ვ. კ-შვილს კ. გ-ავას თხოვნას და არც „შუმახერი» გაივლიდა მასთან სახლში იარაღისა და «სკუტერის» გასაღების წამოსაღებად; აღნიშნული დასტურდება ვ. კ-შვილის ჩვენებით, რომელიც აცხადებს, რომ იარაღი დილით ნახა სამსახურში უფროსის - რ. ქ-იას მაგიდაზე და, რომ არ დაკარგულიყო, ჩაიდო ხელჩანთაში და წაიღო სოფელ ... მეოფ რ. ქ-იასთან, მაგრამ ის გზაში დააკავეს პოლიციელებმა. ვ. კ-შვილის ეს ჩვენება დასტურდება რ. ქ-იას ჩვენებით, რომელმაც განაცხადა, რომ „მაკაროვის» სისტემის პისტოლეტი მას აქვს კანონიერად გაფორმებული და კ. გ-ავას მასთან არანაირი შემხებლობა არა აქვს; აღნიშნული იარაღი რ. ქ-იას სოფელ ... წასვლამდე დარჩა მაგიდაზე.

კასატორთა განცხადებით, ვ. კ-შვილის ჩხრევის ოქმითაც დასტურდება, რომ იარაღი მან წაიღო რ. ქ-იას კაბინეტიდან, რადგან მას თან არ ჰქონდა სკუტერის გასაღები, რაც აუცილებლად ექნებოდა, თუ იგი იარაღს წაიღებდა კ. გ-ავას სახლიდან; დაცვის მხარემ სააპელაციო პალატას წარუდგინა ვ. კ-შვილის მიმართ კანონიერ ძალაში შესული განაჩენი მის მიერ სადავო იარაღისა და ვაზნების მართლსაწინააღმდეგო შექმნა-ტარების ფაქტზე, რომელშიც მითითებული არ არის, რომ მან ეს იარაღი შეიძინა კ. გ-ავასაგან; პალატამ გვერდი აუარა ამ განაჩენით დადგენილი ფაქტების არსებობას, თავისი განაჩენით ფაქტობრივად შეცვალა პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტობრივი გარემოება და სსსკ-ის 113-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით ცნო დადასტურებულად ვ. კ-შვილის მიერ ამ იარაღის კ. გ-ავასაგან შექმნა; პალატამ არ გამოიკვლია, თუ 2007 წლის 22 აგვისტოს კონკრეტულად რომელ საათზე მიმართა გამოძიების ორგანომ ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს ვინმე „გოგას» მობილური ტელეფონის ნომერზე განხორციელებული საუბრების სატელეფონო მოსმენაზე ნებართვის აღების შუამდგომლობით; ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან მითითებული სატელეფონო საუბარი შედგა 2007 წლის 22 აგვისტოს, დილის 9 საათსა და 15 წუთზე, ხოლო შუამდგომლობა ამ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების შესახებ სასამართლოში შევიდა 2007 წლის 22 აგვისტოს, 17 საათსა და 56 წუთზე, რაც დასტურდება ზუგდიდის რაიონული სასამართლოს პასუხით დაცვის მხარის 2008 წლის 22 აპრილის მიმართვაზე, ე.ი. სატელეფონი საუბრების ფარული მიყურადება და ჩაწერა განხორციელდა მოსამართლის ბრძანების გარეშე. ასეთ შემთხვევაში კი, სსსკ-ის 111-ე მუხლის თანახმად, სატელეფონო საუბრების კრებს მტკიცებულების ძალა არ გააჩნია. საქმეს არ ერთვის სატელეფონო საუბრების ჩანაწერების (კრებსის) პირველადი, ანუ ელექტრონული ვერსია, მისი შინაარსის ამსახველი წერილობითი დოკუმენტი, პირველადი ვერსიის გარეშე, არავითარ მტკიცებულებით დატვირთვას არ ატარებს და დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იყოს ცნობილი. გარდა აღნიშნულისა, კ. გ-ავა პირველადაა სამართალში, ახალგაზრდაა, კმაყოფაზე ჰყავს ხანდაზმული, ავადმყოფი მშობლები, მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, კასატორები ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 მარტის განაჩენის გაუქმებას და კ. გ-ავას მიმართ სისხლის სამართლის საქმის გაგზავნას ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საკასაციო პალატის სხდომაზე ადვოკატმა ი. გ-ძემ დააზუსტა საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და იშუამდგომლა კ. გ-ავას მიმართ საქმის შეწყვეტის შესახებ იმ მოტივით, რომ საქმეში არ მოიპოვება სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და მე-3 ნაწილით კ. გ-ავასათვის წარდგენილი ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებები და სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება და ჩაწერა განხორციელდა უკანონოდ, რაც დასტურდება ზუგდიდის რაიონული სასამართლოს ცნობებით. ადვოკატის ასევე აღნიშნა, რომ კ. გ-ავას არ ჩაუდენია სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულიც. გამომძიებელი დ. წ-ავა არ იყო უფლებამოსილი, თვითონ ჩაებარებინა უწყება ადრესატისათვის.

ადვოკატ ი. გ-ძის მოთხოვნას მხარი დაუჭირეს ადვოკატებმა - გ. ყ-იამ და ა. დ-იანმა.

მსჯავრდებულმა კ. გ-ავამ მხარი დაუჭირა თავისი დამცველების მოთხოვნას და აღნიშნა, რომ ვ. კ-შვილისაგან ამოღებულ ცეცხლსასროლ იარაღთან არანაირი კავშირი არ აქვს და არც სსკ-ის 353-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩაუდენია.

პროკურორმა გ. შ-ძემ საკასაციო საჩივარს მხარი არ დაუჭირა და მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება იმ მოტივით, რომ იგი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეთა მოსაზრებები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 25 მარტის განაჩენი კ. გ-ავას მსჯავრდების საქმეზე უნდა გაუქმდეს და საქმე გაიგზავნოს ახალი სასამართლო განხილვისათვის, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შესახებ, რამაც შეზღუდა მსჯავრდებულის უფლებები და ხელი შეუშალა საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვას. ამან გავლენა მოახდინა კანონიერი, საფუძვლიანი და სამართლიანი განაჩენის დადგენაზე.

კერძოდ, კ. გ-ავას ინტერესების დამცველი ადვოკატები - გ. ყ-ია და ა. დ-იანი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდნენ, რომ კ. გ-ავასათვის სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით შერაცხულ ბრალდებას საფუძვლად უდევს სატელეფონო საუბრის კრების, რომელიც მოპოვებულია კანონის დარღვევით, არ იყო მოსამართლის ბრძანება, უსაფუძვლოდ მოხდა მოქალაქეების კერძო საუბრების მიყურადება და ჩაწერა, რაც სსკ-ის 158-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულია, ამიტომ ეს კრების ცნობილი უნდა ყოფილიყო დაუშვებელ მტკიცებულებად.

სააპელაციო პალატამ, სსკ-ის 484-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, არ გაარკვია საკითხი ხსენებული მტკიცებულების მიღების ხერხის, სანდოობის, შესახებობისა და დასაშვებობის თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ კრებაში პირველი საუბრის დასაწყისად მითითებულია დრო - 2007 წლის 22 აგვისტო, 9.17.25; საუბრის დასასრულად - 9.18.01; მეორე საუბრის დასაწყისად მითითებულია დრო - იგივე დღე, 9.19.39; საუბრის დასასრულად - 9.20.32.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში, სსკ-ის 475-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო, თავისი ინიციატივითაც დაესვა, განეხილა და გადაეწყვიტა ამ მტკიცებულების დასაშვებობის საკითხი.

მოსმენილი სატელეფონო საუბრებიდან გამომდინარე, იმავე დღეს, 15 სთ. და 35 წუთიდან 15 სთ. და 55 წუთამდე დროის მონაკვეთში, ზუგდიდის რაიონის სოფელ ... პირადი ჩხრეკა ჩატარდა ვ. კ-შვილს, რომელსაც ამოუდეს ცეცხლსასროლი იარაღი და ვაზნები. ჩხრეკა ჩატარდა გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, პირადი ჩხრეკის ჩატარების შესახებ გამომძიებელ დ. წ-ავას 2007 წლის 22 აგვისტოს დადგენილების საფუძველზე.

ამის შემდეგ, იმავე დღეს - 2007 წლის 22 აგვისტოს, სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორი ლ. ბ-ია შუამდგომლობით მიმართავს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩასატარებლად ბრძანების გაცემის თაობაზე, რომელშიც ითხოვს ვინმე გ-ს ნომერ ... მობილურ ტელეფონზე განხორციელებული საუბრების ფარულ მიყურადებასა და ჩაწერას ერთი თვის ვადით - 2007 წლის 22 აგვისტოდან. ამავე დღით დათარიღებული ბრძანებით მოსამართლე დ. კ-მე აკმაყოფილებს პროკურორის შუამდგომლობას.

მართალია, ბრძანებაში არაა მითითებული, რომელ საათზე გაიცა იგი, მაგრამ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 23 აპრილის ცნობით, პროკურორის შუამდგომლობა სასამართლოში შესულია 2007 წლის 22 აგვისტოს, 17 სთ. და 56 წუთზე. ამავე სასამართლოს 2008 წლის 9 ივნისის ცნობით, პროკურორის შუამდგომლობა სასამართლოში რეგისტრირებულია 2007 წლის 22 აგვისტოს, 17 სთ. და 56 წუთზე, შუამდგომლობის განხილვა დაწყებულია ამავე დღეს - 18 სთ. და 20 წუთზე და სხდომა დაიხურა 18 სთ. და 35 წუთზე. იმავე დღეს ჩაჰბარდა ბრძანება პროკურორ ლ. ბ-იას.

მართალია, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს ზემოაღნიშნული ცნობები საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ იქნა საქმის სააპელაციო განხილვის შემდეგ, მაგრამ თვით სააპელაციო პალატას საქმის განხილვისას არ შეუმოწმებია, შეიძლება თუ არა პროკურორს უკვე ჰქონოდა მოსამართლის ბრძანება დილის 9 სთ. და 17 წუთზე (როცა დაიწყო სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება და ჩაწერა). მიუხედავად ამისა, გასაჩივრებული განაჩენის მე-8 გვერდზე აღნიშნულია, რომ კ. გ-ავას ბრალეულობა დასტურდება გამოქვეყნებული და გამოკვლეული სატელეფონო საუბრების კრებებით და მისი მოპოვებისას საპროცესო კანონის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ უნდა გაარკვიოს საკითხი განჩინებაში ხსენებული მტკიცებულების მიღების ხერხის, სანდოობის, შესახებობის და დასაშვებობის თაობაზე, შეაფასოს იგი და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი.

სარეზოლუციო ნაწილი:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 570-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ კ. გ-ავას და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების - ი. გ-ძის, გ. ყ-იასა და ა. დ-იანის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 მარტის განაჩენი კ. გ-ავას მიმართ გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ შეასრულოს განჩინებაში აღნიშნული მითითებები. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ნივთმტკიცების საკითხის გადაწყვეტა

განაჩენის შეცვლა ნივთმტკიცების საკითხის ნაწილში

განჩინება

#555-აპ

1 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
დ. სულაქველიძე,
ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ჯ-შვილისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. ც-ურის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 10 მაისის განაჩენით ა. ჯ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 108-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 12 დეკემბერს, დაახლოებით 23 საათზე, დ. ჯ-უამ თბილისში, ... ქ. #58-ში მდებარე, მ. ჯ-შვილის კუთვნილი სახლის ეზოში, პირველ სართულზე, მის მიერ დროებით საცხოვრებლად დაქირავებულ ოთახში, საქეფოდ მიიწვია მ. ჯ-შვილი. მათ ერთად დაიწყეს არყის სმა. დაახლოებით 24 საათზე მათთან მივიდა მ. ჯ-შვილის ვაჟი ა. ჯ-შვილი, რომელმაც დ. ჯ-უას ოთახში დაჰყო დაახლოებით ნახევარ საათს, რის შემდეგაც ავიდა მეორე სართულზე მდებარე თავის ოთახში და დაიძინა.

2006 წლის 13 დეკემბერს, დაახლოებით 3 საათზე, ა. ჯ-შვილს გაეღვიძა დ. ჯ-უას ოთახიდან გამოსული ყვირილისა და ჩხუბის ხმაზე, დაუყოვნებლივ მივიდა დ. ჯ-უას ოთახთან და იქვე, ოთახის აივანზე, შენიშნა, რომ საშუალო ხარისხის მთვრალი დ. ჯ-უა შავტარიანი დასაკეცი დანით მოკვლით ემუქრებოდა მამამისს - მ. ჯ-შვილს და აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. ა. ჯ-შვილმა დ. ჯ-უას ხელიდან გამოსტაცა დანა და შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, დ. ჯ-უას გულმკერდის უკანა ზედაპირზე, მარჯვნივ მიაყენა 4-5 სმ-იანი ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა, არშემავალი გულმკერდის ღრუში, ზემოდან ქვემოთ, მარჯვნიდან მარცხნივ, ოდნავ უკნიდან წინ; ასევე მიაყენა ნაკვეთი ჭრილობები მარცხენა წვივის, მარჯვენა მხრის, მარჯვენა წინამხრისა და ორივე ხელის მტევნის არეში, ასევე - დაჟეჟილი ჭრილობა ენაზე და ნაჭდევები სხეულის სხვადასხვა მიდამოში, რომლებიც როგორც ერთობლიობაში, ისე - ცალ-ცალკე ატარებს სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანებათა ნიშნებს და არ არის მიზეზობრივ კავშირში დამდგარ შედეგთან. ა. ჯ-შვილმა დ. ჯ-უას იქვე, იმავე დროს, მჭრელი კიდის მქონე წონადი საგნით მიაყენა ქალა-ტვინის ღია ტრავმა, მრავლობითი სწორკიდეებიანი ჭრილობებით თავის რბილ საფარზე, ქალა-სარქვლისა და ფუძის ძვლების მრავალფრაგმენტოვანი მოტეხილობებით, ქალას ღრუდან თავის ტვინის ნივთიერების სრული გამოვარდნით, რაც გახდა დ. ჯ-უას სიკვდილის მიზეზი.

აღნიშნული ქმედებისათვის ა. ჯ-შვილს მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 18 იანვრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა შ. ხ-შვილმა. მან ითხოვა ა. ჯ-შვილის ქმედების სსკ-ის 108-ე მუხლიდან 111-ე მუხლზე გადაკვალიფიცირება ან სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 თებერვლის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 10 მაისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორები - მსჯავრდებული ა. ჯ-შვილი და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი თ. ც-ური საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ აწ გარდაცვლილი დ. ჯ-უა სარგებლობდა შელახული რეპუტაციით, მსჯავრდებულის მამასთან ხშირად მოსდიოდა კონფლიქტი, რომელიც მუქარაში გადადიოდა; ჰქონდა პათოლოგიური სიმთვრალე; რაც შეეხება ა. ჯ-შვილს, ის აცნობიერებს, რომ დამნაშავეს მოგერიების ფარგლებს გადააცილა; გულწრფელად ინანიებს ჩადენილს; თავად გამოცხადდა საგამოძიებო ორგანოში დანაშაულის აღიარებით და ხელი შეუწყო სიმართლის დადგენას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები ითხოვენ განაჩენის გაუქმებას და საქმის დაბრუნებას პირველი ინსტანციის სასამართლოში ან ა. ჯ-შვილის ქმედების სსკ-ის 108-ე მუხლიდან 113-ე მუხლზე გადაკვალიფიცირებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის წინასწარი გამოძიებისას მოპოვებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით უდავოდ დასტურდება, რომ ა. ჯ-შვილმა ჩაიდინა განზრახ მკვლელობა. აღნიშნული დასკვნის საფუძველს წარმოადგენს საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებები, მათ შორის, მოწმეების - მ. ჯ-შვილისა და ქ. მ-ძის ჩვენებები. ამ უკანასკნელმა განმარტა, რომ ა. ჯ-შვილმა დ. ჯ-უას თავში დაარტყა ხელი და ეს უკანასკნელი წაიქცა. შემდეგ ა-მ მამამისს უთხრა - წადი სახლშიო. ქ. მ-შვილის განმარტებით, მას არ დაუნახავს, ეჭირა თუ არა ხელში რაიმე საგანი ა. ჯ-შვილს.

მსჯავრდებულმა სასამართლოს განუცხადა, რომ დ. ჯ-უას ხელი მოჰკიდა და კიბისკენ მოისროლა, რის შემდეგ მამასთან ერთად სახლში შევიდა. ამ ჩვენების საწინააღმდეგოდ უტყუარადაა დადგენილი, რომ ა. ჯ-შვილმა არაერთხელ დაარტყა დანა აწ გარდაცვლილს. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ დანაზე აღმოჩნდა იმავე ჯგუფის სისხლი, რაც ჰქონდა დ. ჯ-უას. ამ უკანასკნელს ადენიშნებოდა ქალა-ტვირის ღია ტრავმა, მრავლობითი სწორკიდეებიანი ჭრილობებით თავის რბილ საფარზე, ქალა-სარქველისა და ფუძის ძვლების მრავალფრამენტოვანი მოტეხილობებით, თავის ტვირის ნივთიერების სრული გამოვარდნით, რაც განვითარებულია მჭრელი კიდისა და საკმაო წონის საგნის ზემოქმედებით. დ. ჯ-უას სხეულზე ასევე აღნიშნებოდა ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობები გულ-მკერდის უკანა ზედაპირზე, მარცხენა წვივის, მარჯვენა მხრის და ორივე მტევნის არეში, ნაკვდევები სხეულის სხვა-დასხვა მიდამოში.

მსჯავრდებულის მამამ - მ. ჯ-შვილმა სასამართლოში არ უარყო, რომ ა-მ დ. ჯ-უას რაღაც საგანი წაართვა.

სააპელაციო პალატამ სწორად აღნიშნა, რომ მსჯავრდებულმა დ. ჯ-უას სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებები მიაყენა დანის წართმევის შემდეგ, როდესაც თავდასხმა დამთავრებული იყო და დ. ჯ-უასაგან საფრთხე აღარ მომდინარეობდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის ფაქტობრივი გარემოებები სრულყოფილადაა დადგენილი, გასაჩივრებული განაჩენი დააბუთებული და სამართლიანია, ხოლო მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული.

პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენით არ არის გადაწყვეტილი ზოგიერთი ნივთმტკიცების საკითხი, ხოლო დანარჩენის - არასწორადაა გადაწყვეტილი, კერძოდ: მ. ჯ-შვილის სახლის ჩხრეკისას ამოღებული ნივთები - შავი სპორტული ქურთუკი, ნაჭრის ქურთუკი, ქამარი და შარვალი უნდა დაუბრუნდეს მ. ჯ-შვილს; დ. ჯ-უას კუთვნილი ფეხსაცმელები, წინდები, საცვალი, მაისური, სვიტერი, ლაბადა და ჯინსის შარვალი უნდა დაუბრუნდეს დაზარალებულის უფლებამოს-ნაცვლე მ. მ-შვილს; შემთხვევის ადგილიდან ამოღებული სისხლისმაგვარი ლაქების ნიმუშები, პოლიეთილენის პარკის ნაჭერი, დასაკეცი დანა, ხის ფოთოლი, ქაღალდისა და ზეწარის ნაგლეჯი, საწოლის გადასაფარებელი, რუხი და შავი ქუდები, რომლებზეც აღნიშნება სისხლისმაგვარი ლაქები - უნდა განადგურდეს. ხელი თითის ექვსი დაქტილოფირი უნდა შეინახოს საქმის შენახვის ვადით.

სააპელაციო პალატის განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ა. ჯ-შვილისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. ც-ურის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 თებერვლის განაჩენი შეიცვალოს ნივთმტკიცებათა საკითხის ნაწილში: მ. ჯ-შვილის სახლის ჩხრეკისას ამოღებული ნივთები - შავი სპორტული ქურთუკი, ნაჭრის ქურთუკი, ქამარი და შარვალი - დაუბრუნდეს მ. ჯ-შვილს; დ. ჯ-უას ფეხსაცმელები, წინდები, საცვალი, მაისური, სვიტერი, ლაბადა და ჯინსის შარვალი - დაუბრუნდეს დაზარალებულის უფლებამოსნაცვლე მ. მ-შვილს; შემთხვევის ადგილიდან ამოღებული სისხლისმაგვარი ლაქების ნიმუშები, პოლიეთილენის პარკის ნაჭერი, დასაკეცი დანა, ხის ფოთოლი, ქაღალდისა და ზეწარის ნაგლეჯი, საწოლის გადასაფარებელი, რუხი და შავი ქუდები, რომლებზეც აღნიშნება სისხლისმაგვარი ლაქები - განადგურდეს; ხელი თითის ექვსი დაქტილოფირი შეინახოს საქმის შენახვის ვადით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნივთმტკიცების მესაკუთრისათვის გადაცემა

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. ბ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ლ. კ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 სექტემბრის განაჩენზე, რომლითაც ლ. ბ-ძე ცნობილ იქნა ბრალეულად სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით ლ. ბ-ძე ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი, ლ. ბ-ძის კუთვნილი ა/მანქანა „ოპელ-ომეგა» და მისი პირადი ჩხრეკისას ამოღებული თანხა გადაეცა სახელმწიფო ბიუჯეტს.

იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 3 მარტიდან.

განაჩენით ლ. ბ-ძეს მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შექმნა-შენახვაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

ლ. ბ-ძემ განიზრახა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შექმნა, გასაღების მიზნით. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მან გამოიძიებით დაუდგინებლად დროსა და ვითარებაში, ასევე გამოიძიებით დაუდგინებლად პირისაგან უკანონოდ შეიძინა 0, 228 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის» შემცველი პრეპარატის - „სუბოტექსის» 28 აბი და ერთი აბის ნატეხი. ლ. ბ-ძე აღნიშნული ნარკოტიკული ნივთიერების 26 აბს და ერთი აბის ნატეხს უკანონოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ ბინაში, აბაზანიდან სამზარეულო ოთახში გამავალ საკანალიზაციო პლასტმასის მილში, ხოლო 2 აბს - თავისი შარვლის უკანა, მარცხენა ჯიბეში.

2006 წლის 3 მარტს, დაახლოებით 22.05 საათზე, გატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში, ... მე-11 მ/რაიონის, მე-2 კვარტლის, 32-ე კორპუსის, ბინა #44-ში, თავის საცხოვრებელ ბინაში დააკავეს ლ. ბ-ძე. გადაუდებელი აუცილებლობის გამო, კანონით დადგენილი წესით, გაჩხრეკეს მისი საცხოვრებელი ბინა, რა დროსაც სამზარეულოში, აბაზანიდან სამზარეულო ოთახში გამავალი საკანალიზაციო პლასტმასის მილიდან ამოიღეს ცისფერი პოლიეთილენის პარკში გახვეული, თავისავე კონვალუტაში მოთავსებული, 22 ცალი თეთრი, ოვალური ფორმის აბი, წარწერით - „ბ8". იმავე მილიდან ამოიღეს ასანთის კოლოფი, რომელშიც აღმოჩნდა თავისავე კონვალუტაში მოთავსებული, 4 ცალი თეთრი, ოვალური ფორმის აბი წარწერით - «ბ8» და თეთრი ფერის აბის ნატეხი. აღნიშნულის შემდეგ ლ. ბ-ძეს ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რის შედეგადაც მისი შარვლის მარცხენა, უკანა ჯიბიდან ამოღებულ იქნა ვერცხლისფერ ქაღალდში გახვეული, კონვალუტაში მოთავსებული, თეთრი, ოვალური ფორმის 2 აბი - წარწერით «ბ8».

შსს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით ლ. ბ-ძის პირადი ჩხრეკისას ამოღებული 2 აბი, ასევე მისი ბინის ჩხრეკისას ამოღებული 26 აბი და 1 აბის ნატეხი წარმოადგენს პრეპარატ „სუბოტექსს», რომელიც შეიცავს ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინს», საერთო წონით - 0, 228 გრამს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ლ. ბ-ძის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა. აპელანტმა ითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და ლ. ბ-ძის გამართლება. აღნიშნულის საფუძველად ადვოკატმა მიუთითა შემდეგ გარემოებებზე: აპელანტის მითითებით, არც გამოიძიებამ და არც პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დაკითხეს მოწმე ლ. ც-ძე და მეზობლები, რომელთა დაკითხვაც დაცვის მხარემ იშუამდგომლა. ადვოკატის განცხადებით, სასამართლომ არ შეაფასა ის ფაქტი, რომ თუ დამნაშავეს სახლში სამხილი აქვს, იგი პატრულს არ გამოიძახებდა, ან სოდ-ის თანამშრომლები მასთან შესვლას რომ ცდილობდნენ, ამ სამხილს გაანადგურებდა. აპელანტის მითითებით, საქმეში არსებული ბინის ჩხრეკის ოქმი დაუშვებელი მტკიცებულებაა, ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობის პირობა. ადვოკატის შეფასებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით ლ. ბ-ძეს სრულიად უსამართლოდ ჩამოერთვა ავტომანქანა „ოპელ-ომეგა», რომელიც მისი სიძის საკუთრება იყო და ფული, რომელიც ოჯახის საკუთრებას წარმოადგენდა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულის ადვოკატმა ლ. ბ-ძის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 სექტემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ლ. ბ-მის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ლ. კ-მემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა აღნიშნა, რომ სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნები სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად საქმის გამოკვლევის შესახებ; გამამტყუნებელი განაჩენი ემყარება ეჭვებსა და ვარაუდებს; მტკიცებულებები მოპოვებულია საპროცესო ნორმების დარღვევით. ამდენად, ადვოკატმა ლ. კ-მემ ითხოვა გასაჩივრებული უკანონო განაჩენის გაუქმება, სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტა ლ. ბ-მის მიმართ, მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო და მსჯავრდებულის გამართლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ მსჯავრდებულ ლ. ბ-მის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ლ. კ-მის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ შემდეგი გარემოებების გამო:

პალატა არ იზიარებს ადვოკატ ლ. კ-მის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას სააპელაციო სასამართლოს უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმების, ლ. ბ-მის მიმართ საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის „ა« ქვეპუნქტის საფუძველზე საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ, უსაფუძვლობის გამო.

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულ ლ. ბ-მის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები.

პალატას მიაჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მოწმეების - დ. ჟ-იასა და თ. მ-შვილის ჩვენებებით, ეჭვმიტანილის დაკავების, ლ. ბ-მის ბინისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით, სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის #289/სქ დასკვნით, ნივთმტკიცებად ცნობის დადგენილებებითა და საქმის სხვა მასალებით მსჯავრდებულისათვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და, პალატის აზრით, სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილში.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ლ. ბ-მის კუთვნილი ა/მანქანის - „ოპელ-ომეგას« და მისი პირადი ჩხრეკისას ამოღებული ფულადი თანხის ჩამორთმევასა და სახელმწიფო ბიუჯეტისათვის გადაცემას, პალატის აზრით, არასწორია, რადგან სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სსსკ-ის 52-ე მუხლის I ნაწილის თანახმად: „ქონების ჩამორთმევა ნიშნავს დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას«. იმავე მუხლის III ნაწილის საფუძველზე კი „დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა სასამართლოს მიერ ხდება იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ ეს ქონება დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული«.

განაჩენით დადგენილადაა მიჩნეული, რომ ლ. ბ-მემ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების განსაკუთრებით დიდი ოდენობით შეძენა, შენახვა და არა გასაღება. ავტომანქანის ჩხრეკის ოქმით დადგენილია, რომ ლ. ბ-მის ა/მანქანის - „ოპელ-ომეგას«, ჩხრეკის შედეგად არაფერი აღმოჩენილა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობდა სსსკ-ის 52-ე მუხლის გამოყენების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 სექტემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ლ. ბ-მის სასიკეთოდ, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი, ა/მანქანა „ოპელ-ომეგასა« და მისი პირადი ჩხრეკისას ამოღებული ფულადი თანხის სახელმწიფო ბიუჯეტისათვის გადაცემის შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 52-ე მუხლით, სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ა«, „დ« ქვეპუნქტებითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ლ. ბ-მის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ლ. კ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 სექტემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ:

მსჯავრდებულ ლ. ბ-მეს განაჩენიდან ამოერიცხოს მითითება საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ა/მანქანის - „ოპელ-ომეგასა» და მისი პირადი ჩხრეკისას ამოღებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტისათვის გადაცემის შესახებ და აღნიშნული ნივთმტკიცებები დაუბრუნდეს მესაკუთრეს ან კანონიერ მფლობელს.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საგნის ნივთმტკიცებად ცნობა

განჩინება

#804-აპ

27 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),

ზ. მეიშვილი,

დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. მ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ხ-ვის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 აპრილის განაჩენზე ი. მ-შვილისა და კ. მ-შვილის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 7 თებერვლის განაჩენით ი. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273-ე მუხლით, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, ასევე, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და გადაზიდვა.

ამავე განაჩენით კ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და გადაზიდვა.

ი. მ-შვილისა და კ. მ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ, ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებისათვის 2006 წლის 26 ივნისს ი. მ-შვილს შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი - ჯარიმა 75 ლარის ოდენობით.

2006 წლის 13 სექტემბერს ი. მ-შვილი გორის რაიონის შს სამმართველოს თანამშრომლებმა შეამოწმეს შიდა ქართლის საექსპერტო კრიმინალისტიკურ განყოფილებაში. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ იგი იმყოფებოდა ნარკოტიკული ნივთიერება „მეთადონის» ზემოქმედების ქვეშ.

ი. მ-შვილმა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან, შემდგომში რეალიზაციის მიზნით, უკანონოდ შეიძინა დიდი ოდენობით - 0,89088 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მეთადონი», რომლის ნაწილი - 0,6244 გრამი, 2007 წლის 14 მაისს გორის კულტურისა და დასვენების პარკში ასევე უკანონოდ, 600 აშშ დოლარად გაასაღა თავის ნაცნობ კ. მ-შვილზე. აღნიშნული ნარკოტიკი ამოიღეს 2007 წლის 14 მაისს, კ. მ-შვილის პირადი ჩხრეკისას.

2007 წლის 14 მაისს ი. მ-შვილმა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში შეძენილი ნარკოტიკული საშუალება „მეთადონის» ნაწილი, საერთო წონით - 0,266885 გრამი, უკანონოდ შეინახა თავის საცხოვრებელ ბინაში, რომლის ნაწილი, წონით - 0,17995 გრამი, ასევე უკანონოდ გადაზიდა თავისი ავტომანქანა „ლექსუსით» გორის კულტურისა და დასვენების პარკში, რა დროსაც ის დააკავეს შსს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა. ი. მ-შვილის ავტომანქანის ჩხრეკისას, სახურავის ლუქის საფარის ზედაპირიდან, ამოღებულ იქნა მის მიერ უკანონოდ შეძენილი, შენახული და გადაზიდული, ვერცხლისფერ ქაღალდში შეხვეული ნარკოტიკული საშუალება, რომელიც, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, წარმოადგენს „მეთადონს». მის საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული ჩხრეკისას საძინებელ ოთახში, ტანსაცმლის კარადაში, ჯინსის შარვლის წინა, მარჯვენა ჯიბიდან ამოიღეს ასევე უკანონოდ შეძენილი და შენახული, ვერცხლისფერ ქაღალდში შეხვეული ნარკოტიკული საშუალება „მეთადონი» - გამჭვირვალე კრისტალური ნივთიერება ფხვნილთან ერთად, წონით - 0,08995 გრამი, რომელიც წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალება „მეთადონის» შემცველ ნარევს, წონით - 0,08653 გრამი.

აღნიშნული ქმედებისათვის ი. მ-შვილს საბოლოოდ მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო კ. მ-შვილს - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულებს სასჯელის მოხდა დაეწყეთ

2007 წლის 14 მაისიდან. ი. მ-შვილს დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 50 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა კ. მ-შვილმა და მსჯავრდებულ ი. მ-შვილის ადვოკატმა დ. ხ-კმა. აპელანტებმა ითხოვეს დანიშნული სასჯელების შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 აპრილის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებულ ი. მ-შვილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი დ. ხ-კი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ გორის რაიონულმა სასამართლომ ი. მ-შვილს უმკაცრესი სასჯელი დაუნიშნა მხოლოდ იმიტომ, რომ ნასამართლევა; სასამართლომ არ გაითვალისწინა მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები; დაცვის მხარემ სააპელაციო სასამართლოს წარუდგინა ცნობა საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოდან, რომ ი. მ-შვილი ნასამართლევი არ არის; იგი გულწრფელად აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს; მზად არის, ითანამშრომლოს სამართალდამცავ ორგანოებთან; ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და შვილიშვილი; აქვს მუდმივი სამსახური და ხასიათდება დადებითად; სამწუხაროდ, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა არც ერთი ზემოაღნიშნული გარემოება და უცვლელად დატოვა რაიონული სასამართლოს განაჩენი; სააპელაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე გამოტანილ განაჩენში ისეთი მოსაზრებები შეიტანა, რომლებიც გორის რაიონულ სასამართლოს არ უცნია დადასტურებულად; აღნიშნულით სააპელაციო სასამართლომ გადაამეტა თავის უფლებამოსილებას, რითიც უხეშად დაარღვია საქართველოს კანონმდებლობა და ადამიანის უფლებები; გარდა ამისა, სასამართლომ არ გამოიკვლია და არ შეაფასა სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები, რითიც დასტურდება საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ი. მ-შვილის მიმართ ხორციელდება მიზანმიმართული პიროვნული დევნა; ამის თქმის საფუძველს იძლევა მისთვის დანიშნული უმკაცრესი სასჯელი; გარდა ამისა, ავტომატურად „ლექუსი« პატრონს არ დაბრუნებია.

გარდა ამისა, წარმოდგენილია ი. მ-შვილის ადვოკატ გ. ტ-შვილის დამატებითი საკასაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებს ადვოკატ გ. ტ-შვილის დამატებითი საკასაციო საჩივარზე, ვინაიდან იგი შეტანილია კანონით დადგენილი ვადის დარღვევით. კერძოდ, სსსკ-ის 554-ე მუხლის შესაბამისად, დამატებითი საკასაციო საჩივარი შეაქვეთ 526-ე მუხლით დადგენილი წესით, რომლის შესაბამისად, დამატებითი საჩივრის შეტანა შესაძლებელია მხოლოდ გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილ, ერთი თვის ვადაში.

პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ნივთმტკიცებათა შეკრების საპროცესო კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა. ამასთან, ჩხრეკის ოქმებში მითითებული და ამოღებული საგნები, სსსკ-ის 121-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და 130-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნათა დარღვევით, არ არის ცნობილი ნივთმტკიცებად და ამის შესახებ პროცესის მწარმოებელი ორგანოს დადგენილება (განჩინება) საქმეში არ მოიპოვება. ამდენად, დარღვეულია მტკიცებულებათა საპროცესო დამაგრების წესი, რასაც პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში სათანადო ყურადღება არ მიექცა.

საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 121-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და 130-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, პროცესის მწარმოებელი ორგანო, მათ შორის - სასამართლო, უფლებამოსილია კანონით განსაზღვრული წესით საგანი ნივთმტკიცებად ცნოს თავისი დადგენილებით ან განჩინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი ი. მ-შვილისა და კ. მ-შვილის მიმართ უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რის გამოც პალატა არ მსჯელობს საკასაციო საჩივრის მოტივებზე და კ. მ-შვილის მიმართ სააპელაციო პალატის განაჩენის კანონიერებაზე, დასაბუთებულობასა და სამართლიანობაზე.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ უნდა იმსჯელოს საკასაციო პალატის მითითებებზე, აღმოფხვრას ნივთმტკიცებათა საპროცესო დამაგრებისას დაშვებული დარღვევები და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, 570-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 აპრილის განაჩენი ი. მ-შვილისა და კ. მ-შვილის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნივთმტკიცების საპროცესო დამაგრება

განჩინება

#1264-აპ

22 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. მ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ა-ურისა და აჭარის ა/რ პროკურატურის პროკურორ გ. თ-ძის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 მარტის განაჩენით მ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა« და „ე« ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და გადაზიდვა იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ანალოგიური დანაშაული, რაც გამოიხატა შემდეგში:

მ. მ-შვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 20 ივლისის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273-ე მუხლით, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა«, „ბ« ქვეპუნქტებით და მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით. მან პირობითი მსჯავრის პერიოდში, დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი«, რომელსაც უკანონოდ ინახავდა. 2007 წლის 6 ივნისს მ. მ-შვილმა ზემოაღნიშნული ნარკოტიკული ნივთიერება უკანონოდ გადაზიდა ბათუმში, ერასა და თაყაიშვილის ქუჩების გადაკვეთის ადგილამდე, რა დროსაც ის გააჩერეს აჭარის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, რომლებმაც სამსახურებრივი მანქანით შესამოწმებლად იგი წაიყვანეს აჭარის საექსპერტო კრიმინალისტიკური სამსახურის ნარკოლოგიურ კაბინეტში. მ. მ-შვილმა ავტომანქანის უკანა სავარძელსა და საზურგეს შორის გადამალა ერთჯერადი სამედიცინო შპრიცი მასში მოთავსებული მოყავისფრო სითხით, რაც შეამჩნიეს პოლიციის თანამშრომლებმა და ეს შპრიცი მასში მოთავსებული სითხით ამოიღეს გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული ამოღების დროს. სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, ერთჯერად შპრიცში მოთავსებული 0,3 მლ სითხე აღმოჩნდა კუსტარული წესით დამზადებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის« ხსნარი, რომელიც შეიცავს 0,006 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს«.

აღნიშნული ქმედებისათვის მ. მ-შვილს მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დაწინაურებული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 4 წელი, 10 თვე, 22 დღე და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის, 10 თვისა და 22 დღის ვადით; მასვე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 3 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მ. მ-შვილს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 6 ივნისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატებმა - ლ. ა-ურმა და ლ. ქ-შვილმა. მათ ითხოვეს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება, მ. მ-შვილის მიმართ სისხლის-სამართლებრივი დევნის შეწყვეტა სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა« ქვეპუნქტის საფუძველზე და მისი განთავისუფლება სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ივლისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი შეიცვალა: მ. მ-შვილის ქმედება სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა« და „ე« ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა 273-ე მუხლზე და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა; საბოლოოდ მას განესაზღვრა 5 წლით, 10 თვითა და 22 დღით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 3 ათასი ლარის ოდენობით.

კასატორი - მსჯავრდებულ მ. მ-შვილის ადვოკატი ლ. ა-ური საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი დაუსაბუთებელია, უკანონოა და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის განხილვისას არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი; განაჩენი ემყარება კანონით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს, რამაც გავლენა მოახდინა კანონიერი, საფუძვლიანი და სამართლიანი განაჩენის დადგენაზე, კერძოდ:

განაჩენის სამოტივაციო ნაწილში მითითებული გარემოებები არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილი და სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებებიდან; 2007 წლის 6 ივნისის ადმინისტრაციული დაკავების ოქმით დადგენილია, რომ დაკავებულ მ. მ-შვილს ჩაუტარდა პირადი და ნივთების გასინჯვა, რა დროსაც მას კანონსაწინააღმდეგო არაფერი აღმოჩენია; ამავე რიცხვით დათარიღებული, შსს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს აჭარის ა/რ-ის საექსპერტო-

კრიმინალისტიკური სამსახურის მიერ გაცემული გამოკვლევის #3141 დასკვნით დადგენილია, რომ მ. მ-შვილი არ იმყოფებოდა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ. ამ დოკუმენტებით უდავოდ დადასტურებულია, რომ მ. მ-შვილი უდანაშაულოა, ხოლო საქმეზე ნივთმტკიცებად წარმოდგენილი სისხლიანი შპრიცი მსჯავრდებულის კუთვნილება რომ არ არის, დადასტურებულია იმითაც, რომ საქმიდან საექვოდაა გამქრალი მ. მ-შვილის უდანაშაულობის დამადასტურებელი მტკიცებულება - დაქტილოფირი. საპატრულო მანქანიდან ამოღებული შპრიცის ზედაპირიდან სპეციალისტებმა დაქტილოფირზე გადაიტანეს თითის კვალი ზომით - 43:41; საქმის მასალებით, ეს ფირი გადაიგზავნა საექსპერტო დაწესებულებაში პირის იდენტიფიკაციისათვის; დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნით, დაქტილოფირი უვარგისი აღმოჩნდა იდენტიფიკაციისათვის, ვინაიდან თითის კვალის აგებულებაში არ აისახა საკმარისი ინდივიდუალური ნიშნები; დაცვის აზრით, საქმის მასალებიდან ნივთმტკიცების გაქრობა პირდაპირ კავშირშია მ. მ-შვილის უდანაშაულობასთან, სხვა შემთხვევაში ნივთმტკიცება, ვარგისიანი თუ უვარგისი, საქმეს უნდა ერთვოდეს.

სსსკ-ის 121-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და 130-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საგანი ნივთიერ მტკიცებულებად უნდა იყოს ცნობილი პროცესის მწარმოებელი ორგანოს სპეციალური განჩინებით ან დადგენილებით; მოცემულ შემთხვევაში წინასწარი გამოძიების მწარმოებელმა ორგანომ არ გამოიტანა დადგენილება ამოღებული საგნის ნივთმტკიცებად ცნობისა და საქმეზე დართვის შესახებ; კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება კი დაუშვებლად უნდა იყოს ცნობილი, ისევე, როგორც მოწმეთა ურთიერთგამომრიცხავი და ცრუ ჩვენებები; სისხლის სამართლის საქმის პირველადი დოკუმენტია 265-ე მუხლის 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დოკუმენტები - წერილობითი ან ზეპირი ცნობა დანაშაულის ჩადენის შესახებ; ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის მასალებში არ არის სსსკ-ის 265-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნით დადგენილი პირველადი დოკუმენტი, რომელშიც მითითებული უნდა ყოფილიყო, თუ როდის, ვისგან და როგორი საშუალებით შეიტყვეს ვ. მ-მემ და კ. უ-შვილმა სავარაუდო ექვმიტანილის შესახებ; ეს პოლიციელები ცრუობენ, როდესაც ამბობენ, რომ შეტყობინება რადიოსადგურზე მიიღეს სამსახურის სამორიგეო ნაწილიდან და ისე დეტალურად აღწერეს სავარაუდო ექვმიტანილი, რომ მათ ქუჩაში, ხალხმრავალ ადგილზე პირველი დანახვისთანავე ამოიცნეს და დააკავეს იგი; სწორედ მ. მ-შვილისადმი პირადი დაინტერესება გახდა იმის მიზეზი, რომ საქმეში არ არის პირველადი დოკუმენტი და მოწმეები ვერ ასახელებენ მათ მიერ წარმოდგენილი მონაცემების წყაროს. ამიტომ, სსსკ-ის 111-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მტკიცებულება დაუშვებლად მიიჩნევა, თუ იგი მიღებულია იმ პირისაგან, რომელიც ვერ ასახალებს, თუ რომელი წყაროდან, სად, როდის და როგორ გამოვლინდა მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები; აღნიშნულის შესახებ არაფერია ნათქვამი წინასწარი გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათშიც, რაზეც გამომძიებელმა ა. ჭ-მემ სასამართლო სხდომაზე მხოლოდ ის განაცხადა, რომ იყო შეცდომა.

კასატორის აზრით, მ. მ-შვილის მიმართ ინკრიმინირებულ ქმედებას, თავისუფლად შეიძლება, ეწოდოს „პროვოკაცია პოლიციელთა მხრიდან»; საქმის მასალების მიხედვით, მ. მ-შვილის ნივთმტკიცების განადგურების საშუალება ნამდვილად ჰქონდა მას შემდეგ, რაც კ. უ-შვილმა დააფიქსირა და ხმამაღლა განაცხადა შპრიცის დამალვის შესახებ, შემდეგ კი მშვიდად გააგრძელა ავტომანქანის საჭესთან ჯდომა; ასევე მშვიდად გააგრძელა ვ. მ-მემ საშუალო ბიუროში დაკავებულის ტელეფონის ჩაბარების ცერემონიალი და საშვის გამოწერა, რის შემდეგაც აუღელვებლად დაბრუნდა მანქანაში, არ დაინტერესდა, თუ რა დამალა მ. მ-შვილმა სავარძლებს შორის, მოთავსდა კ. უ-შვილის გვერდით და ავტომანქანა გადაიყვანეს საპატრულო პოლიციის ტერიტორიაზე, მხოლოდ ამის შემდეგ გამოიძახეს გამომძიებელი. მომხდართან დაკავშირებით პოლიციის თანამშრომლების გულგრილი დამოკიდებულება პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ მ. მ-შვილი პროვოცირებული დანაშაულის მსხვერპლი გახდა.

ბრალდებამ არადამაჯერებლად წარმოადგინა პირობით მსჯავრდებულ მ. მ-შვილის ქმედება იმასთან დაკავშირებით, რომ მან პოლიციელთა დასანახად დამალა ნარკოტიკული საშუალება ავტომანქანაში; მართლაც მისი რომ ყოფილიყო შპრიცი ნარკოტიკული საშუალებით, გაცილებით მარტივი იქნებოდა მისი განადგურება - შპრიცში არსებული სითხის მანქანაში შეუმჩნეველად დაღვრა; სწორედ ამიტომ ლოგიკური არ არის პოლიციელთა ჩვენება იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულის უმოქმედოდ, სრულიად მარტო იჯდა ავტომანქანის უკანა სავარძელზე მას შემდეგ, რაც კ. უ-შვილმა დაინახა შპრიცის დამალვის ფაქტი.

გარდა აღნიშნულისა, წინასწარი გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათსა და აჭარის საპატრულო პოლიციის სამმართველოს უფროსის 2007 წლის 6 ივნისით დათარიღებულ წერილში აღნიშნულია, რომ მ. მ-შვილმა პოლიციის მანქანიდან გადასვლამდე მანქანის საზურგესა და სავარძელს შორის დამალა ერთჯერადი საინექციო შპრიცი მასში არსებული 0,3 მგ ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის» ხსნარით; თუ არა პოლიციის მხრიდან პროვოცირებული დანაშაული, საიდან შეიძლებოდა სცოდნოდათ იმავე დღეს პატრულის თანამშრომლებს იმის შესახებ, რომ შპრიცში იყო ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი», მაშინ, როდესაც ექსპერტიზის დასკვნა გაცემულია მეორე დღეს.

რაც შეეხება მოწმე ა. მ-მის ჩვენებას, მან განაცხადა, რომ მას გამომძიებელმა ანახა ჩვეულებრივი ორგანიზაციის შპრიცი, რომელშიც მოთავსებული იყო ჩვეულებრივი სითხე (და არა - განსხვავებული ფერის); მოცემულ შემთხვევაში ა. მ-მის ჩვენება არსებითად განსხვავდება პოლიციის მუშაკების ჩვენებებისაგან, რაც დღემდე არ აღმოფხვრილა და ექვქვემ აყენებს სასამართლო დასკვნებს; განაჩენის

გაუქმების ერთ-ერთი საფუძველია წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის არასრულობა და ცალმხრივობა; სასამართლო გამოძიების დროს არასრულად დაიკითხნენ ის პირები, რომელთა ჩვენებასაც მნიშვნელობა ჰქონდა ჭეშმარიტებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის დასადგენად; გარდა ამისა, ა. მ-ძის ჩვენებით დასტურდება ისიც, რომ საგამომიებო მოქმედება, რომელშიც ის მონაწილეობდა, ჩატარდა კანონის მოთხოვნათა არსებითი დარღვევით; ამოღების ოქმში მითითებული არ არის შპრიცში არსებული სითხის ოდენობა, რასაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

დაცვის აზრით, სამართალწარმოებისას დაუშვეს საპროცესო კანონმდებლობის ისეთი დარღვევები, რომლებიც განაჩენის გაუქმებისა და ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის უპირობო საფუძველს წარმოადგენს; სააპელაციო სასამართლომ აღიარა, რომ საქმის მასალებით უტყუარად ვერ დადგინდა, რომ შპრიცში მოთავსებული სითხე წარმოადგენდა ნარკოტიკულ საშუალებას „ჰეროინს“; პირველი ინსტანციის სასამართლოში დაიკითხა ექსპერტი მ. მ-ძე, რომელმაც ვერ დაადასტურა თავის მიერ გაცემული დასკვნისა და ჩატარებული გამოკვლევის სინამდვილე; მეტიც, მისი ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებებით დადასტურდა, რომ არანაირი გამოკვლევა არ ჩატარებულა და ექსპერტმა მ. მ-ძემ გასცა ყალბი დასკვნა; სსსკ-ის 373-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ექსპერტის დასკვნა დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ ის არ დასტურდება ექსპერტის ზეპირი ჩვენებით სასამართლოში; ექსპერტმა მ. მ-ძემ დაცვის მხარის შეკითხვაზე განაცხადა, რომ დასკვნაში მითითებული წონა არის „აცეტილმორფინისა“ და „მორფინის“ („ჰეროინის“ ქიმიური სახელწოდებაა „დიაცეტილმორფინი“).

სასამართლომ ვერ დაასაბუთა მიღებული გადაწყვეტილება, თუ რატომ მიიჩნია ნივთმტკიცება „მორფინად“ და არა - „აცეტილმორფინად“; ასევე ვერ დაასაბუთა ის გადაწყვეტილება, რომ ნივთმტკიცება, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით დამტკიცებული ნუსხის მიხედვით, რიგით 114-ეს წარმოადგენს; ამ დადგენილებაში „მორფინის“ სამი სახეობაა მითითებული; ლოგიკურად ისმება კითხვა - რატომ 114-ე და არა - 115-ე ან 116-ე? ნარკოტიკულ ნივთიერებას, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, სასამართლო თავისი შინაგანი რწმენით ვერ შეაფასებდა; აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ ამოღებული სითხე შეიცავდა „მორფინს“, არ გამომდინარეობს სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებიდან.

დაცვის მხარემ იშუამდგომლა ალტერნატიული ექსპერტიზის ჩასატარებლად ნივთმტკიცების იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზების ეროვნულ ბიუროში გადაგზავნის თაობაზე, რაზეც სასამართლომ უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ: „უკვე ჩატარებული ქიმიური ექსპერტიზით დადგენილია ნარკოტიკული ნივთიერების სახე და რაოდენობა, ხოლო მის წონას არ შეუძლია გავლენა მოახდინოს დანაშაულის კვალიფიკაციაზე“; სამოტივაციო ნაწილში სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ: „ჯერ ქიმიური, შემდეგ კი - ბიოლოგიური ექსპერტიზების ჩატარებისას მთლიანად გაიხარჯა სავლევო ნივთიერება, რის გამოც აღარ არსებობს განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობა“; აღნიშნულიდან გამომდინარე, განაჩენი ვერ იქნება კანონიერი და დასაბუთებული.

ნივთმტკიცებაზე ჩატარდა ორი სახის ექსპერტიზა - ქიმიური და ბიოლოგიური; ქიმიკოსების განცხადებით, სითხე იყო ყავისფერი, ხოლო ბიოლოგები ამბობენ, რომ სითხე იყო წითელი; ამ წინააღმდეგობის აღმოსაფხვრელად დაცვის მხარემ გამოითხოვა ნივთმტკიცება, რომელიც 2008 წლის 24 ივნისს მხარეთა მონაწილეობით გაიხსნა; დალუქულ, მცირე ზომის ქაღალდის კონვერტში აღმოჩნდა ცარიელი ინსულინის შპრიცი; დათვალა ცარიელი კონვერტიც; ექსპერტებმა - ნ. ჩ-ანმა და ნ. ნ-შვილმა განმეორებითი დაკითხვისას განაცხადეს, რომ შპრიცში დარჩენილი სითხე, შემდგომი კვლევის ჩატარების მიზნით, დაასხეს დოლბანდის პატარა ნაჭურზე, რომელიც შპრიცთან ერთად უნდა ყოფილიყო კონვერტში; მხარეთა მონაწილეობით განმეორებით გაიხსნა კონვერტი; საოცარია, მაგრამ მასში აღმოჩნდა ღია ყავისფერი ზომის დოლბანდი, მაგრამ არც ისეთი პატარა ზომის, რომ მისი შემჩნევა პირველი დათვალაირების დროს არ ყოფილიყო შესაძლებელი; პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, თუ საიდან აღმოჩნდა კონვერტში ქაღალდში გახვეული დოლბანდი.

სასამართლომ არ შეამოწმა მსჯავრდებულის დამცველების მიერ ბრალდების გასაბათილებლად წარმოდგენილი წერილობითი მოსაზრებები, რომლებიც მომზადებული იყო მუშაობის დიდი სტაჟის მქონე, კვალიფიციური ექსპერტების მიერ; კონკრეტულ შემთხვევაში მსჯავრდებულის მიმართ დაირღვა საქართველოს სსსკ-ის 538-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ნორმა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატი ლ. ა-ური ითხოვს თავისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ საქმის შეწყვეტას.

პროკურორი გ. თ-ძე თავის საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, გამოსაკვლევად წარდგენილ შპრიცში არსებული სითხე კუსტარულად დამზადებული «ჰეროინია». ამასთან, სასამართლოში დაკითხულმა ექსპერტმა კატეგორიულად დაადასტურა თავისი დასკვნა. სააპელაციო სასამართლომ თავისი შეხედულები გამორიცხა საკვლევ ობიექტში «ჰეროინის» არსებობა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში უნდა ჩატარებულიყო დამატებითი ქიმიური ექსპერტიზა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორი მოითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და საქმის ახალი სასამართლო განხილვისათვის დაბრუნებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ნივთმტკიცებათა შეკრების საპროცესო კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა. ამასთან, ამოღების ოქმში მითითებული საინექციო შპირიცი, სსკ-ის 121-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და 130-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნათა დარღვევით, არ არის ცნობილი ნივთმტკიცებად და ამის შესახებ პროცესის მწარმოებელი ორგანოს დადგენილება (განჩინება) საქმეში არ მოიპოვება. ამდენად, დარღვეულია მტკიცებულებათა საპროცესო დამაგრების წესი, რასაც პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში სათანადო ყურადღება არ მიექცა.

საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 121-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და 130-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, პროცესის მწარმოებელი ორგანო, მათ შორის - სასამართლო, უფლებამოსილია კანონით განსაზღვრული წესით საგანი ნივთმტკიცებად ცნოს თავისი დადგენილებით ან განჩინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი მ. მ-შვილის მიმართ უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რის გამოც პალატა არ მსჯელობს საკასაციო საჩივრების მოტივებზე.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ უნდა იმსჯელოს საკასაციო პალატის მითითებებზე, აღმოფხვრას ნივთმტკიცების საპროცესო დამაგრებისას დაშვებული დარღვევები და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, 570-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ივლისის განაჩენი მ. მ-შვილის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. განზრახ მკვლელობა (მცდელობა)

განზრახ მკვლელობა

განჩინება

#2211-ა3

14 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

ლ. მურუსიძე,

დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. მ-იანის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. კ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 ივნისის განაჩენით ა. მ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 108-ე მუხლით და მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 13 ოქტომბრიდან.

განაჩენის მიხედვით, ა. მ-იანის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2003 წლის 3 აპრილს, დაახლოებით 18 საათზე, ქ. თბილისში, ... გამზირის #39-ში მდებარე ს. ნ-ძის საცხოვრებელ ბინაში შეიკრიბნენ მ. ნ-ავა, ა. მ-იანი, ნ. მ-შვილი, ნ. ნ-ძე. ისინი აღნიშნავენ ნ. ნ-ძის დაბადების დღეს. მოგვიანებით მათ შეუერთდა ნ. მ-შვილის მეგობარი მ. დ-ია.

სუფრაზე ა. მ-იანსა და მ. დ-იას შორის, ამ უკანასკნელის მიზეზით, სადღევრძელსთან დაკავშირებით, წარმოიშვა კამათი, თუმცა იგი არ გადაზრდილა ფიზიკურ დაპირისპირებაში, ვინაიდან

ნ. მ-შვილმა, რომელიც ცხოვრობდა იმავე სადარბაზოს IV სართულზე მდებარე ბინაში, შეძლო მ. დ-იას დამშვიდება და სიტუაციის შესაძლო გართულებისაგან თავის არიდების მიზნით, მისი ჩაყვანა თავის ბინაში. ამ პერიოდში ნ. ნ-მემ დატოვა სუფრა და გაჰყვა მეუღლეს, რომელიც მას მანქანით ელოდებოდა სადარბაზოს შესასვლელთან, ხოლო ბინაში დარჩნენ მ. ნ-ავა, ს. ნ-ძე და ა. მ-იანი.

მ. დ-ია, რომელიც უსაფუძვლოდ ეჭვიანობდა ნ. მ-შვილსა და ა. მ-იანს შორის შესაძლო ახლო ურთიერთობაზე, გამოხატავდა აგრესიას ამ უკანასკნელის მიმართ. ნ. მ-შვილი სთხოვდა მ. დ-იას დაწყნარებულიყო, რადგან მისი ეჭვები არ იყო რეალური. მიუხედავად თხოვნისა, მ. დ-ია ავიდა მე-5 სართულზე და ს. ნ-ძის ბინის კარზე, ხელებისა და ფეხების ბრახუნით, გინებით მოითხოვა ა. მ-იანთან ურთიერთობის გარკვევა. მას კარი არ გაუღეს, რადგან ბინაში მყოფი პირები ტელეფონის საშუალებით გააფრთხილა ნ. მ-შვილმა, რომ მ. დ-ია თავისი აგრესიულობის გამო არ შეეშვათ ა. მ-იანთან.

განაწყენებულმა მ. დ-იამ ბინიდან ძალით გამოიყვანა ნ. მ-შვილი, აიყვანა მე-5 სართულზე და მის მიმართ გამოხატული სიტყვიერი მუქარის გამო მ. ნ-ავას გააღებინა ს. ნ-ძის ბინის კარი.

მისაღებ ოთახში შესვლისთანავე მ. დ-იამ დაიწყო გინება და მუქარა ა. მ-იანის მიმართ. იგი უყვიროდა ნ. მ-შვილს: „ამ არაკაცთან როგორ მილაღატე“, რა დროსაც საძინებელი ოთახიდან გამოსულ ა. მ-იანსა და მ. დ-იას შორის აღნიშნულ ნიადაგზე წარმოიშვა ჩხუბი. კონფლიქტით, ეჭვიანობის საფუძველზე გამოვლენილი შეურაცხყოფითა და უსაფუძვლო ბრალდებით განაწყენებულმა ა. მ-იანმა გადაწყვიტა შური ეძია მ. დ-იაზე და განიზრახა მისი მოკვლა.

დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ა. მ-იანმა, ხელთ არსებული დანით, მ. დ-იას მიაყენა გულმკერდის ღრუში შემავალი ჭრილობა, რაც გახდა მისი სიკვდილის უშუალო მიზეზი, ხოლო ა. მ-იანი დანაშაულის ჩადენის შემდეგ შემთხვევის ადგილიდან მიიძალა.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ა. მ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 108-ე მუხლით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ა. მ-იანის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ლ. კ-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და ა. მ-იანის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას, ვინაიდან მას არ ჩაუდენია დანაშაული და მისი ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო.

კასატორი აღნიშნავს, რომ ვერც პირველი ინსტანციისა და ვერც სააპელაციო სასამართლოებმა განაჩენით ვერ დასაბუთეს, თუ რატომ არ იყო ა. მ-იანის მიერ ჩადენილი მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში. სსკ-ის 28-ე მუხლი გარკვევით მიუთითებს, რომ მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ე.ი. ვინც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანებს ხელმყოფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, აუცილებელი მოგერიების უფლება პირს აქვს იმის მიუხედავად, შეუძლია თუ არა მას თავიდან აიცილოს ხელყოფა ან საშველად მოუხმოს სხვას. მოცემულ შემთხვევაში რეალური იყო საფრთხე დ-იას მხრიდან და ა. მ-იანს არა თუ განზრახ, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებითაც კი არ ჩაუდენია მკვლელობა.

ა. მ-იანი რომ აღნიშნულ მომენტში იმყოფებოდა ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში, დადასტურებულია ჩატარებული სასამართლო ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებითა და სასამართლო სხდომაზე მოწმეების სახით ექსპერტების მიერ მიცემული ჩვენებებით.

სასამართლომ ა. მ-იანის მიმართ მ. დ-იას განზრახ მკვლელობის ჩადენის ერთ-ერთ მთავარ მტკიცებულებად მიუთითა მოწმე მ. მ-შვილის მიერ მიცემულ ჩვენებაზე იმის შესახებ, რომ, როდესაც მ. დ-ია განმეორებით, ა. მ-იანის მიმართ მკვლელობის მუქარით, შეიჭრა მათთან სახლში, თითქოს ა. მ-იანი ოთახიდან გამოვიდა შემართული დანით. აღნიშნული არასწორია, რაც თვით გამოძიებასა და პროკურატურას არ გაუზიარებიათ საბრალდებო დასკვნით და იგი არც სხვა თვითმხილველი მოწმეების - ს. ნ-ძისა და მ. ნ-ავას ჩვენებებით არ არის დადასტურებული და ასეც რომ ყოფილიყო, ა. მ-იანი მაინც იქნებოდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, ვინაიდან მან იცოდა, რომ მ. დ-ია მოდიოდა მის მოსაკლავად, ხოლო მოწმეების სახით დაკითხული ექსპერტების - ლ. ჩ-ისა და ქ. ჩ-ძის ჩვენებებით, ამ შემთხვევაშიც კი ა. მ-იანი იქნებოდა ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში.

პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა განაჩენში განზრახ აუარეს გვერდი და არ დაასაბუთეს, თუ რა მიზნით შეიჭრა აწ გარდაცვლილი მ. დ-ია ა. მ-იანთან ბინაში.

ა. მ-იანი არის მორწმუნე, ეკლესიური კაცი, მას არც შეეძლო ჩაედინა დანაშაული. მიუხედავად ამისა, იგი გულწრფელად აღიარებს და ინანიებს მომხდარს, თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს, სულიერად განიცდის დაზარალებული ოჯახისადმი მიყენებულ მძიმე ტრავმას, მაგრამ აღნიშნული არ უნდა მივიჩნიოთ იმის დასტურად, რომ მას დანაშაული აქვს ჩადენილი, ვინაიდან ყოველივე ეს გამომდინარეობს მისი ადამიანურობიდან, სულიერებიდან და ეკლესიურობიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოებმა უგულვებელყვეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნები საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ ა. მ-იანის ბრალდებას სხვა მტკიცებულებებთან ერთად საფუძვლად დაუდო მოწმეების - ნ. მ-შვილის, ს. ნ-ძის, ნ. ნ-ძის ჩვენებები, მოწმე მ. ნ-ავას დაკითხვის ოქმი, კერძოდ, საქმეში არსებული, ნ. მ-შვილის ახსნა-განმარტებით ირკვევა, რომ: «მ. დ-ია ავიდა მეხუთე სართულზე ს. ნ-ძის ოჯახში. მ-ი რომ გავიდა, მე უცბად გადავრეკე და ვუთხარი, რომ კარები არ გაეღოთ და გავყვი მას. მ-ი იდგა ს-ს კარებთან და აბრაზუნებდა, მაგრამ ისინი არ აღებდნენ კარს... გაიღო კარები და კარში იდგა მ. ნ-ავა, რომელიც ეხვეწებოდა მ-ს, რომ დაწყნარებულიყო, მაგრამ არავის არ მოგვისმინა და შევარდა მისაღებ ოთახში. ა-ს მისამართით იგინებოდა. საძინებელი ოთახიდან გამოვარდა ა., რომელსაც ხელში ეჭირა დანა, მე შემეშინდა და ჩავდექი შუაში, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ამ დროს ა-მ მოიქნია დანა და დაარტყა მ-ის, იგი წაბარბაცდა, სახიდან მოძვრა სათვალე... ა-მ ისარგებლა და გამეტებით ურტყამდა მ-ს დანას თავისა და გულმკერდის არეში. მ-ს სახიდან და მუცლის არედან მოსდიოდა სისხლი, მაგრამ არ წაქცეულა».

მოწმის სახით დაკითხვისას ნ. მ-შვილმა აჩვენა, რომ: «სუფრასთან ა-სა და მ-ს შორის მოხდა შეკამათება... სახლში მან მოადულა ყავა, საუბრის დროს მითხრა, ა-თან საქმის გასარკვევად ზევით უნდა ავიდეო... მ-მ მ-ს დაუწყო ხვეწნა, რომ არ შესულიყო, მაგრამ მ-ი მაინც შევიდა სახლში, კერძოდ ზალაში და დაიძახა, გამოვიდეს ის «ასო». ამ დროს საძინებლიდან გამოვიდა ა., რომელსაც ეკავა გახსნილი დანა, თუ როგორი იყო, არ შემიმჩნევია. ა. გამოვიდა თუ არა, პირდაპირ წავიდა მ-ისკენ, მე ჩავდექი შუაში, დაუწყე ხვეწნა, რომ დანა არ დაერტყა მ-ისთვის. მან დანით ჩემსკენ გამოიწია, მე შემეშინდა და გავიწიე, რა დროსაც ა-მა მ-ს დაარტყა გულმკერდის არეში, რა დროსაც მას მოძვრა სათვალე სახიდან, რომლის გარეშეც მ-ი ვერ ხედავდა. ა-მა გააგრძელა დანის დარტყმა, მ-ს ურტყამდა გამეტებით სხეულის სხვადასხვა არეში... რომ არ ჩერდებოდა, ავიღე სკამი, ჩავარტყი ხელში, მინდოდა მისთვის დანა დამეგდებინებინა, იგი შემოტრიალდა ჩემსკენ დანით. მე შემეშინდა და გავიქეცი...»

საქმეში არსებული ს. ნ-ძის ახსნა-განმარტებით ირკვევა, რომ: «მ-იმ შეათრია ნ. თმებით და რტყმევით, თან ყვიროდა «ვისთან მილალატეო», წამოვიდა ზალისკენ, ა-ც ველარ დავაკავე და ერთმანეთს შეხედნენ სპალნის კარებთან. მ-იმ კვლავ შეაგინა, რის შემდეგაც დაიწყო ხელებით ჩხუბი, შემდეგ ა-ს ხელში დავინახე დანა. მ-ის სახეზე სდიოდა სისხლი. 2-3 წუთის განმავლობაში ჩხუბობდნენ ზალაში...».

მოწმის სახით დაკითხვისას ს. ნ-ძემ აჩვენა, რომ: «მ. დ-ია თმებით ათრევდა ნ-ს, თან იგინებოდა და ეჩხუბებოდა «ვისთან მილალატეო». ამ დროს ოთახიდან გამოვიდა ა-ც და მისაღები ოთახის კარში ერთმანეთს დაუწყეს ჩხუბი. ამ დროს ა-ს ხელში დავინახე დანა, რომელსაც იქნევდა მ. დ-იას მიმართულებით... მ. დ-იასა და ა. მ-იანის ჩხუბში არავინ ჩარეულა...»

საქმეში არსებული მ. ნ-ავას ახსნა-განმარტებით ირკვევა, რომ: «მ-ი კარზე აბრაზუნებდა და იგინებოდა... მე გავაღე კარები... ამ ჩხუბზე და გინებაზე გამოვიდა ა., რომელიც იყო წელს ზევით შიშველი. ა-მ უთხრა, რატომ იგინებო და დაარტყა მ-ს. მათ შორის მოხდა ჩხუბი. ჩხუბის დროს ა-მ ამოიღო დანა და ურტყამდა მ-ს. რაც შეეხება მ-ს, მას იარაღი ან დანა არ ჰქონია. მე ვცდილობდი, რომ დამეშვიდებინა, მაგრამ ვერ მოვახერხე...». მოწმის სახით დაკითხვისას მ. ნ-ავამ აჩვენა, რომ: «ა-მ გამოსვლისთანავე უსაყვედურა მ. დ-იას მკაცრი ტონით და თან ხელი გაარტყა, რის შემდეგაც მათ შორის დაიწყო ჩხუბი. მე ვცდილობდი მათ გაშველებას, ხოლო ნ. და ს. ჩავარდნენ ისტერიკაში. ჩხუბის დროს მე შევნიშნე ა-ის ხელში დანა, რომელიც რამდენჯერმე მოიქნია მ. დ-იას მიმართულებით და დაარტყა სხეულის სხვადასხვა ადგილას... მ. დ-ია თმებით ათრევდა ნ-ს, თან იგინებოდა და ეჩხუბებოდა «ვისთან მილალატეო». ამ დროს ოთახიდან გამოვიდა ა-იც და მისაღები ოთახის კარში ერთმანეთს დაუწყეს ჩხუბი. ამ დროს ა-ს ხელში დავინახე დანა, რომელსაც იქნევდა მ. დ-იას მიმართულებით... მ. დ-იასა და ა. მ-იანის ჩხუბში არავინ ჩარეულა...».

ამდენად, მოწმეების - ნ. მ-შვილის, ს. ნ-ძისა და მ. ნ-ავას მიერ მიცემულ ჩვენებებს შორის განსხვავებულია ის ფაქტობრივი გარემოებანი, თუ სად მოხდა აწ გარდაცვლილი მ. დ-იასა და ა. მ-იანის შეხვედრა - საძინებელი ოთახის კართან თუ მისაღებ ოთახში; სად გაიმართა მათ შორის ჩხუბი; ა. მ-იანს რა მომენტიდან ეკავა დანა ხელში - საძინებელი ოთახიდან გამოსვლისას თუ ჩხუბის დაწყების შემდეგ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენი ა. მ-იანის მიმართ უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

ხელახალი სასამართლო განხილვის დროს დეტალურად უნდა დაიკითხონ მოწმეები - ნ. მ-შვილი, ს. ნ-ძე და მ. ნ-ავა; სსსკ-ის 481-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნათა დაცვით, სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს მათ მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებები, ექსპერტიზების დასკვნები და მიღებულ შედეგებს მიეცეს სწორი სამართლებრივი შეფასება.

ამდენად, სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, ხელახალი სასამართლო განხილვის დროს, კიდევ ერთხელ გულდასმით უნდა შემოწმდეს და გამოკვლეულ იქნეს საქმეში არსებული ყველა მტკიცე-

ბულება, აღმოიფხვრას მათ შორის არსებული წინააღმდეგობები და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოხდეს გამოკვლევული მტკიცებულებების ერთობლივად შეფასება და მის საფუძველზე კანონიერი სასამართლო გადაწყვეტილების მიღება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენი ა. მ-იანის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობის მცდელობა

განჩინება

#1603აპ-07

22 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. ჩ-ოვის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 აგვისტოს განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ჩ-ოვი ამჟამად პატიმრობაში მყოფი, დმანისის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 14 მაისის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლისა და 108-ე მუხლის საფუძველზე, რისთვისაც მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით.

განაჩენით ნ. ჩ-ოვის მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 23 სექტემბერს, დაახლოებით 12 საათზე, ნ. ჩ-ოვი, იმყოფებოდა რა არაფხიზელ მდგომარეობაში, მივიდა დმანისის რაიონის სოფ. ... მაღაზიასთან, სადაც შეხვდა თანასოფელ ა. გ-ოვს. ნ. ჩ-ოვმა ა. გ-ოვს მოსთხოვა მისთვის ლუდის ყიდვა, რაზედაც მიიღო უარი. განაწყენებულმა ნ. ჩ-ოვმა ა. გ-ოვს დაუწყო უწმაწური სიტყვებით გინება, რაც შემდეგ გადაიზარდა კამათში, ხოლო მოგვიანებით - ჩხუბში. მათ ჩხუბს შეესწრო ამავე სოფელში მცხოვრები ვ. ა-ვევი, რომელმაც სიტუაციის განმუხტვის მიზნით ნ. ჩ-ოვი მოაშორა ა. გ-ოვს, გაიყვანა იგი 50-60 მეტრის მოშორებით და დააწყნარა. ვ. ა-ვევის წასვლის შემდეგ ნ. ჩ-ოვმა, განიმსჭვალა რა შურისძიების მოტივით, გააგრძელა ა. გ-ოვთან ჩხუბი, რასაც შეესწრო მათთან მისული ნ. ვ-ვევი, რომელიც შეეცადა მოჩხუბრების გაშვებას. ამ მიზნით მან ა. გ-ოვს უკნიდან დაუკავა ხელები, რითაც აღუკვეთა თავისუფალი მოძრაობის საშუალება. აღნიშნულით ისარგებლა ნ. ჩ-ოვმა და ჰქონდა რა ა. გ-ოვის მოკვლის განზრახვა, შურისძიების მოტივით შარვლის ჯიბიდან ამოიღო დასაკეცი დანა, გაშალა და ძლიერად დაარტყა ა. გ-ოვს მუცლის არეში, რითაც მას მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანება, შემავალი მუცლის ღრუში, ღვიძლის დაზიანებით. ამის შემდეგ, ხალხის ჩარევის გამო, ვერ მოიყვანა რა თავისი დანაშაულებრივი განზრახვა სისრულეში, მიიმალა შემთხვევის ადგილიდან. მძიმედ დაჭრილი ა. გ-ოვი გადაიყვანეს ბოლნისის რაიონულ საავადმყოფოში, სადაც კვალიფიციური სამედიცინო დახმარების შედეგად სიკვდილს გადაურჩა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ნ. ჩ-ოვმა, რომელიც ითხოვდა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას, იმ მოტივით, რომ მას არ ჩაუდენია განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული დანაშაული. მან მართლაც მიაყენა დანით ჭრილობა დაზარალებულ ა. გ-ოვს, მაგრამ არა საბრალდებო დასკვნით აღწერილ ვითარებაში, რასაც იზიარებს განაჩენი, არამედ - აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, როდესაც ა. გ-ოვი და მისი ძმა გამეტებით სცემდნენ მას და საფრთხეს უქმნიდნენ მის სიცოცხლეს. მან თავდაცვის მიზნით ამოიღო ჯიბიდან საკეცი დანა და მიაყენა დაზიანება დაზარალებულს ისე, რომ მისი მოკვლის განზრახვა არ ჰქონია. სასამართლომ სათანადო შეფასება არ მისცა საქმის მასალებს, რომლის მიხედვითაც, დაკავების დროს მასაც აღნიშნებოდა ჭრილობები და ბლავი საგნით (ქვით)

მიყენებული დაზიანებები; რომ შემთხვევის ადგილზე საერთოდ არ ყოფილა მოწმე ვ. ვ-ევი, რომლის ჩვენებაც მტკიცებულებად არის გამოყენებული განაჩენში და სხვა, რის შედეგადაც სასამართლომ მიიღო უკანონო გადაწყვეტილება მოცემული კვალიფიკაციით მისი მსჯავრდების შესახებ.

საქმის სააპელაციო წესით განხილვის დროს მსჯავრდებულმა და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა დააზუსტეს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და იშუამდგომლეს ნ. ჩ-ოვის დანაშაულებრივი ქმედების დაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და 113-ე მუხლით (მკვლელობის მცდელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით). ამასთან, მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, ალტერნატიული მოთხოვნის სახით იშუამდგომლეს მისთვის სასჯელის შემსუბუქება. პროცესში მონაწილე სახელმწიფო ბრალმდებელმა სააპელაციო საჩივარს მხარი არ დაუჭირა და მოითხოვა დმანისის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 14 მაისის განაჩენის უცვლელად დატოვება.

საჩივარი დაზუსტებული მოთხოვნით განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც, არ დააკმაყოფილა რა აპელანტის მოთხოვნა, 2007 წლის 7 აგვისტოს განაჩენით უცვლელად დატოვა დმანისის რაიონული სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ ნ. ჩ-ოვის მიმართ გამოტანილი განაჩენი.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ნ. ჩ-ოვმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი იმავე მოტივების საფუძველზე, რაც მითითებული იყო სააპელაციო საჩივარში, ითხოვს აღნიშნული განაჩენის გაუქმებასა და მისი ბრალდების საქმის დაბრუნებას ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ნ. ჩ-ოვის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ ნ. ჩ-ოვის ბრალდების საქმის განხილვისას და მის მიმართ განაჩენის დადგენისას სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით დადგენილი მოთხოვნები საქმის ფაქტობრივ გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის თაობაზე, აგრეთვე იმავე კოდექსის მე-19 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა მტკიცებულებების ერთობლიობაში შემოწმებისა და საკმარისობის დასადგენად, რათა ისინი საფუძვლად დაედოს საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებულ ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, რომ ეს უკანასკნელი იყოს საფუძვლიანი, კანონიერი და დასაბუთებული. საკასაციო პალატას მხედველობაში აქვს შემდეგი გარემოებები: სააპელაციო სასამართლო თავის განაჩენში უთითებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ნ. ჩ-ოვის მიერ მისთვის განაჩენით შერაცხული დანაშაულის ჩადენა დადგენილად მიიჩნია ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებების - დაზარალებულ ა. გ-ოვისა და მოწმე ნ. ვ-ევის ჩვენებების საფუძველზე. სასამართლოს განაჩენის სამოტივაციო ნაწილში მოტანილი აქვს დაზარალებულის ჩვენება, რომელშიც აღნიშნავს, როგორ და რა ვითარებაში დაჭრა იგი მსჯავრდებულმა, რის შემდეგაც სასამართლო მიუთითებს, რომ ანალოგიური ჩვენებები მისცეს წინასწარ გამოძიებას საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ შემთხვევის თვითმხილველმა მოწმეებმა - ვ. ა-ევმა და ნ. ვ-ევმა. ამ ჩვენებებით გამოირიცხა დაცვის მხარის ვერსია იმის თაობაზე, რომ ნ. ჩ-ოვი იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში.

სინამდვილეში მოწმე ნ. ვ-ევის ჩვენება არამც თუ დაზარალებულის ჩვენების ანალოგიური არ არის, არამედ პირდაპირ ეწინააღმდეგება მას. ამ ჩვენებაში მოწმე მიუთითებს, რომ კონფლიქტის დროს დაზარალებულმა ა. გ-ოვმა მსჯავრდებულ ნ. ჩ-ოვს კეფაში ესროლა ქვა, როცა ეს უკანასკნელი შემთხვევის ადგილიდან მიდიოდა, რის შემდეგაც იგი მიწაზე დაეცა, ხოლო დაცემულს ზემოდან დააწვა დაზარალებული და წაქეულს თავში ქვას ურტყამდა, რა დროსაც ნ. ჩ-ოვმა იგი დაჭრა მუცლის არეში. ასეთივე ჩვენება მისცა მოწმე ნ. ვ-ევმა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროსაც, იგი დიდ ნაწილში ადასტურებს მსჯავრდებულის ჩვენებებს. რაც შეეხება მოწმე ვ. ა-ევის ჩვენებას, უნდა აღინიშნოს, რომ იგი შეესწრო დაზარალებულსა და მსჯავრდებულს შორის მომხდარ პირველ კონფლიქტს, ხოლო იმ კონფლიქტისას, როდესაც ნ. ჩ-ოვმა ა. გ-ოვი დაჭრა, მოწმე ვ. ა-ევი შემთხვევის ადგილზე საერთოდ არ ყოფილა, მან მოგვიანებით სხვებისგან გაიგო მომხდარის თაობაზე. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ არაკანონიერად გამოიყენა მტკიცებულებად წინასწარი გამოძიების სტადიაზე მოწმეების - ნ. ვ-ევისა და ვ. ა-ევის მიერ მიცემული ჩვენებები, რადგან ისინი არ ყოფილა გამოქვეყნებული და გამოკვლეული არც პირველი ინსტანციის სასამართლოსა და არც სააპელაციო სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლომ ჯეროვანი შემოწმების გარეშე უარყო მსჯავრდებულის ვერსია იმის თაობაზე, რომ იგი დაზარალებულის დაჭრისას იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, რასაც ფაქტობრივად ადასტურებს შემთხვევის შემსწრე ერთადერთი მოწმის - ნ. ვ-ევის ჩვენებაც. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არსებობს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა იმის თაობაზე, რომ ნ. ჩ-ოვს თხემის არეში მიყენებული აქვს დაჭეული ჭრილობები, ნაჭდევი - ცხვირის მიდამოში, სისხლნაჟღენთი - მარცხენა ბეჭის მიდამოში და ნაკვეთი ჭრილობა - მარჯვენა ხელის მტევნის პირველი თითის ფრჩხილის მიდამოში, სააპელაციო სასამართლომ, ისევე, როგორც პირველი

ინსტანციის სასამართლომ, ყოველგვარი შეფასების გარეშე დატოვა აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება, რომელიც არსებითად ემთხვევა მსჯავრდებულისა და მოწმე ნ. ვ-ევის ჩვენებებში მითითებულ ფაქტებს. სასამართლომ უპასუხოდ დატოვა საკითხი – როგორ და რა ვითარებაში მიიღო აღნიშნული დაზიანებები მსჯავრდებულმა ნ. ჩ-ოვმა, მაშინ, როცა აპელანტი თავის საჩივარში პირდაპირ აყენებდა რა აღნიშნულ საკითხს, ასაბუთებდა, რომ ხსენებული დაზიანებები მას მიაყენა დაზარალებულმა ა. გ-ოვმა, რის გამოც იგი იძულებული გახდა, დანა გამოეყენებინა მის მოსაგერიებლად.

მართალია, სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე დაცვის მხარემ შეცვალა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა, კერძოდ, მსჯავრდებულის დამცველმა და თვით მსჯავრდებულმა ითხოვეს მის მიერ ჩადენილი ქმედების დაკვალიფიცირება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლითა და 113-ე მუხლით და მისი შეფასება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით განზრახ მკვლელობის მცდელობად, მაგრამ ამ შემთხვევაში დაცვის მხარის პოზიცია იყო შინაგანად აშკარად წინააღმდეგობრივი და შეუსაბამო, რის გამოც არ შეიძლება სასამართლოს იგი მიეღო დაუზუსტებლად და შეუმოწმებლად. მხედველობაშია შემდეგი: როდესაც აღნიშნული პოზიცია წარმოადგინა მსჯავრდებულის დამცველმა, მან აღნიშნა, რომ ნ. ჩ-ოვს არ ჰქონია დაზარალებულის მოკვლის განზრახვა, პირიქით, იგი თავს იცავდა დაზარალებულისგან. უფრო მეტიც, თვით მსჯავრდებულმა თავის საბოლოო სიტყვაში განმარტა, რომ მას მართლა არ ჰქონია იმის მცდელობა, რომ დაზარალებული მოეკლა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ დაცვის მხარის მიერ თავისი მოთხოვნის არსებითად შეცვლისა და მისი პოზიციის აშკარად წინააღმდეგობრივი ხასიათის გამო, სასამართლოს უნდა მოეხდინა ზოგიერთი მტკიცებულების – პირველ რიგში, თვით მსჯავრდებულის ჩვენების ხელახლა გამოკვლევა, ასევე დაზარალებულის ჩვენების გამოკვლევა მათი დაკითხვის გზით, რის საშუალებასაც სააპელაციო სასამართლოს აძლევდა სსსკ-ის 533-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომელიც სწორედ ასეთი შემთხვევისთვისაა გათვალისწინებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ საქმეზე არა მხოლოდ სასამართლო გამოძიება, არამედ წინასწარი გამოძიებაც ცალმხრივად არის ჩატარებული, რაზეც ის გარემოება მიუთითებს, რომ ბრალდების დამძიმების მიზნით სასამართლოდან საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების შემდეგ დაიკითხნენ მხოლოდ დაზარალებული და სასამართლო ექსპერტი, ხოლო თვითონ ბრალდებული და დაცვის მოწმე არ დაუკითხავთ და ისე გადაიგზავნა საქმე სასამართლოში დამძიმებული ბრალდებით, რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ და სააპელაციო სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვეს. აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, ისე სააპელაციო სასამართლოში ნ. ჩ-ოვის დაცვა ძალზე არაკვალიფიციურად განხორციელდა. აღნიშნული გამოიხატა შემდეგში: მიუხედავად იმისა, რომ ძირითად მტკიცებულებებს შორის აშკარა წინააღმდეგობები იყო, პირველი ინსტანციის სასამართლოში სასამართლო კამათის დროს ნ. ჩ-ოვის დამცველი შემოიფარგლა მხოლოდ ერთი წინადადებით, რომლითაც განსასჯელის გამართლება მოითხოვა, მაგრამ ყოველგვარი საჭირო დასაბუთების გარეშე, ხოლო სააპელაციო სასამართლოში ნ. ჩ-ოვის დამცველმა სასამართლო კამათის დროს, გარდა იმისა, რომ მხოლოდ ერთი წინადადების წარმოთქმით შემოიფარგლა სათანადო დასაბუთების გარეშე, წარმოადგინა მსჯავრდებულის რეალურ პოზიციასთან აშკარად შეუსაბამო და შინაგანად წინააღმდეგობრივი მოთხოვნა მისი ქმედების კვალიფიკაციის შეცვლისა და სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, რითაც ფაქტობრივად დაირღვა დაცვის უფლება.

ასეთ პირობებში, როდესაც საქმეზე წინასწარი და სასამართლო გამოძიება ჩატარებულია ცალმხრივად და არასრულად, არ მომხდარა მტკიცებულებების ურთიერთშეჯერება, მათი ერთობლივად შემოწმება და შეფასება, ამასთან, სამართალწარმოების განხორციელებისას საპროცესო ნორმებით დადგენილ მოთხოვნათა არსებითი დარღვევის შედეგად საფუძვლიანი ეჭვის ქვეშ დგება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც სრულიად გაურკვეველი რჩება ნ. ჩ-ოვმა რა ქმედება ჩაიდინა ან ჩაიდინა თუ არა მან საერთოდ დანაშაული, საკასაციო პალატას შეუძლებლად მიაჩნია საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მსჯავრდებულ ნ. ჩ-ოვის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ნ. ჩ-ოვის ბრალდების საქმის განხილვისას სააპელაციო სასამართლომ დაუშვა სსსკ-ის 562-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტითა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული არსებითი საპროცესო დარღვევა, რამაც გავლენა მოახდინა საქმის შედეგზე კანონიერი განაჩენის დადგენის თვალსაზრისით, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 აგვისტოს განაჩენი უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის.

სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გაირკვეს და სარწმუნოდ დადგინდეს: რა ვითარებაში დაჭრა მსჯავრდებულმა ნ. ჩ-ოვმა დაზარალებული ა. გ-ოვი; მომხდარი კონფლიქტის დროს ვისგან და რა ვითარებაში მიიღო დაზიანებები თხემის, სახისა და ბეჭის არეში მსჯავრდებულმა ნ. ჩ-ოვმა; რეალურად რა დანაშაული მოხდა: ნ. ჩ-ოვის მხრივ განზრახ მკვლელობის მცდელობის ჩადენა, აუცილებელი მოგერიების განხორციელება კანონით დადგენილ ფარგლებში, თუ ა. გ-ოვის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით.

აღნიშნული საკითხების გადასაწყვეტად სააპელაციო სასამართლოში უნდა ჩატარდეს სრულყოფილი სასამართლო გამოძიება საამისოდ საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული შესაძლებლობების გამოყენებით, რა დროსაც ერთიანი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს როგორც მსჯავრდებულის ბრალის დამადასტურებელი, ისე მისი გამამართლებელი გარემოებები, დეტალურად უნდა დაიკითხონ დაზარალებული და მსჯავრდებული ზემოხსენებულ საკითხებთან მიმართებით, ჩატარდეს სხვა საჭირო საპროცესო მოქმედებები ახალი მტკიცებულებების გამოსაკვლევადაც და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად, რის შემდეგაც, საქმეზე მოპოვებული უტყუარი და ურთიერთშეთანხმებული მტკიცებულებების ერთობლივად შეფასების საფუძველზე, მიღებულ უნდა იქნეს კანონიერი და დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილება მსჯავრდებულ ნ. ჩ-ოვის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ნ. ჩ-ოვის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 აგვისტოს განაჩენი ნ. ჩ-ოვის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განზრახ მკვლელობა

განჩინება

#1186-აპ

19 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

განიხილა მსჯავრდებულ რ. გ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატების - თ. და დ. გ-იანების საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 ოქტომბრის განაჩენით რ. გ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 108-ე მუხლით და მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 9 თებერვლიდან.

აღნიშნული გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 8 თებერვალს რ. გ-ძე მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა ქ. თბილისში, რიყეზე მდებარე რესტორან „ნატურის ხეში“, სადაც აღნიშნავდა თავისი ნათესავების - ზ. ლ-შვილისა და თ. ყ-ძის ჯვრისწერას. სუფრაზე, რომელიც გაშლილი იყო რესტორნის მეორე სართულზე, დარბაზში, თამადაობდა რ. გ-ძე. ამავე დარბაზში, დაბადების დღის აღსანიშნავ სუფრაზე, მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა ლ. კ-იანი. დაახლოებით 23 საათსა და 30 წუთზე რ. გ-ძე და ლ. კ-იანი ერთმანეთს შეხვდნენ რესტორნის პირველ სართულზე მდებარე ფოიეში, საპირფარეშოსთან, სადაც მათ შორის მოხდა ურთიერთშელაპარაკება, რაც გადაიზარდა კამათსა და ურთიერთშეურაცხყოფაში. აღნიშნულით განაწყენებულმა რ. გ-ძემ განიზრახა ლ. კ-იანის მოკვლა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან თანაქონი დანით ლ. კ-იანს კისრის მარჯვენა ნახევარში, წინა და მარჯვენა გვერდით ზედაპირზე, მიაყენა ერთი ჭრილობა, მარჯვენა საძილე არტერიის სრული გადაჭრით, რაც მიეკუთვნება სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანებას. მიღებული დაზიანებისაგან ლ. კ-იანი ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო რ. გ-ძე შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ბრალდებულის განმარტებით, მას აღნიშნულ დღეს ეცვა ჯინსის შარვალი და შავი, გრძელმკლავიანი მაისური.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ რ. გ-ძის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა, რომლებიც სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

თბილისის საპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ივლისის განაჩენით არ დაკმაყოფილდა საპელაციო საჩივრის მოთხოვნა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ რ. გ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატები - თ. და დ. გ-იანები საკასაციო საჩივრით ითხოვენ განაჩენის გაუქმებასა და რ. გ-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი; სასამართლომ არ გაიზიარა რ. გ-ის ჩვენება, უარყო დაცვის მხარის მოთხოვნა, რომ რ. გ-მ იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში და განაჩენი დაადგინა სსკ-ის 108-ე მუხლით დაკვალიფიცირებული დანაშაულის ჩადენის გათვალისწინებით; სასამართლომ განაჩენს მტკიცებულებად დაუდო მოწმეების - მ-შვილის, კ-ძის, დ-ძის, მ-ძის, ზ-უას ჩვენებები, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები და ა.შ; საქმეში მოიპოვება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც, რ. გ-ძისათვის მარჯვენა ხელისგულის არეში დაზიანება მიყენებულია რაიმე მჭრელი კიდის მქონე საგნის მოქმედებით და მიეკუთვნება დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, იგი ხანდაზმულობით შეეფარდება საქმის გარემოებაში მითითებულ თარიღს. ამ ფაქტით დადასტურებულია რ. გ-ძის ჩვენების ის ეპიზოდი, სადაც უთითებს, თუ როგორ წაართვა ვიღაცას დანა ცემის დროს მარჯვენა ხელით და როგორ გაიჭრა ხელი, ხოლო შემდეგ უმისამართოდ მოიქცა; კასატორების მოსაზრებით, სასამართლო ვალდებული იყო, განაჩენში მიეთითებინა, თუ რატომ უარყო მან რ. გ-ძის ჩვენების ეს ეპიზოდი და დაესაბუთებინა საწინააღმდეგო მოსაზრებით. სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის მთელი რიგი შუამდგომლობები.

საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულმა რ. გ-მემ აღიარა ჩადენილი დანაშაული და ითხოვა სასჯელის შემსუბუქება.

საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ რ. გ-ძის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - თ. და დ. გ-იანებმა შეცვალეს საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და იშუამდგომლეს რ. გ-ძისათვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

საკასაციო პალატის სხდომაზე დაზარალებულის უფლებამონაცვლე მ. თ-ელმა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ო. მ-იანმა განაცხადეს, რომ ისინი შეურიგდნენ მსჯავრდებულს და აპატიეს ჩადენილი დანაშაული.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა გ. შ-მემ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები, მან დაზუსტებული საკასაციო საჩივრის მოთხოვნის გადაწყვეტის უფლება მიანდო სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, მოუსმინა მხარეებს, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებულ რ. გ-ძის მიერ სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა სრულადაა დადასტურებული საქმეში არსებული მტკიცებულებებით, კერძოდ: მსჯავრდებულ რ. გ-ძის აღიარებით ჩვენებით, დაზარალებულის უფლებამონაცვლე მ. თ-ელის ჩვენებით, მოწმეების - ს. კ-ძის, ი. დ-ძის, მ. მ-ძის, მ. მ-შვილის, დ. მ-ძის, ტ. გ-ძის ჩვენებებით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის #858/30 დასკვნით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ოქმით პირის ნე-ბაყოფლობით გამოცხადების შესახებ, ჩხრეკისა და ამოღების ოქმებით.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განაჩენით სწორი სამართლებრივი შეფასება მიეცა მსჯავრდებულ რ. გ-ძის მიერ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ საპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ რ. გ-ძის მიმართ სასჯელის ნაწილში უნდა იმსჯელოს მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის შედეგად მსჯავრდებულისთვის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის სამართლიანობის თაობაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

სსკ-ის 475-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო გამოძიება შედგება განსასჯელის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის დამადასტურებელ მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევისაგან, აგრეთვე იმ მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევისაგან, რომლებიც ახასიათებს განსასჯელის პიროვნებას და გავლენას ახდენს სასჯელის სახესა და ზომაზე.

სსკ-ის 496-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი.

საპელაციო სასამართლომ გამოკვლევლად ჩათვალა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოკვლეული ყველა მტკიცებულება. თუმცა საპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ რ. გ-ძის მიმართ გამოტანილ განაჩენში საერთოდ არ იმსჯელა იმის თაობაზე, თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ რ. გ-ძისათვის დანიშნული სასჯელი რამდენად შეესაბამება მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და პიროვნებას.

ამასთან, საქმის მასალების მიხედვით, საქმეში წარმოდგენილია მსჯავრდებულ რ. გ-ძის პიროვნების შესახებ საბავშვო თეატრ «მეორე სახლის» დირექტორ ი. კ-იას, ქ. თბილისის 68-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილის აღმზრდელობით დარგში ლ. წ-ძისა და შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ გაცემული

დახასიათებები. პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომის ოქმის მიხედვით, მსჯავრდებულ რ. გ-ის ადვოკატმა წარმოადგინა დახასიათება, რომელიც დაერთო საქმეს. ამდენად, წარმოდგენილი დახასიათებებიდან გამოკვლეულია მხოლოდ ერთი და ისიც გაურკვეველია, რომელი. პიროვნების მახასიათებელი გარემოებები სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია ჯეროვნად და მხარის მიერ წარმოდგენილ, საქმეში არსებულ დახასიათებებს არ მისცა შესაბამისი სამართლებრივი შეფასება, რომელთა საფუძველზე უნდა ემსჯელა მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული სასჯელის სამართლიანობაზე.

საკასაციო პალატა თვლის, რომ, ვინაიდან საკასაციო ინსტანციის სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, საქმეში არსებული, კერძოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში მხარის მიერ წარმოდგენილი, ხსენებული დოკუმენტები გამოიკვლიოს საკასაციო ინსტანციით საქმის განხილვისას, ამიტომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ რ. გ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების - თ. და დ. გ-იანების საკასაციო საჩივარი დაზუსტებული მოთხოვნით არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ივლისის განაჩენი რ. გ-ის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. გაუპატიურება

განჩინება

#149-აპ

20 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ხ. ა-ევის დამცველის, ადვოკატ ზ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

დმანისის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 25 აპრილის განაჩენით ხ. ა-ევი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის «დ» ქვეპუნქტის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტების საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით, ხოლო სსკ-ის 59-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელთა შეკრების წესით მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 18 წლის ვადით.

იმავე განაჩენით საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ იქნენ: ტ. ვ-ევი, ი. ო-ოვი და ქ. ფ-ევი, რომლებსაც ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის ზომად შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა - თითოეულს 8 წლის ვადით. ისინი ამჟამად ძებნილები არიან.

განაჩენით ხ. ა-ევს მსჯავრი დაედო ისეთი დანაშაულისათვის, როგორცაა გაუპატიურება, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ. გარდა ამისა, იმავე განაჩენით ხ. ა-ევს, ტ. ვ-ევს, ი. ო-ოვსა და ქ. ფ-ევს მსჯავრი დაედო ისეთი დანაშაულისათვის, როგორცაა თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 6 დეკემბერს დმანისის რაიონის სოფ. ... მცხოვრები ხ. ა-ევი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ქ. ფ-ევს, ი. ო-ოვს, ტ. ვ-ევსა და გამოძიებით დაუდგენელ პირს, რომლებსაც

წინასწარ შეუთანხმდა და დახმარება სთხოვა, რომ ცოლად შერთვის მიზნით უკანონოდ აღეკვეთათ თავისუფლება აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქის, არასრულწლოვანის, 1990 წლის 20 ივნისს დაბადებულ ფ. მ-ევასათვის, რაზეც ისინი დასთანხმდნენ. თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ხ. ა-ევი, ქ. ფ-ევი, ი. ო-ოვი, გამოძიებით დაუდგენელი პირი და ტ. ვ-ევი, ამ უკანასკნელის კუთვნილი «ჟიგულის» მარკის ავტომანქანა ვაზ-1206-ით, სოფ. ... მცხოვრებ ბ-ოვას საკარმიდამო მიწის ნაკვეთთან არსებულ გზაზე დაელოდნენ არასრულწლოვან ფ. მ-ევას, რომელსაც იქ უნდა გაეგლო.

დაახლოებით 23 საათსა და 30 წუთზე აღნიშნულ გზაზე ფ. მ-ევამ თავის მცირეწლოვან ძმასთან - ვ. მ-ევთან და თანასოფლელებთან - ლ. მ-ევასთან, კ. მ-ევასა და ს. ისაევასთან ერთად გამოიარა. როდესაც ფ. მ-ევამ ტ. ვ-ევის კუთვნილ ავტომანქანას გვერდით გაუარა, ქ. ფ-ევი და ი. ო-ოვი მას უკნიდან წამოეწივნენ და დაიწყეს ფ. მ-ევას გაკავება. იმავე დროს, იქვე, თავისი მანქანით მივიდნენ ტ. ვ-ევი და გამოძიებით დაუდგენელი პირი. ქ. ფ-ევამ და ი. ო-ოვამ, რომლებსაც ავტომანქანის სალონიდან უკანა სავარძელზე მჯდომი ხ. ა-ევი ეხმარებოდა, ძალადობის გამოყენებით ფ. მ-ევას, მისი წინააღმდეგობის მიუხედავად, ავტომანქანაში ჩასვეს და გაიტაცეს, რითაც ამ უკანასკნელს, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანს, უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება. მათ ფ. მ-ევა მიიყვანეს დმანისის რაიონის სოფ. ... მცხოვრებ მ. ტ-ევის საცხოვრებელ სახლში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ხ. ა-ევის მიმართ და შეამოწმა მისი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ხ. ა-ევის ბრალდების საქმის განხილვისას არ დაიცვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლითა და მე-19 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნები, რაც გამოიხატა შემდეგში:

1. სააპელაციო პალატამ არავითარი შეფასება არ მისცა პირველი ინსტანციის სასამართლოში იმ მოწმეების მიერ მიცემულ ჩვენებებს, რომელთა მიხედვით, ხ. ა-ევის სქესობრივი კავშირის დამყარებისას ფ. მ-ევას მიმართ ძალადობა ან ძალადობის მუქარა არ გამოუყენებია, რის გამოც გაურკვეველი რჩება ის დაზიანებები, რომლებიც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დაზარალებულ ფ. მ-ევას სხეულზე აღმოჩნდა, როდის მიიღო მან - სქესობრივი კავშირის დროს ხ. ა-ევისაგან, თუ მისი მოტაცებისა და უკანონოდ თავისუფლების აღკვეთის მომენტში.

2. სააპელაციო პალატამ ასევე შეფასების გარეშე დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოში ხ. ა-ევის მიერ მიცემული ჩვენება, რომლითაც მან კატეგორიულად უარყო ბრალდება გაუპატიურების თაობაზე. მართალია, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მსჯავრდებულმა და მისმა დამცველმა შეცვალეს პოზიცია და მან თავი დამნაშავედ ცნო ფ. მ-ევას გაუპატიურებაშიც, მაგრამ იგი შემოიფარგლა მხოლოდ ერთი ფრაზით - «გაუპატიურების ნაწილში თავს დამნაშავედ ვცნობ»..., რაც სრულიად არ იყო საკმარისი საიმისოდ, რომ მისი პოზიცია სარწმუნოდ ყოფილიყო მიღებული. ამ შემთხვევაში სააპელაციო პალატას უნდა გაერკვია, იყო თუ არა თანახმა ხ. ა-ევი მიეცა ჩვენება სასამართლოსათვის თავის მიერ ჩადენილი დანაშაულის - გაუპატიურების ფაქტობრივი გარემოებებისა და ვითარების თაობაზე, ხოლო თანხმობის შემთხვევაში დაეკითხა იგი აღნიშნული ბრალდების ნაწილში და განაჩენში მისი ჩვენება შეეფასებინა სხვა მტკიცებულებებთან ერთობლივად, რისთვისაც სასამართლომ არ გამოიყენა სსსკ-ის 533-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შესაძლებლობა მტკიცებულების ხელმეორედ გამოკვლევის თაობაზე. აღნიშნულის შედეგად აღმოჩნდა, რომ მსჯავრდებულ ხ. ა-ევის პოზიცია დანაშაულის აღიარების თაობაზე არ არის რეალური, რაც ამკარად გამოჩნდა მის მიერ შეტანილ საკასაციო საჩივარში, სადაც ის უარყოფს გაუპატიურების ჩადენას, ხოლო მისი პოზიცია გაუპატიურების ნაწილში ბრალდების უარყოფის თაობაზე განაჩენში არ არის უარყოფილი საფუძვლიანად, საპროცესო კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად.

საკასაციო პალატას მიაჩნია: მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, შეუძლებელია საბოლოო გადაწყვეტილების მიღება გაუპატიურების ნაწილში ხ. ა-ევის ბრალულობისა თუ უდანაშაულობის თაობაზე, რაც გამოწვეულია სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ზემოაღნიშნული მოთხოვნების დაუცველობით, რამაც გავლენა იქონია საქმის შედეგზე და რაც, სსსკ-ის 562-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტისა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განაჩენის გაუქმების საფუძველია, რის გამოც, იმის გათვალისწინებით, რომ ხ. ა-ევის მიმართ წარდგენილი ბრალდებები დაზარალებულ ფ. მ-ევასათვის თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და ამ უკანასკნელის გაუპატიურების თაობაზე ერთმანეთთან უშუალო და პირდაპირ კავშირშია, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 დეკემბრის განაჩენი უნდა გაუქმდეს მთლიანად, ხოლო სისხლის სამართლის საქმე ახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განხილვისას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა დაცვით უნდა გაირკვეს და სარწმუნოდ დადგინდეს დაზარალებულ ფ. მ-ევას გაუპატიურების თაობაზე მსჯავრდებულ ხ. ა-ევის მიმართ წარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები, რისთვისაც შესაძლებლობის შემთხვევაში უნდა დაიკითხოს ხ. ა-ევი, ამასთან ერთად, გამოკვლეულ იქნეს საქმეში არსებული სხვა

მტკიცებულებებიც, რომლებსაც საბოლოოდ უნდა მიეცეს შეფასება ერთობლივად საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად და ხ. ა-ევის ბრალეულობის თაობაზე კანონიერი სასამართლო გადაწყვეტილების გამოსატანად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ხ. ა-ევის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 დეკემბრის განაჩენი, ხოლო სისხლის სამართლის საქმე ახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. დევნა

განჩინება

#1913-აპ-07

27 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - კ. ნ-ურისა და შ. მ-შვილის, აგრეთვე მსჯავრდებულების - ნ. ც-შვილისა და გ. ა-იას დამცველი ადვოკატების - მ. ბ-ურისა და ზ. კ-იანის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 6 ივნისის განაჩენით: კ. ნ-ური ამჟამად პატიმრობაში მყოფი, გ. ა-ია, შ. მ-შვილი, ამჟამად პატიმრობაში მყოფი და ნ. ც-შვილი მსჯავრდებულ იქნენ სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებისა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტების, აგრეთვე, სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც თითოეულ მათგანს სასჯელად განესაზღვრა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტების საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, ხოლო სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, სასჯელთა შეკრების წესით მათ საბოლოო სასჯელად განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა - თითოეულს 7 წლის ვადით.

განაჩენით კ. ნ-ურს, გ. ა-იას, შ. მ-შვილსა და ნ. ც-შვილს მსჯავრი დაედოთ ძარცვისათვის, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სადგომში უკანონო შეღწევით, ისეთი ძალადობითა და ძალადობის მუქარით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის და რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; მათვე ჩაიდინეს ადამიანის დევნა რწმენის გამო, ძალადობითა და ძალადობის მუქარით. აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

კ. ნ-ური, გ. ა-ია, შ. მ-შვილი, ნ. ც-შვილი და ძიებით დაუდგენელი პირი დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ერთმანეთს და განიზრახეს ქ. რუსთავში, ... ქ. #119-ში მდებარე «იკოვას მოწმეთა» ოფისზე თავდასხმა მათი განსხვავებული რწმენის გამო, მისი დარბევა და იქ არსებული ქონების დაუფლება. აღნიშნული განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ისინი მივიდნენ მითითებულ მისამართზე და ცდილობდნენ მშენებარე ობიექტში შეღწევას. იქვე მყოფმა დარაჯმა, «იკოვას მოწმე» გ. მ-შვილმა მოუწოდა მათ დაეტოვებინათ ობიექტი, რის შემდეგაც ხსენებულმა პირებმა მას მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და გასცილდნენ ტერიტორიას. ისინი მალევე დაბრუნდნენ უკან და ჩათვალეს რა, რომ აღარავინ იმყოფებოდა ტერიტორიის დასაცავად, შეამტვრიეს დამზარე სათავსის ხის კარი, რომელშიც იმყოფებოდა გ. ნ-შვილი. ხუთივე პირმა მას დაუწყო ჯერ ქვების სროლა, შემდეგ კი თავისა და ტანის არეში ცემა ხელებითა და ფეხებით, მათ ასევე განზრახ დააზიანეს იქ არსებული ჭურჭელი და დაარბიეს აღნიშნული სათავსი. გ. ნ-შვილის ცემისას იცოდნენ რა, რომ «იკოვას

მოწმეები» პირჯვარს არ იწერენ, აიძულებდნენ მას შეესრულებინა ეს რიტუალი, ლანძღვა-გინებით ეუბნებოდნენ დაენგრიათ ოფისი, რომელსაც «იკოვას მოწმეები» აშენებდნენ და დაეტოვებინათ ტერიტორია. მათი დანაშაულებრივი ქმედება გრძელდებოდა დაახლოებით 30 წუთის განმავლობაში.

ამავე დროს აღნიშნული პირები «იკოვას მოწმეთა» სადგომის დარბევისას, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაეუფლნენ იქ არსებულ, ო. ჩ-მის კუთვნილ «სონი-ერიქსონის» ფირმის მობილურ ტელეფონს, ღირებულს 350 ლარად, რის შემდეგაც ისინი მიიმაღლნენ შემთხვევის ადგილიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს: რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ზ. ბ-ძემ; მსჯავრდებულების - გ. ა-იასა და ნ. ც-შვილის დამცველმა, ადვოკატმა მ. ბ-ურამ, მსჯავრდებულ შ. მ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა დ. ხ-ძემ; მსჯავრდებულ კ. ნ-ურის დამცველმა ადვოკატებმა - დ. ბ-ძემ და ვ. კ-ძემ.

აპელანტი - პროკურორი ზ. ბ-ძე თავისი საჩივრით ითხოვდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენის გაუქმებას შ. მ-შვილის მსჯავრდების ნაწილში, მის მიმართ საქმის დაბრუნებას იმავე სასამართლოში ახალი განხილვისათვის, აღნიშნული განაჩენის მსჯავრდებულის საუარესოდ შებრუნებისა და სასჯელის დამძიმების მიზნით.

აპელანტი - ადვოკატი მ. ბ-ურია თავისი საჩივრით ითხოვდა მსჯავრდებულ გ. ა-იას გამართლებას სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» და მე-3 ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტების საფუძველზე წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო მსჯავრდებულ ნ. ც-შვილის მთლიანად გამართლებას შემდეგი მოტივით: საქმის მასალებით საერთოდ დაუდგენელია მომხდარი შემთხვევისას როდის და რა ვითარებაში დაიკარგა მობილური ტელეფონი, ასევე დაუდგენელია პირი, რომელმაც აიღო დაზარალებულის კუთვნილი მობილური ტელეფონი, რის გამოც აღნიშნული ქმედება არ შეიძლება ბრალად შეერაცხოს მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირებს - გ. ა-იასა და ნ. ც-შვილს. ამასთან, ადვოკატი მ. ბ-ურია თავის საჩივარში აღნიშნავდა, რომ ნ. ც-შვილი ასევე უნდა გამართლდეს სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე წარდგენილ ბრალდებაშიც, მისი უსაფუძვლოების გამო.

აპელანტი - ადვოკატი დ. ხ-ძე თავისი საჩივრით ითხოვდა მსჯავრდებულ შ. მ-შვილის გამართლებას სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტების საფუძველზე შეერაცხულ ბრალდებაში იმ მოტივით, რომ არც ერთი მტკიცებულებით არ არის დადასტურებული, რომ მისი მარწმუნებელი ამა თუ იმ სახით მონაწილეობდა მარცვის ჩადენაში, ხოლო განაჩენი ეყრდნობა მხოლოდ დაუდასტურებელ ვარაუდს, რაც არ შეიძლება გახდეს პირის მსჯავრდების საფუძველი.

მსჯავრდებულ კ. ნ-ურის დამცველი ადვოკატები - დ. ბ-ძე და ვ. კ-ძე თავიანთი საჩივრით ითხოვდნენ მათი დაცვის ქვეშ მყოფი პირის გამართლებას საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტების საფუძველზე შეერაცხულ ბრალდებაში იმ მოტივით, რომ, დაზარალებულთა ჩვენებიდან გამომდინარე, გამორიცხულია კ. ნ-ურის მხრივ რაიმე განზრახვის არსებობა მარცვის ჩასადენად, ბრალდების მხარეს კი არც ერთი მტკიცებულება არ წარმოუდგენია ამ ნაწილში მისი ბრალეულობის დასადასტურებლად. სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე მსჯავრდების ნაწილში აპელანტი ითხოვდა კ. ნ-ურის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენებას.

სააპელაციო საჩივრები განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც არ დააკმაყოფილა აპელანტების მოთხოვნები, ამასთან, გასაჩივრებულ განაჩენში შეიტანა ცვლილებები მსჯავრდებულთა სასიკეთოდ, კერძოდ: კ. ნ-ურს, გ. ა-იას, შ. მ-შვილსა და ნ. ც-შვილს მოეხსნათ მათ მიერ მარცვის ჩადენის ბრალდება და ამ ნაწილში მათი ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - როგორც ქურდობა, ჩადენილი სადგომში უკანონო შეღწევით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ამ დანაშაულისათვის მსჯავრდებულებს სასჯელის ზომად განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა - თითოეულს 4 წლის ვადით, ხოლო ამის შესაბამისად, მათ საბოლოო სასჯელად განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა ექვს-ექვსი წლის ვადით. სხვა ნაწილში რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულთა მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ნ. ც-შვილის დამცველმა, ადვოკატმა მ. ბ-ურამ, მსჯავრდებულ გ. ა-იას დამცველებმა - მ. ბ-ურამ და ზ. კ-იანმა, აგრეთვე, მსჯავრდებულებმა - კ. ნ-ურმა და შ. მ-შვილმა საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. ნ. ც-შვილის დამცველი თავისი საჩივრით ითხოვს მის მიმართ გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ მისთვის სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე წარდგენილი ბრალდება ეყრდნობა მხოლოდ დაზარალებულ გ. ნ-შვილის მიერ ნ. ც-შვილის ამოცნობას, რაც განხორციელდა საპროცესო კანონის მოთხოვნათა დარღვევით, ხოლო სხვა მტკიცებულება «იკოვას მოწმეთა» სადგომის დარბევაში მისი მონაწილეობის შესახებ არ არსებობს. გარდა ამისა, ნ. ც-შვილის ადვოკატი ითხოვს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებისა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის «ა»

ქვეპუნქტის საფუძველზე მსჯავრდების ნაწილშიც იმავე მოტივებით, რომლებზეც ადვოკატს მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში.

მსჯავრდებულ გ. ა-ის დამცველები, ადვოკატები - მ. ბ-ურია და ზ. კ-იანი, აგრეთვე მსჯავრდებულები - კ. ნ-ური და შ. მ-შვილი თავიანთი საჩივრებით ითხოვენ გასაჩივრებულ განაჩენში მათ სასიკეთოდ ცვლილების შეტანას, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებისა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე მსჯავრდების ნაწილში მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმავე მოტივებით, რაც მითითებული იყო სააპელაციო საჩივრებში. ამავე დროს მსჯავრდებულები - კ. ნ-ური და შ. მ-შვილი თავიანთი საჩივრებით ითხოვენ სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე მსჯავრდების ნაწილში მათ მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულების - ნ. ც-შვილის, გ. ა-ის, კ. ნ-ურის, შ. მ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრების მოთხოვნის საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალების ანალიზი აჩვენებს, რომ საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო გამოძიება ჩატარებულია არასრულად, რის გამოც ბრალდება მსჯავრდებულთა მიერ ქურდობის ჩადენის თაობაზე ძირითადად მხოლოდ ვარაუდზეა აგებული, რასთან მიმართებითაც ფაქტობრივი გარემოებები არ არის გამოკვლეული ყოველმხრივ და ობიექტურად. აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულებს თავდაპირველად, სააპელაციო სასამართლოს მიერ განაჩენის დადგენამდე, ბრალი მარცვის ჩადენაში ედებოდათ. უდავო მხოლოდ ის არის, რომ დაზარალებულ ო. ჩ-ძის კუთვნილი მობილური ტელეფონის აპარატი «იეპოვას მოწმეთა» ოფისიდან დაიკარგა სწორედ მსჯავრდებულთა იქ ყოფნის დროს. ტელეფონი შემდგომში პოლიციამ დაუბრუნა თავის კანონიერ მფლობელს, მაგრამ არც წინასწარი გამოძიებით და არც სასამართლო გამოძიებით არ არის დადასტურებული, რომელი მათგანი დაეუფლა ფარულად აღნიშნულ ნივთს და იცოდნენ თუ არა ამის შესახებ სხვა მსჯავრდებულებმაც, როცა ისინი შენობაში იყვნენ, თუ მათ ხსენებული ფაქტის შესახებ შემდგომში გაიგეს.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქმის მასალებში არსებობს ორი დოკუმენტი, რომლებიც შედგენილია წინასწარი გამოძიების სტადიაზე. პირველი დოკუმენტია რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორის, ე. გ-იანის მოხსენებითი ბარათი, რომლითაც იგი მიმართავს რუსთავის რაიონულ პროკურორს. მასში აღნიშნულია, რომ ჯ. გ-შვილისგან მისთვის ცნობილი გახდა შემდეგი ფაქტი: «იეპოვას მოწმეთა» ობიექტზე თავდასხმისათვის დაკავებულმა გ. ა-იამ პოლიციის შენობიდან გადააგდო მის მიერ ხსენებული ობიექტიდან გამარცვის მიზნით წამოღებული მობილური ტელეფონის აპარატი, რის შესახებაც ჯ. გ-შვილმა შეიტყო მეზობლებისგან. მეორე დოკუმენტი ეს არის წარმოდგენის ოქმი, შედგენილი 2006 წლის 18 ნოემბერს ქ. რუსთავის შინაგან საქმეთა სამმართველოს პირველი განყოფილების გამომძიებლის, გ. ს-ძის მიერ იმის თაობაზე, რომ მითითებულ დღეს იმავე განყოფილების ინსპექტორ - გამომძიებელმა ვ. მ-ძემ მას წარუდგინა «სონი-ერიქსონის» ფირმის მობილური ტელეფონი. სხვა რამ ამ ოქმში იმის თაობაზე ვ. მ-ძესთან საიდან, როდის და როგორ აღმოჩნდა აღნიშნული ნივთი, არაფერია ნათქვამი.

აღნიშნულ დოკუმენტებში მოხსენებული ფაქტების გამოკვლევასა და მათთან დაკავშირებული გარემოებების გარკვევას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად, რაც არ გაკეთებულა არც წინასწარი გამოძიებისას და არც სასამართლო გამოძიების სტადიაზე. საგულისხმოა, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, სასამართლო გამოძიების დამთავრების შემდეგ, თავის საბოლოო სიტყვაში მსჯავრდებულმა გ. ა-იამ აღიარა თავის მიერ «იეპოვას მოწმეთა» ოფისიდან მობილური ტელეფონის აპარატის მოპარვის ფაქტი, ამასთან, მან აღნიშნა, რომ ამ ფაქტის შესახებ სხვა მსჯავრდებულებისათვის არაფერი იყო ცნობილი, მაგრამ მას არ მიუთითებია სად, რა მომენტში და რა ვითარებაში აიღო ხსენებული ნივთი, ხოლო სასამართლოს მიერ გ. ა-ის დასახელებული ფაქტობრივი გარემოების გამოკვლევა და მისი აღიარების სარწმუნოების შემოწმება უკვე შეუძლებელი იყო, ვინაიდან სასამართლო გამოძიების სტადია გავლილი იყო.

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ მსჯავრდებულების - ნ. ც-შვილის, გ. ა-ის, კ. ნ-ურისა და შ. მ-შვილის ბრალდების საქმეზე სამართალწარმოების განხორციელებისას არ ყოფილა დაცული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 და მე-19 მუხლებით დადგენილი მოთხოვნები, რამაც არსებითი გავლენა მოახდინა საქმის შედეგზე და რაც ისეთ საპროცესო დარღვევას წარმოადგენს, რომელიც, სსკ-ის 562-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტისა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განაჩენის გაუქმების საფუძველია.

განხილული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 სექტემბრის განაჩენი ნ. ც-შვილის, გ. ა-ის, კ. ნ-ურისა და შ. მ-შვილის მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მათ მიმართ ახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახალი განხილვისას უნდა გაირკვეს და სარწმუნოდ დადგინდეს: მომხდარი შემთხვევის შემდეგ როდის, სად, რა ვითარებაში და ვინ აღმოაჩინა

«იკვავას მოწმეთა» ოფისის დარბევისას დაკარგული «სონი-ერიქსონის» ფირმის მობილური ტელეფონის აპარატი, რომელიც ეკუთვნოდა დაზარალებულ ო. ჩ-ძეს; შეესაბამება თუ არა სინამდვილეს მსჯავრდებულ გ. ა-იას მიერ სააპელაციო სასამართლოში საბოლოო სიტყვის წარმოთქმისას გაკეთებული განცხადება აღნიშნული მობილური ტელეფონის აპარატის მის მიერ მოპარვის თაობაზე; რეალურად აქვთ თუ არა რაიმე კავშირი «იკვავას მოწმეთა» ოფისის დარბევაში მონაწილე სხვა მსჯავრდებულებს მობილური ტელეფონის ქურდობის ფაქტთან და რაში გამოიხატებოდა იგი, თუკი ასეთი ქმედება მართლაც განხორციელდა.

აღნიშნული საკითხების სარწმუნოდ დადგენისათვის სააპელაციო სასამართლოში უნდა ჩატარდეს სრულყოფილი სასამართლო გამოძიება, რა დროსაც უნდა მოხდეს მსჯავრდებულ გ. ა-იასა და სხვა მსჯავრდებულების დეტალური დაკითხვა ზემოხსენებული ფაქტების თაობაზე, უნდა დაიკითხოს ასევე დაზარალებული ქურდობის ფაქტის თაობაზე. უნდა მოხდეს ახალი მტკიცებულებების გამოკვლევაც მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე, კერძოდ, მიზანშეწონილია, დამატებითი მოწმის სახით დაიკითხონ ქ. რუსთავის შინაგან საქმეთა სამმართველოს პირველი განყოფილების გამომძიებელი გ. ს-ძე, იმავე განყოფილების ინსპექტორ - გამომძიებელი ვ. მ-ძე, აგრეთვე ჯ. გ-შვილი, რომელზეც, როგორც ინფორმაციის წყაროზე, მიუთითებს რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორი ე. გ-იანი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ ეტაპზე საკასაციო საჩივრებში კასატორების მიერ წარმოდგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის არ არსებობს საკმარისი სამართლებრივი საფუძველი, რადგან გაურკვეველი და დაუდგენელია მთელი რიგი ფაქტობრივი გარემოებებისა, რის გარეშეც შეუძლებელია დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, რომ საქმეზე დადგენილია ობიექტური ჭეშმარიტება და, მაშასადამე, მსჯავრდებულ პირთა ბრალეულობა თუ მათი უდანაშაულობა. მხოლოდ ობიექტურად ჩატარებული სასამართლო გამოძიების შედეგად მოპოვებული უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობის საფუძველზე უნდა მიიღოს სააპელაციო სასამართლო საბოლოოდ კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება მსჯავრდებულების - ნ. ც-შვილის, გ. ა-იას, კ. ნ-ურისა და შ. მ-შვილის მიმართ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ნ. ც-შვილის დამცველის, ადვოკატ მ. ბ-ურისა, მსჯავრდებულ გ. ა-იას დამცველების - მ. ბ-ურისა და ზ. კ-იანის, მსჯავრდებულების - კ. ნ-ურისა და შ. მ-შვილის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 სექტემბრის განაჩენი ნ. ც-შვილის, გ. ა-იას, კ. ნ-ურისა და შ. მ-შვილის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მათ მიმართ ახალი განხილვისათვის გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. ქურდობა

განჩინება

#1043-აბ

14 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ც-იას დამცველის, ადვოკატ ლ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ც-ია ამჟამად პატიმრობაში მყოფი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 29 ნოემბრის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა სისხლის სამართლის

კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და იმავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ისეთ დანაშაულთა ჩადენისათვის, როგორცაა ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შექმნა, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, საქართველოს სსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, ხოლო სსკ-ის 59-ე მუხლის (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) მე-2 ნაწილის თანახმად, მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ გ. ც-ის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 2006 წლის 27 ივნისს თბილისში, ... ქუჩის #1-ში არსებულ მაღაზიაში, ძიებით დაუდგენელი პირი ფარულად დაეუფლა ამავე მაღაზიაში მომუშავე მ. ფ-იას კუთვნილ, «შIEMENშ-ის» ფირმის მობილურ ტელეფონს, ღირებულებას 100 ლარად. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული მობილური ტელეფონი იმავე დღეს ზემოაღნიშნული ძიებით დაუდგენელი პირისაგან შეიძინა გ. ც-იამ.

გ. ც-იამ 2006 წლის 27 ივნისს, იმყოფებოდა რა თბილისში, ფალიაშვილისა და ბაზალეთის ქუჩების გადაკვეთაზე, განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა სხვის მოძრავ ნივთს. აღნიშნული განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან შეარჩია დანაშაულის ჩადენისათვის ხელსაყრელი მომენტი, მივიდა იქვე გაჩერებულ, კ. ო-ძის მფლობელობაში მყოფ ავტომანქანა «გოლფ-2-თან» და საჭესთან მჯდომი კ. ო-ძისაგან ფარულად, ავტომანქანის წინა, მარჯვენა კარის ჩაწეული ფანჯრიდან დაეუფლა ე.წ. «ტორპედოზე» მოთავსებულ, დაზარალებულის კუთვნილ «შAMშUNG-ის» ფირმის მობილურ ტელეფონს, ღირებულებას 200 ლარად, რის შემდეგაც იგი შეეცადა შემთხვევის ადგილიდან მიმალვას. აღნიშნულ ფაქტს შეესწრნენ თბილისის ვაკე-საბურთალოს შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლები, რომლებმაც გ. ც-ია დააკავეს დანაშაულის ჩადენისთანავე. უშუალოდ დაკავების დროს ჩატარებული პირადი ჩხრეკის შედეგად, მისი შარვლის წინა, მარჯვენა ჯიბიდან ამოღებულ იქნა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით კ. ო-ძის ავტომანქანიდან ფარულად გატაცებული, «შAMშUNG-ის» ფირმის მობილური ტელეფონი, ხოლო მისი შარვლის წინა, მარცხენა ჯიბიდან კი ამოღებულ იქნა მ. ფ-იას კუთვნილი «შIEMENშ-ის» ფირმის მობილური ტელეფონი, რომელშიც მოთავსებული იყო ამ უკანასკნელის კუთვნილი სიმ ბარათი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. ც-იას დამცველმა, ადვოკატმა ლ. ბ-შვილმა, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ, გ. ც-იას სსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შერაცხულ ბრალდებაში გამართლებას მტკიცებულებების არარსებობის მოტივით, აგრეთვე, მისი ქმედების სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტიდან იმავე მუხლის პირველი ნაწილზე გადაკვალიფიცირებას იმ მოტივით, რომ კანონით განსაზღვრული წესით არ არის დადგენილი - გ. ც-იამ თავისი ქმედებით დაზარალებულს ნამდვილად მიაყენა თუ არა მნიშვნელოვანი ზიანი, რადგან, აუდიტის დასკვნით, რომელიც საქმეშია წარმოდგენილი, დაზარალებულ კ. ო-ძის კუთვნილი მობილური ტელეფონის ღირებულება, რომელიც გ. ც-იამ ფარულად გაიტაცა, შეადგენს 120 ლარს, რაც არ არის გაბათილებული, მაგრამ სასამართლომ არ გაითვალისწინა განაჩენის დადგენისას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 აპრილის განაჩენით აპელანტის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ გ. ც-იას მიმართ გამოტანილი განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ გ. ც-იას დამცველმა, ადვოკატმა ლ. ბ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვს ქურდობის ნაწილში მსჯავრდებულ გ. ც-იას ქმედების დაკვალიფიცირებას სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო სასჯელად ისეთი ღონისძიების დანიშვნას, რაც არ იქნება დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან. კასატორი თავის მოთხოვნას აფუძნებს იმავე მოტივზე, რომელიც მას წინათ მითითებული ჰქონდა აღნიშნულ საქმეზე შეტანილ სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ გ. ც-იას მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და სისხლის სამართლის საქმე გ. ც-იას მიმართ უნდა დაბრუნდეს ახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოში შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეში მოიპოვება საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დგინდება, რომ მსჯავრდებულმა გ. ც-იამ ნამდვილად ჩაიდინა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული მობილური ტელეფონის შექმნა, აგრეთვე მობილური ტელეფონის ქურდობა, რასაც არც დაცვის მხარე ხდის სადავოდ. ამავე დროს, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს შემდეგ გარემოებაზე: საბრალდებო დასკვნით ქურდობის ნაწილში გ. ც-იას მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაცია სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, რაც გაიზარეს პირველი ინსტანციის სასამართლომ და სააპელაციო სასამართლომ, ეყრდნობა მხოლოდ დაზარალებულ კ. ო-ძის ზეპირ განცხადებას, რომლის მიხედვით, მისი კუთვნილი მობილური ტელეფონის ღირებულებაა 200

ლარი, მაშინ, როდესაც საქმის მასალებში წარმოდგენილია აუდიტორული დასკვნა, რომელიც გამოქვეყნდა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე. აღნიშნული დასკვნის მიხედვით, მობილური ტელეფონის რეალური ღირებულება შეადგენს 120 ლარს. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ, არ დაიცვა რა სსსკ-ის მე-18 მუხლითა და მე-19 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი მოთხოვნები, ხსენებულ აუდიტორულ დასკვნას განაჩენში არავითარი შეფასება არ მისცა და ისე განსაზღვრა გ. ც-ის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაცია, რაც საპროცესო კანონის არსებით დარღვევას წარმოადგენს. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული მტკიცებულება უნდა შეემოწმებინა და შეეფასებინა ყველა სხვა მტკიცებულებასთან ერთობლივად, მისი სარწმუნოების თვალსაზრისით და ისე მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება მსჯავრდებულის ბრალეულობის თაობაზე, რადგან, მოცემულ შემთხვევაში, აუდიტორული დასკვნის საფუძველიანად ჩათვლა, თუ მისი უსაფუძვლოდ მიჩნევა გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს კანონიერი განაჩენის დასადგენად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება იქიდან გამომდინარე, რომ რეალურად დაუდგენელია, თუ რა დანაშაული აქვს ჩადენილი გ. ც-ის - ქურდობა მაკვალიფიცირებელ გარემოებებში, თუ ამ უკანასკნელის გარეშე, ამასთან, არსებობს სსსკ-ის 562-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტითა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოება, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 აპრილის განაჩენი გ. ც-ის მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის.

საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს ყველა მტკიცებულება, რომლებიც საქმეშია, მათ შორის - დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნა დაზარალებულ კ. ო-მის კუთვნილი მობილური ტელეფონის ღირებულების თაობაზე, რის შემდეგაც, სარწმუნოებისა და საკმარისობის თვალსაზრისით ყველა მტკიცებულების ერთობლივად შეფასების საფუძველზე, უნდა გადაწყდეს გ. ც-ის ბრალეულობის საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. ც-ის დამცველის, ადვოკატ ლ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 აპრილის განაჩენი გ. ც-ის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#1296-აბ

20 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ჩ-მისა და მისი დამცველის, ადვოკატ ლ. ჩ-ელის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 25 აპრილის განაჩენით მ. ჩ-მე ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში. განაჩენით მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, ამასთან, სსკ-ის

41-42-ე მუხლების თანახმად, მას დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა - 2000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 19 ნოემბრიდან.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 25 აპრილის განაჩენის მიხედვით, მ. ჩ-მეს მსჯავრი დაედო ქურდობისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი ბინაში უკანონო შეღწევით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 17 ნოემბერს, დაახლოებით 13:00 საათზე, მ. ჩ-მე მივიდა ქ. ხაშურში, ... მე-12 ჩიხის #2-ში მცხოვრებ კ. ლ-მესთან ლიმონათის საყიდლად, რა დროსაც მან შენიშნა, რომ მეზობლად მცხოვრები ნ. მ-შვილის სახლში არავინ არ იმყოფებოდა. მან გადაწყვიტა ფარულად შეეღწია ნ. მ-შვილის სახლში და დაუფლებოდა მის ქონებას. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მ. ჩ-მემ სახლის მეორე სართულის ფანჯრიდან უკანონოდ შეაღწია ნ. მ-შვილის ბინაში, სადაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა ამ უკანასკნელის კუთვნილ, 300 ლარად ღირებულ ოქროს ბეჭედს, ოქროსფერი ლითონის მედალიონსა და ჯაჭვს, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. აღნიშნული ქმედებით მან დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა მ. ჩ-მემ და მისმა დამცველმა, ადვოკატმა ლ. ჩ-ელმა, რომლებიც თავიანთი საჩივრებით ითხოვდნენ ხაშურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 25 აპრილის განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ მ. ჩ-მეს არ ჩაუდენია ის ქმედება, რომელშიც სასამართლომ იგი ბრალულად ცნო, ხოლო განაჩენი ემყარება დაზარალებულის ურთიერთგამომრიცხავ, წინააღმდეგობრივ ჩვენებებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ივნისის განაჩენით ხაშურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 25 აპრილის განაჩენი მსჯავრდებულ მ. ჩ-მის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა მ. ჩ-მემ და მისმა დამცველმა, ადვოკატმა ლ. ჩ-ელმა, რომლებიც თავიანთი საჩივრებით ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 11 ივნისის განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ მ. ჩ-მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას შემდეგი ძირითადი მოტივების საფუძველზე: გასაჩივრებული განაჩენი ეყრდნობა დაზარალებულ ნ. მ-შვილის არასწორ და წინააღმდეგობრივ ჩვენებებს; საქმის წარმოებისას როგორც წინასწარი გამოძიების სტადიაზე, ისე პირველი ინსტანციის სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოში დარღვეულია საპროცესო ნორმების მოთხოვნები; სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა და არ შეაფასა საქმის წარმოებისას დაშვებული საპროცესო დარღვევები და მათი შედეგები; სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ უარყო დაცვის მხარის დასაბუთებული შუამდგომლობები, რამაც ხელი შეუშალა ფაქტობრივი გარემოებების სრულად და ობიექტურად დადგენას; სააპელაციო სასამართლოს განაჩენს საფუძვლად არ უდევს უტყუარი მტკიცებულებები და არის დაუსაბუთებელი; მთლიანობაში საქმე ნაწარმოებია არაობიექტურად და ტენდენციურად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ მ. ჩ-მის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა, მიაჩნია, რომ აღნიშნული საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო მ. ჩ-მის ბრალდების საქმე უნდა დაბრუნდეს სააპელაციო სასამართლოში ახალი განხილვისათვის შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ მ. ჩ-მის მსჯავრდება არ ეფუძნება ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად შემოწმებულ და დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რითაც საქმის განხილვისას და მასზე გადაწყვეტილების მიღებისას არსებითად დაირღვა სსსკ-ის მე-18 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები და რამაც გავლენა მოახდინა კანონიერი განაჩენის დადგენაზე. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები მ. ჩ-მის ბრალეულობის თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისას დაზარალებულმა ნ. მ-შვილმა მისცა ისეთი ჩვენება, რომელიც ერთი და იმავე ფაქტობრივი გარემოების თაობაზე შეიცავდა აშკარად ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციას. სასამართლო სხდომაზე ნ. მ-შვილმა განაცხადა, რომ მისი ბინის გაქურდვის დროს დაკარგული ნივთები შემდგომში იპოვა თავისავე ბინაში შენახული და ისინი წარმოადგინა სასამართლოში, გარდა ორი ბეჭდისა, რომლებიც, მისი განცხადებით, ბანკში ჩააბარა ვინმე ლ. ნ-მის სახელზე. ამის შემდეგ, იმავე ჩვენების გაგრძელებისას, მომდევნო სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ ერთი ლურჯთვლიანი ბეჭედი, ღირებული 300 ლარად, ვერ იპოვა, რომლის მოპარვაც განაჩენით მ. ჩ-მეს შეერაცხა, ისე, რომ სასამართლომ არ მისცა შეფასება დაზარალებულის ჩვენებას მთლიანობაში, არ ახსნა აღნიშნული წინააღმდეგობა, არ დაასაბუთა, რატომ გაიზიარა ერთი ჩვენების შეცვლილი ნაწილი, ხოლო დაზარალებული არ იქნა დაკითხული დეტალურად მის ჩვენებაში არსებული წინააღმდეგობის გასარკვევად.

გარდა ამისა, სასამართლო გამოძიებით არ იქნა გარკვეული, რატომ არ ჩატარდა მ. ჩ-მის პირადი ჩხრეკა მისი დაკავების ადგილზე და რატომ ჩატარდა ის მისი პოლიციაში წარდგენის შემდეგ. ჩხრეკის ოქმში არ არის აღნიშნული დაკავების ადგილზე ჩხრეკის ჩატარებლობის მიზეზი. ამ გარემოების შემოწმება მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ მსჯავრდებულის განცხადების მიხედვით, მისი

ბინიდან პოლიციაში გადაყვანისას თანმხლები პოლიციელები ცდილობდნენ მის ჯიბეში რაღაცის ჩადებას, რის საფუძველზეც აყენებს ვერსიას, რომ მისგან ამოღებული ნივთმტკიცება პოლიციელების მიერ არის ჩაგდებული.

ამასთან, ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას გამოქვეყნდა დაზარალებულ ნ. მ-შვილის მიერ მსჯავრდებულ მ. ჩ-მისგან ამოღებული ნივთმტკიცების ამოცნობის ოქმი, რომელზეც გაკეთებულია ხელმოწერა დაზარალებულ ნ. მ-შვილის სახელით, რაც კალიგრაფიულად მკვეთრად განსხვავდება იმავე დაზარალებულის მიერ სხვა საპროცესო დოკუმენტებზე გაკეთებული ხელმოწერებისგან, ხოლო ეს უკანასკნელები ერთმანეთს ედრება, აღნიშნული ოქმი კი მისი შემოწმების გარეშე განაჩენში მითითებული ბრალდების მტკიცებულებად.

პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოძიების ხარვეზებით ჩატარებისა და ამ სასამართლოს განაჩენში წინააღმდეგობრივი მომენტების არსებობის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა საპროცესო კანონით მისთვის მინიჭებული შესაძლებლობები (მხედველობაშია საქართველოს სსსკ-ის 533-ე მუხლის მეოთხე ნაწილით გათვალისწინებული უფლებამოსილებები), სასამართლო გამოძიება არ ჩატარა საპროცესო კანონით დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისად და ისე ცნო საქმის ფაქტობრივი გარემოებები დადგენილად, რომ არ გაარკვია ზემოაღნიშნული წინააღმდეგობები.

ასეთ პირობებში შეუძლებელია მსჯელობა და საბოლოო დასკვნების გამოტანა მსჯავრდებულ მ. ჩ-მის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის თაობაზე, რის გამოც, იმის მხედველობაში მიღებით, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა სსსკ-ის 562-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტითა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევა, რომელიც დაშვებულია სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ივნისის განაჩენი მ. ჩ-მის მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის.

სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განხილვისას უნდა ჩატარდეს საქმეზე სრულყოფილი სასამართლო გამოძიება საპროცესო კოდექსით დადგენილ ფარგლებში, რა დროსაც ხელახლა უნდა შემოწმდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, გამოკვლეულ იქნეს შესაბამისი მტკიცებულებები მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პირობებში, გაირკვეს ზემოაღნიშნული წინააღმდეგობები, რის საფუძველზეც გამოტანილ უნდა იქნეს საბოლოო დასკვნა - მ. ჩ-მემ ნამდვილად ჩაიდინა თუ არა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით მისთვის შერაცხული ქმედება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ მ. ჩ-მისა და მისი დამცველის, ადვოკატ ლ. ჩ-ელის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ივნისის განაჩენი მ. ჩ-მის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#1802-აპ-07

27 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - გ. ჯ-იანისა და ბ. გ-მის დამცველის, ადვოკატ ბ. გ-ავას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 3 მაისის განაჩენით: გ. ჯ-იანი ამჟამად პატიმრობაში მყოფი და ბ. გ-მე ამჟამად პატიმრობაში მყოფი, მსჯავრდებულ იქნენ სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მათ სასჯელის ზომად განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა - თითოეულს 4 წლის ვადით.

განაჩენით მათ მსჯავრი დაედოთ ქურდობისათვის, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში: ჯართის მიმღები პუნქტის, შპს «სათნოს» მუშები - გ. ჯ-იანი და ბ. გ-მე დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ერთმანეთს და გადაწყვიტეს ფარულად დაუფლებოდნენ ქ. ფოთში, ... ქუჩაზე მდებარე შპს «სათნოს» კუთვნილ აკუმულატორებს. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2006 წლის 14 ოქტომბერს, დაახლოებით 8 საათზე, ისინი გამოცხადდნენ სამუშაო ადგილზე. მათ შებინდებისას შპს «სათნოდან» მის მიმდებარე ტერიტორიაზე გადმოიტანეს 15 ცალი აკუმულატორი, რა დროსაც დააკავეს ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლებმა და მათგან ამოღებულ იქნა შპს «სათნოს» კუთვნილი 15 ცალი აკუმულატორი, საერთო წონით - 300 კგ, სულ ღირებული 73 ლარად.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულების - გ. ჯ-იანისა და ბ. გ-მის დამცველმა, ადვოკატმა თ. ფ-ავამ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა აღნიშნული განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულთა მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას, რასაც იგი ასაბუთებდა შემდეგი მოტივებით:

წინასწარი გამოძიება წარმართა ცალმხრივად და ტენდენციურად, მხოლოდ გამამტყუნებელი მიმართულებით. სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულება, რომელიც გ. გ-მისა და ბ. ჯ-იანის მიერ დანაშაულის ჩადენას დაადასტურებს. საქმეში არსებული მასალების მიხედვით, სადავო აკუმულატორები მსჯავრდებულებს არ მოუპარავთ, აღნიშნული ნივთები მათ მისცა შპს «სათნოში» მომუშავე გ. ს-მემ, რომლის დაკითხვაზე სასამართლომ უსაფუძვლოდ თქვა უარი, ამასთან, მითითებული აკუმულატორები იყო გაფუჭებული, უვარგისი და ჩამოწერილი. დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი გამოკითხვის ოქმებითა და ექსპერტიზის დასკვნით უდავოდ დასტურდება, რომ მათ რაიმე ღირებულება არ გააჩნდათ.

დაცვის მხარის საჩივარი განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც, არ დააკმაყოფილა რა აპელანტის მოთხოვნა, 2007 წლის 24 სექტემბრის განაჩენით უცვლელად დატოვა ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულების - გ. ჯ-იანისა და ბ. გ-მის მიმართ გამოტანილი განაჩენი.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულების - გ. ჯ-იანისა და ბ. გ-მის დამცველმა, ადვოკატმა ბ. გ-ავამ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას შემდეგი მოტივებით: სასამართლოებმა დაარღვიეს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნა, როდესაც არ დაკითხეს შპს «სათნოს» ჯართის მიმღები ექსპედიტორი თ. მ-ელია, მწონავი გ. ს-მე და ჯგუფის უფროსი ა. ნ-მე, აგრეთვე შპს «სათნოს» დირექტორი თ. ს-შვილი, რითაც გაირკვეოდა, რომ გ. ჯ-იანსა და ბ. გ-მეს ქურდობა არ ჩაუდენიათ, ამასთან, საქმეში არ მოიპოვება რაიმე სარწმუნო მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა განაჩენით მათთვის შერაცხული ბრალდება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულების - გ. ჯ-იანის, ბ. გ-მის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას არ ყოფილა დაცული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები საქმის ფაქტობრივ გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის თაობაზე, რა დროსაც ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს და დადგინდეს როგორც ბრალის დამადასტურებელი გარემოებები, ისე პირის გამამართლებელი გარემოებები ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხოლო მტკიცებულებები უნდა შეფასდეს ერთობლიობაში მათი სარწმუნოებისა და საკმარისობის თვალსაზრისით (სსსკ-ის მე-18 და მე-19 მუხლები).

გარდა ამისა, მსჯავრდებულების - გ. ჯ-იანისა და ბ. გ-მის ბრალდების საქმის განხილვისას დაირღვა მათი კონსტიტუციური უფლება - სასამართლოში წარმოედგინა და დაკითხულიყვნენ დაცვის მოწმეები ისეთსავე პირობებში, როგორშიც დაკითხნენ ბრალდების მოწმეები, ამასთან, სააპელაციო სასამართლოს უარი ახალი მოწმეების წარმოდგენისა და დაკითხვის შესახებ დაცვის მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე იყო უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი. უფრო მეტიც, დაცვის მხარემ სააპელაციო სასამართლოში წარმოადგინა იმ მოწმეთა გამოკითხვის ოქმები, რომელთა დაკითხვასაც ითხოვდა. აღნიშნული ოქმები დაერთო საქმეს მტკიცებულებების სახით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ განაჩენში არავითარი შეფასება არ მისცა აღნიშნულ მტკიცებულებებს ბრალდების მტკიცებულებებთან ერთად, საერთოდ არ მოიხსენია ისინი, რის გამოც როგორც საქმის განხილვამ, ისე - განაჩენმა მიიღო ცალმხრივი ხასიათი, რითაც დაირღვა კანონისა და სასამართლოს წინაშე მხარეთა თანასწორობის პრინციპიც.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნულმა არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევებმა გავლენა იქონიეს საქმის შედეგზე კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის დადგენის თვალსაზრისით, რის გამოც, თანახმად სსსკ-ის 562-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტისა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილისა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 სექტემბრის განაჩენი გ. ჯ-იანისა და ბ. გ-ძის მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მათ მიმართ ახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

ამავე დროს, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება დაცვის მხარის საჩივარს იმ ნაწილში, რომლითაც ითხოვს მსჯავრდებულების - გ. ჯ-იანისა და ბ. გ-ძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას, ვინაიდან გაურკვეველია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც მოცემულ ეტაპზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მათი ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის თაობაზე შეუძლებელია.

სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განხილვისას საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა უპირობო დაცვით უნდა ჩატარდეს სრულყოფილი სასამართლო გამოძიება, რისთვისაც უნდა დაიკითხოს დაზარალებული თ. ს-შვილი, აგრეთვე უნდა დაიკითხონ დამატებითი მოწმეები მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, ასევე უნდა გაირკვეს მსჯავრდებულებისგან ჩამორთმეული ჯართის - 15 ცალი აკუმულატორის ღირებულება, რა კრიტერიუმების საფუძველზე შეფასდა და წარმოადგენდა თუ არა ისინი საერთოდ რაიმე ღირებულებას შპს «სათნოსათვის»; უნდა განხორციელდეს სხვა საპროცესო მოქმედებები, თუკი ამის საჭიროება წარმოიშობა საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად, ხოლო აღნიშნულის შედეგად მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლივად შეფასებით უნდა გადაწყდეს საბოლოოდ მსჯავრდებულების - გ. ჯ-იანისა და ბ. გ-ძის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულების - გ. ჯ-იანისა და ბ. გ-ძის დამცველის, ადვოკატ ბ. გ-ავას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 სექტემბრის განაჩენი გ. ჯ-იანისა და ბ. გ-ძის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მათ მიმართ ახალი განხილვისათვის გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#483-აპ

20 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

ი. ტყემელაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ბ. ბ-იას დამცველის, ადვოკატ გ. მ-იას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბ. ბ-ია ამჟამად პატიმრობაში მყოფი, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 16 ოქტომბრის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით. მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმის გადახდა 20000 ლარის ოდენობით.

განაჩენით ბ. ბ-იას მსჯავრი დაედო ქურდობისათვის, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

ბ. ბ-ია 2007 წლის 21 ივნისს ზუგდიდის რაიონის სოფ. . . . , ე.წ. «ნაწულუკას» უბანში მცხოვრებ ს. გ-იასთან ერთად, ამ უკანასკნელის კუთვნილი «ზილ-130» მარკის, სახელმწიფო სანომრე ნიშნით -

«ფბი-517», სატვირთო ავტომანქანით იმყოფებოდა ზუგდიდის რაიონის სოფ. . . . აღნიშნულ დროს ბ. ბ-ია დანაშაულებრივად დაუკავშირდა გამოძიებით დაუდგენელ პირებს, რომლებთან ერთად განიზრახა, ფარულად დაუფლებოდა სხვის მოძრავ ნივთს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, კერძოდ, ზუგდიდის რაიონის სოფ. . . . დ. პ-ირის, ზ. ქ-უასა და სხვათა კუთვნილ ჩაის გადამამუშავებელ ფაბრიკაში არსებული დანადგარების მეტალის დეტალებს შემდგომში მათი ჯართის სახით რეალიზაციის მიზნით. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ბ. ბ-ია და გამოძიებით დაუდგენელი პირები, ს. გ-იას კუთვნილი ზემოაღნიშნული სატვირთო ავტომანქანით, იმავე დღეს შევიდნენ ზუგდიდის რაიონის სოფ. . . ., ხსენებული ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკის ტერიტორიაზე, სადაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლნენ 5070 ლარის ღირებულების ნივთებს, რაც დატვირთეს ზემოაღნიშნულ სატვირთო ავტომანქანაზე, რომელსაც მართავდა ს. გ-ია, რის შემდეგაც ისინი ქ. ზუგდიდის მიმართულებით გაემგზავრნენ.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ ბ. ბ-იას დამცველმა ადვოკატებმა - რ. თ-იამ და გ. ძ-იამ. აპელანტები თავიანთი საჩივრით ითხოვდნენ მსჯავრდებულ ბ. ბ-იას მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას შემდეგი ძირითადი მოტივების საფუძველზე:

გასაჩივრებული განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი. მსჯავრდებულმა ბ. ბ-იამ წარდგინო ბრალდებაში თავი არ ცნო დამნაშავედ და კატეგორიულად უარყო ჯართის ქურდობაში მონაწილეობა, მეტიც, მას არათუ მონაწილეობა მიუღია აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში, არამედ არც იცოდა ჯართი ნაქურდალი თუ იყო. ბ. ბ-იამ გამოკითხა ჯართის ჩამბარებლებს ჯართის წარმომავლობის შესახებ და როდესაც დარწმუნდა, რომ ჯართი კანონიერად ეკუთვნოდა ამ პირებს, მხოლოდ მაშინ დასთანხმდა ჩაბარებაზე, ხოლო გამოძიებამ კი ეს ფაქტი საბრალდებო დასკვნაში სხვა ინტერპრეტაციით ჩამოაყალიბა. საქმეზე არ მოიპოვება არანაირი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდება ბ. ბ-იას მიერ მისთვის შერაცხული დანაშაულის ჩადენა.

სააპელაციო საჩივარი განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც, არ დააკმაყოფილა რა აპელანტთა მოთხოვნა, 2008 წლის 15 თებერვლის განაჩენით უცვლელად დატოვა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ ბ. ბ-იას მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ბ. ბ-იას დამცველმა, ადვოკატმა გ. ძ-იამ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ მას არ ჩაუდენია ის ქმედება, რომელიც განაჩენით ბრალად შეერაცხა. კასატორი თავის მოთხოვნას ასაბუთებს იმავე ძირითადი მოტივებით, რაზეც მითითებული იყო სააპელაციო საჩივარში.

საკასაციო პალატის სხდომაზე განხილვისას კასატორმა - მსჯავრდებულ ბ. ბ-იას დამცველმა, ადვოკატმა გ. ძ-იამ მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი არის უკანონო და იგი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო: საქმის მასალებით დასტურდება, რომ ბ. ბ-ია არის ჯართის კეთილსინდისიერი შემსყიდველი, რომელმაც არაფერი იცოდა ჯართის ქურდობის შესახებ; როგორც წინასწარი გამოძიება, ასევე სასამართლო გამოძიება პირველი ინსტანციის სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოში ჩატარდა ცალმხრივად და არაობიექტურად, რითაც დაცვის მხარეს წაერთვა საშუალება, ემტკიცებინა ბ. ბ-იას უადანაშაულობა; საქმეში არ მოიპოვება სარწმუნო მტკიცებულებები, რომლებითაც დადასტურდებოდა ბ. ბ-იას მონაწილეობა ქურდობაში; ბ. ბ-იამ თვითონ ამხილა ქურდობის მონაწილეები და ითანამშრომლა გამოძიებასთან ამ მიმართებით, რაც არ იქნა გათვალისწინებული. აღნიშნული გარემოებების გამო კასატორმა გ. ძ-იამ ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულ ბ. ბ-იას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა იმ საფუძველით, რომ მას არ ჩაუდენია განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება.

პროცესში მონაწილე პროკურორმა გ. შ-ძემ მხარი არ დაუჭირა საკასაციო საჩივარს და აღნიშნა, რომ კასატორის მოთხოვნა უსაფუძველოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან ბ. ბ-იას მიერ დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია საქმეში არსებული მასალებით - მოპარული ჯართის ამოღების ოქმითა და იმავე დანაშაულში მონაწილეობის გამო მსჯავრდებული პირების ჩვენებებით, რომლებიც ამხელენ ბ. ბ-იას - როგორც ქურდობის თანამონაწილეს. აღნიშნულის საფუძველზე პროკურორმა გ. შ-ძემ იშუამდგომლა საკასაციო პალატის წინაშე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 თებერვლის განაჩენი მსჯავრდებულ ბ. ბ-იას მიმართ დარჩეს უცვლელად, ხოლო კასატორს უარი ეთქვას მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ბ. ბ-იას მიმართ, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და მოუსმინა მხარეებს, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოში ბ. ბ-იას ბრალდების საქმეზე სასამართლო გამოძიება ჩატარდა არასრულყოფილად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლისა და მე-19 მუხლის მე-2

ნაწილის მოთხოვნათა დარღვევით. სასამართლომ დაცვის მხარეს უსაფუძვლოდ უთხრა უარი შუამდგომლობის იმ ნაწილის დაკმაყოფილებაზე, რომლითაც იგი ითხოვდა დაცვის მოწმეების, აგრეთვე იმ პირთა სასამართლოში გამოძახებასა და დაკითხვას, რომლებიც ბ. ბ-ის ამხელდნენ ქურდობის ჩადენაში, რითაც დაირღვა დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირისათვის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები, უფრო მეტიც: სასამართლომ თავის დადგენილებაში, რომლითაც დაცვის მხარეს უარი უთხრა დაცვის მოწმეების დაკითხვაზე, მიუთითა, რომ აღნიშნული მოწმეებისაგან მსჯავრდებულ ბ. ბ-ის დამცველის მიერ ჩამორთმეულ ახსნა-განმარტებებსა და განცხადებებს, რომლებიც დაერთო საქმეს, შეფასება მიეცემოდა განაჩენის დადგენისას, მაგრამ განაჩენში არავითარი მსგავსი შეფასება არ გაკეთებულა და მხოლოდ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებია შეფასებული. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არ შემოწმებულა განსასჯელისა და დამცველის მიერ ბრალდების გასაბათილებლად გამოთქმული მოსაზრებები. სასამართლო გამოძიებისას დაირღვა ასევე ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპები, როგორცაა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი, აგრეთვე, უშუალოდ პრინციპი. ყოველივე ზემოაღნიშნულმა უარყოფითი გავლენა მოახდინა საქმის ფაქტობრივი გარემოებების სწორად დადგენასა და საბოლოოდ - საქმის შედეგზე.

ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ბ. ბ-ის მიმართ საქმის განხილვისას დაუშვა სსსკ-ის 562-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტითა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული არსებითი საპროცესო დარღვევები, რის გამოც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 თებერვლის განაჩენი ბ. ბ-ის მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას უნდა გაირკვეს შემდეგი გარემოებები: დანაშაულის შემთხვევამდე რა ურთიერთობა ჰქონდა ბ. ბ-ის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 თებერვლის განაჩენით დანაშაულის იმავე შემთხვევის გამო მსჯავრდებულ პირებთან: ს. წ-ავასთან, რ. ნ-იასთან, ვ. ა-იასთან, გ. გ-ონიასა და ტ. ქ-ავასთან; ეს უკანასკნელები 2007 წლის 21 ივნისს რა გზითა და ვისი მეშვეობით დაუკავშირდნენ ბ. ბ-ის; სად და რა ვითარებაში მოხდა მათი შეხვედრა, რის თაობაზე მოილაპარაკეს მათ ერთმანეთში და რაზე შეთანხმდნენ ისინი; არსებობდა თუ არა ბ. ბ-იასთან მათი საერთო განზრახვა ქურდობის ერთად ჩადენაზე, ხოლო თუ ასეთი განზრახვა არსებობდა - რა როლი ეკისრებოდა დანაშაულში ბ. ბ-ის; რეალურია თუ არა დაცვის მხარის მიერ მოწმეებად დასახელებული პირების - ნ. გ-ონიასა და ა. მ-ავას მიერ გაკეთებული განცხადებები იმის თაობაზე, რომ ბ. ბ-ია არ არის ქურდობის მონაწილე და ამის შესახებ მათ იციან აღნიშნული ქურდობის ფაქტის გამო მსჯავრდებული სხვა პირებისაგან.

აღნიშნული გარემოებების, აგრეთვე საქმის სხვა მნიშვნელოვანი გარემოებების უტყუარად დადგენისათვის სააპელაციო სასამართლოში უნდა ჩატარდეს სრულყოფილი სასამართლო გამოძიება საპროცესო ნორმების მოთხოვნათა მკაცრი დაცვით, რისთვისაც საქმეზე დეტალურად და ამომწურავად უნდა დაიკითხონ იმავე ფაქტის გამო მსჯავრდებული პირები: ს. წ-ავა, რ. ნ-ია, ვ. ა-ია, გ. გ-ონია და ტ. ქ-ავა, ასევე დაცვის მხარის მიერ მოწმედ დასახელებული პირები: ნ. გ-ონია და ა. მ-ავა მათთვის ცნობილი გარემოებების თაობაზე; უნდა განხორციელდეს სხვა საჭირო საპროცესო მოქმედებები საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით. საქმის გარემოებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შედეგად მიღებული უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე უნდა იქნეს გამოტანილი კანონიერი და დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილება მსჯავრდებულ ბ. ბ-ის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის თაობაზე.

განხილული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივრის მოთხოვნა იმ ნაწილში, რომლითაც კასატორი ითხოვს მსჯავრდებულ ბ. ბ-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას, ამ ეტაპზე ვერ დაკმაყოფილდება, რადგან ზემოაღნიშნული საკითხების სარწმუნოდ დადგენის გარეშე შეუძლებელია საბოლოო და კანონიერი სასამართლო გადაწყვეტილების მიღება მისი ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ბ. ბ-ის დამცველის, ადვოკატ გ. მ-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 თებერვლის განაჩენი ბ. ბ-ის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#384-აპ

12 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
ი. ტყემელაშვილი**

განიხილა მსჯავრდებულ დ. ბ-შვილის დამცველის, ადვოკატ მ. ჩ-ანის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 27 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

დ. ბ-შვილი ამჟამად პატიმრობაში მყოფი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 18 ივნისის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილების შესაბამისად, დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 11 მაისის განაჩენით მისთვის დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 2 წლისა და 8 თვის ვადით და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 8 თვის ვადით.

განაჩენით დ. ბ-შვილს მსჯავრი დაედო ქურდობისათვის, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

დ. ბ-შვილმა 2006 წლის 7 ნოემბერს ორ დაუდგენელ პირთან ერთად განიზრახა ქურდობის ჩადენა. აღნიშნული განზრახვის განსახორციელებლად ისინი ღამით, დაახლოებით 1:30 საათზე, მივიდნენ თბილისში, «მუშტაედის» ბაღში მდებარე საბავშვო ატრაქციონ «გლისერებთან». დ. ბ-შვილი ჩავიდა წყალში, მიუახლოვდა სპილენძის გემის მაკეტს და წინასწარ მოზადებული რკინის ძალაყინის გამოყენებით ატრაქციონს მოხსნა გემის აფრები, მოხსნილი ნაწილები თანმიმდევრულად გადააწოდა აუზთან მყოფ თავის თანამზრახველებს, რის შემდეგაც სამივე მათგანმა დატოვა შემთხვევის ადგილი და მიიმალა. დ. ბ-შვილმა და მისმა თანამზრახველებმა დანაშაულებრივი ქმედებით დაზარალებულს, «მუშტაედის» ბაღის დირექტორ ი. კ-აიას მიაყენეს 500 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა დ. ბ-შვილმა. აპელანტი თავისი საჩივრით ითხოვდა მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას შემდეგი ძირითადი მოტივის საფუძველზე: გასაჩივრებული განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, ხოლო წარდგენილ ბრალდებაში თავს არ ცნობს დამნაშავედ და კატეგორიულად უარყოფს სპილენძის გემის მაკეტის აფრების ქურდობაში მონაწილეობას. აპელანტი თავის საჩივარში აღნიშნავდა, ასევე, რომ იგი არის უკანონო პატიმარი და თავისი თანამშრომლის - ნ. ჩ-იანის ცილისწამების მსხვერპლი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 27 დეკემბრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ დ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 18 ივნისის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილებები: დ. ბ-შვილს მსჯავრდებიდან ამოერიცხა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით შერაცხული ბრალდება, როგორც ზედმეტად წარდგენილი. ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 11 მაისის განაჩენით სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დანიშნული პირობითი მსჯავრი - 2 წლისა და 8 თვის გამოსაცდელი ვადით - გაუქმდა, ხოლო წინა განაჩენით დანიშნული რეალური სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 2 წლისა და 8 თვის ვადით «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე გაუნახევრდა, რის გამოც, სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 18 ივნისის განაჩენით დანიშნულ სასჯელს - თავისუფლების აღკვეთას 5 წლის ვადით - დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წლისა და 4 თვის ვადით და დ. ბ-შვილს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 4 თვის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულ დ. ბ-შვილის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ დ. ბ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა მ. ჩ-ანმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და დ. ბ-შვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძველზე, რომ მას არ ჩაუდენია ის ქმედება, რომელიც განაჩენით ბრალად შეერაცხა. კასატორი თავის მოთხოვნას ასაბუთებს იმავე ძირითადი მოტივებით, რაზეც მითითებული იყო სააპელაციო საჩივარში, კერძოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 27 დეკემბრის განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, რომელიც ემყარება მხოლოდ ერთ, საეჭვო და არასაკმარის მტკიცებულებას - ერთი დაინტერესებული მოწმის - ნ. ჩ-იანის ცრუ ჩვენებას.

საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულმა დ. ბ-შვილმა და მისმა დამცველებმა, ადვოკატებმა - მ. ჩ-ანმა და მ. ლ-ძემ მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივარს. ადვოკატმა მ. ჩ-ანმა აღნიშნა: მიუხედავად იმისა, რომ დ. ბ-შვილის ბრალდების საქმეზე წინასწარი გამოძიება ჩატარდა ზერელედ და ცალმხრივად, პროკურორმა მაინც დაამტკიცა საბრალდებო დასკვნა. გამოძიების ზერელობასა და არაობიექტურობაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ დანაშაულის შემთხვევა იყო 2006 წლის 7 ნოემბერს, ხოლო ბრალდების მოწმე - ნ. ჩ-იანი დაიკითხა 2006 წლის 3 დეკემბერს, შემთხვევის ადგილის დათვალიერება კი ჩატარდა 2007 წლის 12 იანვარს. ყოველივე ამასთან ერთად, საქმეზე არ ჩატარებულა სასაქონლო ექსპერტიზა დანაშაულებრივი ქმედებით გამოწვეული ზიანის დასადგენად. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი დ. ბ-შვილის მიმართ ეყრდნობა მხოლოდ ერთი დაინტერესებული მოწმის - ნ. ჩ-იანის წინააღმდეგობრივ ჩვენებას, რომელიც არც ერთი სხვა კანონიერი მტკიცებულებით არ არის დადასტურებული, ხოლო ერთი მოწმის ჩვენების საფუძველზე, თუნდაც ეს ჩვენება ობიექტური იყოს, გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა არ შეიძლება. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ადვოკატი მ. ჩ-ანი ითხოვს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებას - სააპელაციო სასამართლოს მიერ დ. ბ-შვილის მიმართ გამოტანილი განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძველზე, რომ მსჯავრდებულს არ ჩაუდენია განაჩენით მისთვის შერაცხული ქმედება, რასაც მხარი დაუჭირა ადვოკატმა მ. ლ-ძემ და დაეთანხმა მსჯავრდებული დ. ბ-შვილი.

პროცესში მონაწილე პროკურორმა გ. შ-ძემ მხარი არ დაუჭირა საკასაციო საჩივარს. მან აღნიშნა, რომ დაზარალებულ ი. კ-აიას ჩვენებით, ასევე მოწმე ნ. ჩ-იანის ჩვენებით, რომელიც ვერ ჩაითვლება დაინტერესებულ მოწმედ, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით დადასტურებულად მიაჩნია, რომ დ. ბ-შვილმა ნამდვილად ჩაიდინა ის დანაშაული, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო. პროკურორმა გ. შ-ძემ ითხოვა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 27 დეკემბრის განაჩენი მსჯავრდებულ დ. ბ-შვილის მიმართ დარჩეს უცვლელად, ხოლო კასატორს უარი ეთქვას მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ დ. ბ-შვილის მიმართ, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და მოუსმინა მხარეებს, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა იზიარებს დაცვის მხარის პოზიციას იმის თაობაზე, რომ გამამტყუნებელი განაჩენი არ შეიძლება დაეყრდნოს მხოლოდ ერთი მოწმის ჩვენებას, როდესაც არ არსებობს სხვა სარწმუნო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მიუთითებს ბრალდებულის (განსასჯელის) მიერ დანაშაულის ჩადენაზე. მოცემულ შემთხვევაში მხოლოდ მოწმე ნ. ჩ-იანი მიუთითებს თავის ჩვენებაში დ. ბ-შვილის მიერ დანაშაულის ჩადენაზე, რაც საკმარისი არ არის, ვინაიდან ერთი მოწმის ჩვენების საფუძველზე მსჯავრდება ფაქტობრივად არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატა თვლის, რომ დ. ბ-შვილის ბრალდების საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში არ იყო სრული და ყოველმხრივი, კერძოდ, სასამართლო არ დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა დარაჯები «მუშტაედის» ბაღს; იმყოფებოდნენ თუ არა ისინი აღნიშნულ ბაღში მომხდარი შემთხვევის დროს და რა ნახეს, ანდა რა იციან მათ ამის შესახებ. გარდა ამისა, გასაჩივრებულ განაჩენში არ არის ახსნილი მოწმე ნ. ჩ-იანის ჩვენებებში არსებული წინააღმდეგობანი, არ არის დასაბუთებული, თუ სასამართლო რატომ იზიარებს მის ჩვენებას და რატომ არ იზიარებს მსჯავრდებულ დ. ბ-შვილის ჩვენებას. სასამართლომ ასევე არ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში დაზარალებულ ი. კ-აიას მიერ მიცემული ჩვენება არ იყო სრული და ამომწურავი.

ასეთ პირობებში გაუმართლებელი იყო ის, რომ სააპელაციო სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ მსჯავრდებულ დ. ბ-შვილისგან ჩვენების ჩამორთმევით, რაც ვერ აღმოფხვრიდა იმ ხარვეზებს, რომლებიც ქვედა ინსტანციის სასამართლოში აღნიშნული საქმის განხილვას ახლდა და ვერ უზრუნველყოფდა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოში დ. ბ-შვილის ბრალდების საქმის განხილვისას არ იყო დაცული სსკ-ის მე-18 მუხლითა

და მე-19 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი მოთხოვნები, რამაც გავლენა მოახდინა საქმის შედეგზე და რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 27 დეკემბრის განაჩენი დ. ბ-შვილის მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, თანახმად საქართველოს სსსკ-ის 562-ე «ა» ქვეპუნქტისა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილისა, ხოლო სისხლის სამართლის საქმე დ. ბ-შვილის მიმართ უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის.

სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განხილვისას უნდა ჩატარდეს სრულყოფილი სასამართლო გამოძიება საპროცესო ნორმებით დადგენილ მოთხოვნათა დაცვით, რა დროსაც ხელახლა უნდა იქნეს გამოკვლეული მტკიცებულებები, გაირკვეს მტკიცებულებათა შორის წინააღმდეგობები, მოპოვებულ იქნეს ახალი მტკიცებულებები და მათი ერთობლივად განხილვისა და შეფასების გზით სწორად დადგინდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და საბოლოოდ - ობიექტური ქეშმარიტება იმის თაობაზე: ნამდვილად ჩაიდინა თუ არა რაიმე დანაშაული მსჯავრდებულმა დ. ბ-შვილმა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმის საკასაციო განხილვის ამ ეტაპზე ვერ იქნება გამოტანილი კანონიერი და დასაბუთებული დასკვნები დ. ბ-შვილის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის თაობაზე, რის გამოც კასატორი მხარის საჩივარი იმ ნაწილში, რომლითაც ითხოვს დ. ბ-შვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას, ვერ დაკმაყოფილდება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ დ. ბ-შვილის დამცველის, ადვოკატ მ. ჩ-ანის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 27 დეკემბრის განაჩენი დ. ბ-შვილის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#568-აპ

9 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

ი. ტყემელაშვილი,

პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ვანის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 28 ნოემბრის განაჩენით ლ. მ-შვილი ამჟამად პატიმრობაში მყოფი, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით, იმავე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით. დანიშნული სასჯელები სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შეიკრიბა და მას სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით.

განაჩენის მიხედვით, ლ. მ-შვილს მსჯავრი დაედო ქურდობისათვის, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და არაერთგზის, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენის, შენახვისა და ტარებისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში: 2007 წლის მარტის ბოლო რიცხვებში, ზუსტი თარიღი დაუდგენელია, ლ. მ-შვილმა, გამოძიებით დაუდგენელ პირთა ჯგუფთან ერთად, ფარულად შეაღწია ვანის რაიონის სოფ. ... მცხოვრებ დ. ც-მის საცხოვრებელი სახლის ეზოში არსებულ სათავსში, საიდანაც ფარულად გაიტაცა მისი კუთვნილი არყის სახდელი სპილენძის ქვაბი თავისი სახურავით, ღირებული 450 ლარად, ასევე ვენახის სარწყავი სპილენძის მანქანა, ღირებული 150 ლარად, რითაც დაზარალებულს მიაყენა 600 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი. ლ. მ-შვილი 2007 წლის 28 მარტს, ღამით, გამოძიებით დაუდგენელ პირებთან ერთად, მივიდა ვანის რაიონის სოფ. ... მცხოვრებ ვ. ა-შვილის საცხოვრებელ სახლთან, შეაღწია ეზოში, საიდანაც ფარულად გაიტაცა ვ. ა-შვილის კუთვნილი არყის სახდელი სპილენძის ქვაბი, ღირებული

300 ლარად, რითაც დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი. 2007 წლის 29 მარტს მან მოპარული ქვაბები, დამნაშავეთა ჯგუფის წევრებთან ერთად, პირადობის მოწმობის წარდგენით, ამ დოკუმენტის მონაცემების სარეგისტრაციო ჟურნალში გატარებითა და ხელის მოწერით ჩააბარა წყალტუბოს რაიონის სოფ. ... არსებულ, ინდემწარმე ტ. ლ-იანის ფერადი ლითონების მიმღებ პუნქტში, რაშიც აღებული თანხა - 265 ლარი ჯგუფის წევრებთან ერთად გაინაწილა. მანვე გამოიძიებთ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა 1951 წლის ნიმუშის, 9 მმ კალიბრიანი «მაკაროვის» სისტემის პისტოლეტი, 3 საბრძოლო ვაზნით, რომლებსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა. აღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა 2007 წლის 26 აპრილს ქ. რუსთავში, ქუთაისის მოედანზე, ჩატარებული ლ. მ-შვილის პირადი ჩხრეკის დროს ამოიღეს პოლიციის მუშაკებმა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ლ. მ-შვილმა, რომელიც საჩივრით ითხოვდა ვანის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 28 ნოემბრის განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ საქმეში არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მის ბრალეულობას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 თებერვლის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო ვანის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 28 ნოემბრის განაჩენი მსჯავრდებულ ლ. მ-შვილის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ლ. მ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 თებერვლის განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას. თავის მოთხოვნას ის ასაბუთებს იმავე მოტივით, რაზეც მითითებული იყო სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ლ. მ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოში ლ. მ-შვილის ბრალდების საქმის განხილვისას საქმის ფაქტობრივი გარემოებები არ გამოუკვლევიათ ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, რაც საპროცესო კანონით დადგენილ სავალდებულო მოთხოვნას წარმოადგენს, ხოლო მტკიცებულებები არ შეუფასებიათ მსჯავრდებულისათვის მათი საკმარისობის თვალსაზრისით. ეს დარღვევა, უწინარესად, ეხება ლ. მ-შვილის მსჯავრდებას მის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენის, შენახვისა და ტარებისათვის, რაც ემყარება მხოლოდ ლ. მ-შვილის ჩხრეკის ოქმის მონაცემებსა და ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღის შესამოწმებლად ჩატარებული ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნას. მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებული ლ. მ-შვილი დაკავების მომენტიდან უარყოფდა აღნიშნული დანაშაულის ჩადენას და აცხადებდა, რომ ცეცხლსასროლი იარაღი მას პოლიციის თანამშრომლებმა მიუგდეს, საქმის არც წინასწარი გამოძიების სტადიაზე, არც პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას და არც სააპელაციო სასამართლოში გულდასმით არ შემოწმებულა ლ. მ-შვილის დაკავებასა და მისი ჩხრეკისას ცეცხლსასროლი იარაღის ამოღებასთან დაკავშირებული გარემოებები, ასევე საფუძვლიანად არ გამოკვლეულა ისინი, ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ასევე ლ. მ-შვილის ბრალდების შესახებ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის მიხედვით, მან ქურდობა ჩაიდინა ჯგუფურად, სხვა პირთან ერთად წინასწარი შეთანხმებით. მითითებული ვერსია არ შემოწმებულა, კერძოდ, არ არის გამოკვლეული ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა სარწმუნო დასკვნის გაკეთება - ლ. მ-შვილმა ქურდობა ჩაიდინა სხვა პირთან ერთად წინასწარი შეთანხმებით, თუ ეს დანაშაული მან ჩაიდინა ერთპიროვნულად.

ამრიგად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოში ლ. მ-შვილის ბრალდების საქმის განხილვისას დაირღვა სსკ-ის მე-18 მუხლით, მე-19 მუხლის მე-2 ნაწილითა და 496-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები, ასევე დაშვებულ იქნა სსსკ-ის 538-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დარღვევები, რამაც გავლენა მოახდინა საქმის შედეგზე, კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის დადგენის თვალსაზრისით და რაც, თანახმად სსსკ-ის 562-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტისა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილისა, წარმოადგენს განაჩენის გაუქმების საფუძველს.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 თებერვლის განაჩენი ლ. მ-შვილის მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის. შესაბამისად, კასატორის - მსჯავრდებულ ლ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი იმ ნაწილში, რომლითაც ის ითხოვს მის მიმართ

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას გამამართლებელი საფუძვლით, ამ ეტაპზე ვერ დაკმაყოფილდება ზემოთ მითითებული გარემოებების გამო.

სააპელაციო სასამართლოში ლ. მ-შვილის ბრალდების საქმის ხელახლა განხილვისას, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა სრული დაცვით, უნდა მოხდეს საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა, რა დროსაც უნდა გაირკვეს: რა ვითარებაში მოხდა მისი დაკავება და ვის მიერ; რა პირობებში მიმდინარეობდა მისი ჩხრეკა; ჩხრეკის მიმდინარეობისას და ოქმის შედგენისას ლ. მ-შვილმა გამოთქვა თუ არა პრეტენზია ჩხრეკის შედეგებზე, ხოლო მის მიმართ წარდგენილი ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვის ბრალდებასთან დაკავშირებით უნდა გაირკვეს ასევე - სად და რა ვითარებაში ინახავდა ლ. მ-შვილი ცეცხლსასროლ იარაღს. გარდა ამისა, უნდა გაირკვეს ასევე ქურდობის ჯგუფთან ერთად ჩადენის თაობაზე მის მიმართ წარდგენილი ბრალდების საფუძვლიანობა, კერძოდ, რა კონკრეტული მტკიცებულებებით დგინდება აღნიშნული ფაქტი, რადგან ბრალდება არ შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ ვარაუდს - ბრალეული პირი ფიზიკურად შეძლებდა თუ არა დანაშაულის საგნის გადაადგილებას, როდესაც არ არის გამორიცხული მისი მხრიდან საამისოდ რაიმე დამხმარე საშუალების გამოყენების შესაძლებლობა.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას აუცილებელია სრულად იქნეს დაცული მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები, ხოლო კანონიერი გზით მოპოვებული მტკიცებულებები შეფასდეს ერთობლივად, როგორც მათი უტყუარობის, ისე - საკმარისობის თვალსაზრისით, რათა ლ. მ-შვილის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის თაობაზე გამოტანილ იქნეს კანონიერი და დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ლ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 თებერვლის განაჩენი ლ. მ-შვილის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

7. მარცვა

განჩინება

#2046-აპ

25 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

ზ. მეიშვილი,

მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ქ-იას დამცველის, ადვოკატ ჯ. ტ-ავას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 30 აპრილის განაჩენით გ. ქ-ია ამჟამად პატიმრობაში მყოფი, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის 178-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ», «გ» და «დ» ქვეპუნქტების (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, ხოლო სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით.

სს-ის 59-ე მუხლის საფუძველზე დადგენილი სასჯელები შეიკრიბა და გ. ქ-იას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით.

განაჩენის მიხედვით, გ. ქ-იას მსჯავრი დაედო ისეთი დანაშაულისათვის, როგორცაა მარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი არაერთგზის, ისეთი ძალადობით, რომელიც არ არის საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის და

რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ასევე, სხვისი ნივთის დაზიანებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

განაჩენის მიხედვით, გ. ქ-იას მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 26 იანვარს, დაახლოებით 18.00 საათზე, გ. ქ-ია გამოძიებით დაუდგენელ ორ პირთან ერთად იმყოფებოდა თბილისში, მოსკოვის გამზირზე მდებარე სასტუმრო «განთიადის» მიმდებარე ტერიტორიაზე, რა დროსაც ქუჩაში შეხვდა მეგობარი ბ. კ-ია და ამ უკანასკნელის ნაცნობი დ. ს-ია. ბ. კ-იამ იგი, თავის თანმხლებ პირთან ერთად, საქეიფოდ დაპატიჟა მოსკოვის გამზირზე არსებულ რესტორან «იმერეთში», რაზედაც გ. ქ-იამ მას თანხმობა განუცხადა. ამის შემდეგ ბ. კ-იამ დაურეკა თავის ნაცნობ მ. ყ-იანს, რომელსაც სთხოვა, რომ რომელიმე მეგობარ გოგონასთან ერთად მისულიყო რესტორანში. ბ. კ-ია, დ. ს-ია, გ. ქ-ია და მასთან ერთად მყოფი გამოძიებით დაუდგენელი ორი პირი, მ. ყ-იანი, ხ. ბ-შვილი და მ. გ-იანი მივიდნენ მოსკოვის გამზირზე არსებულ რესტორან «იმერეთში», სადაც მიიღეს ალკოჰოლური სასმელები. დაახლოებით 04.00 საათზე, სუფრასთან მჯდომმა გ. ქ-იამ, როდესაც ხ. ბ-შვილი და სხვა პირები ცეკვავდნენ, გადაწყვიტა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაუფლებოდა ხ. ბ-შვილის ქონებას. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად აიღო ხ. ბ-შვილის სკამზე გადაკიდებული ხელჩანთა, საიდანაც ამოიღო საფულე, რომელშიც მფლობელი ინახავდა ფულად თანხას - 220 ლარის ოდენობით. ამასთან, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით აიღო მაგიდაზე დადებული, ხ. ბ-შვილის კუთვნილი «მოტოროლას» ფირმის, «ჩ-3590» მოდელის მობილური ტელეფონი, ღირებული 200 ლარად. ამის შემდეგ გ. ქ-ია შეეცადა შემთხვევის ადგილიდან მიმალვას და იგი სწრაფი ნაბიჯით გაემართა შენობის გასასვლელისაკენ. მისი დანაშაულებრივი ქმედება შენიშნა დაზარალებულმა ხ. ბ-შვილმა, რომელმაც მოსთხოვა გ. ქ-იას დაებრუნებინა ფული და მობილური ტელეფონი, რაზედაც ამ უკანასკნელმა განუცხადა, რომ მასთან ღამის გატარების შემთხვევაში დაუბრუნებდა ნივთებს. ამ წინადადებას ხ. ბ-შვილი არ დაეთანხმა და კვლავ მოსთხოვა ნივთების დაბრუნება, რაზედაც გ. ქ-იამ მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიშალა, რითაც დაზარალებულ ხ. ბ-შვილს მიაყენა 420 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. როდესაც გ. ქ-ია აშკარად მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა ხ. ბ-შვილის ქონებას, მან თავის მეგობარ მ. გ-იანს სთხოვა «მოტოროლას» ფირმის მობილური ტელეფონი, ღირებული 200 ლარად, და აპირებდა დაზარალებისათვის მეგობართან დარეკვას. გ. ქ-იამ, შეიტყო რა მისი განზრახვის შესახებ, ხელიდან გამოსტაცა ხ. ბ-შვილი მ. გ-იანის კუთვნილი მობილური ტელეფონი, დაანარცხა იატაკზე, რის შედეგადაც ტელეფონი დაინტერა ისე, რომ მისი აღდგენა შეუძლებელი გახდა. აღნიშნული ქმედებით გ. ქ-იამ მ. გ-იანს მიაყენა 200 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. ქ-იას დამცველმა, ადვოკატმა რ. ნ-მემ. საჩივრით აპელანტი ითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას იმ მოტივით, რომ განაჩენი არ ემყარება უტყუარ მტკიცებულებებს, იგი აგებულია დაზარალებულთა წინააღმდეგობრივ ჩვენებებზე, ამასთან, საქმეში არსებობს მიუკერძოებელ მოწმეთა ჩვენებები, რომლებითაც არ დასტურდება გ. ქ-იას მიერ განაჩენით მისთვის შერაცხული ქმედების ჩადენა და რომლებსაც სასამართლომ არ მისცა სათანადო შეფასება, რის გამოც განაჩენი არის უკანონო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 30 მარტის განაჩენი მსჯავრდებულ გ. ქ-იას მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ გ. ქ-იას დამცველმა, ადვოკატმა ჯ. ტ-ავამ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ოქტომბრის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და გ. ქ-იას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმავე მოტივების საფუძველზე, რაც კასატორს წინათ მითითებული ჰქონდა ამავე საქმეზე შეტანილ სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ გ. ქ-იას მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალების ანალიზი მიუთითებს იმაზე, რომ გ. ქ-იას ბრალდების საქმის განხილვისას და ამ საქმეზე განაჩენის დადგენისას სააპელაციო სასამართლომ არ დაიცვა საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლითა და მე-19 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი მოთხოვნები. საკასაციო პალატას მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას და მათი შეფასებისას საქმეში არსებული მტკიცებულებები არ არის განხილული და შეფასებული ერთობლიობაში, მათი საკმარისობისა და უტყუარობის თვალსაზრისით. განაჩენში არ არის მოცემული საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური ანალიზი, რამაც საბოლოოდ განაპირობა სა-მართლებრივად არასწორი დასკვნების გამოტანა მსჯავრდებულ გ. ქ-იას მიერ ჩადენილი ქმედების

კვალიფიკაციის დადგენისას. ცალკეულ, არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებით სასამართლო ეყრდნობა დაზარალებულისა და მოწმეების წინააღმდეგობრივ ჩვენებებს. აქ, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაშია გ. ქ-ის მიმართ შერაცხული ბრალდება დაზარალებულ მ. გ-იანის კუთვნილი ნივთის - «მოტოროლას» ფირმის მობილური ტელეფონის დაზიანების თაობაზე. თვით დაზარალებულ მ. გ-იანის ჩვენების მიხედვით, აღნიშნული ნივთი გ. ქ-იამ ხელიდან გამოგლიჯა დაზარალებულ ხ. ბ-შვილს და იატაკზე დაანარცხა, რის შედეგადაც იგი დაიმსხვრა. ხ. ბ-შვილის ჩვენების მიხედვით კი მან აღნიშნული მობილური ტელეფონი დაუბრუნა მის მფლობელს - მ. გ-იანს და გ. ქ-იამ სწორად მას გამოგლიჯა ხელიდან და იატაკზე დაანარცხა. შემთხვევის შემსწრე მოწმეების ჩვენებების მიხედვით კი მობილური ტელეფონი იატაკზე დაანარცხა და დაამსხვრია დაზარალებულმა ხ. ბ-შვილმა, რომელიც იმყოფებოდა მთვრალ მდგომარეობაში. სხვა ჩვენებების მიხედვით ტელეფონი იატაკზე დავარდა დაზარალებულ ხ. ბ-შვილსა და მსჯავრდებულ გ. ქ-ის შორის გამართული ურთიერთმიტევილობისას. ამდენად, საქმეში არსებული ამ მტკიცებულებებით სარწმუნოდ ვერ დგინდება, ნამდვილად გ. ქ-იამ დააზიანა თუ არა დაზარალებულ მ. გ-იანის კუთვნილი მობილური ტელეფონი, რის გამოც ბრალდების ამ ნაწილში სასამართლოს დაუდასტურებელი ექვი უნდა გადაეწყვიტა მსჯავრდებულ გ. ქ-ის სასარგებლოდ.

უნდა აღნიშნოს ასევე ბრალდების იმ ნაწილის თაობაზე, რომლის მიხედვით, გ. ქ-იამ დაზარალებულ ხ. ბ-შვილის ჩანთიდან ამოიღო და მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრა ამ უკანასკნელის კუთვნილი თანხა - 220 ლარის ოდენობით. აღნიშნულ ნაწილში ბრალდება და გამამტყუნებელი განაჩენი ეყრდნობა მხოლოდ დაზარალებულ ხ. ბ-შვილის ჩვენებას, რომელიც მან მისცა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას. ამ ჩვენების მიხედვით, სუფრის წევრები ცეკვავდნენ, მხოლოდ გ. ქ-ია იჯდა მაგიდასთან. როდესაც ის და დაზარალებული მ. გ-იანი ტუალეტიდან გამოდიოდნენ, დაინახა, რომ მისი ტელეფონი ხელში ეჭირა გ. ქ-ისა და მის ჩანთას «ეფათურებოდა». იგი მივიდა გ. ქ-იასთან და მოსთხოვა თავისი ნივთების დაბრუნება, გ. ქ-ია კი აგრესიაზე გადავიდა და უპასუხა - «მე მაქვს და არ დაგიბრუნებო», რასაც მოჰყვა მათ შორის კონფლიქტი, მაგრამ სუფრის წევრებმა ისინი გააშველეს, რის შემდეგაც დაიშალნენ.

იმავე ჩვენებაში დაზარალებული ხ. ბ-შვილი აღნიშნავს, რომ გ. ქ-იასგან თავისი ნივთების უკან დაბრუნების მოთხოვნას, რა დროსაც გ. ქ-იამ მისი ჩანთა დააბრუნა, ხოლო მას უთხრა - «მე მაქვს და არ დაგიბრუნებო», ესწრებოდა დაზარალებული მ. გ-იანიც. თანხა იქნებოდა 200 ლარამდე. მისივე განმარტებით, მის გარდა ჩანთიდან ფულის ამოღება დაინახა დაზარალებულმა მ. გ-იანმა, რომელმაც თვითონაც უთხრა მას, რომ დაინახა ეს მომენტი, რა დროსაც მან უპასუხა, რომ ფული ჰქონდა 200 ლარამდე.

აღნიშნული ჩვენების მიცემისას ხ. ბ-შვილმა მსჯავრდებულის შეკითხვაზე უპასუხა: «ფული შენს ხელში არ დამინახავს, მე რომ მოვედი, ტელეფონი ჯიბეში ჩაიდე და ჩანთა დააბრუნე ადგილზე».

საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ ზემოხსენებულ ფულად თანხასთან დაკავშირებით დაზარალებული მ. გ-იანი არც წინასწარი გამოძიების სტადიაზე მიცემულ ჩვენებაში და არც სასამართლოში მიცემულ ჩვენებაში არ ადასტურებს, რომ მან დაინახა გ. ქ-ის მიერ ხსენებული თანხის ხ. ბ-შვილის ჩანთიდან ამოღება; იგი არც იმას ადასტურებს, რომ ხ. ბ-შვილი გ. ქ-იასგან ფულის დაბრუნებას მოითხოვდა, უფრო მეტიც, მ. გ-იანი თავის ჩვენებაში აზუსტებს, რომ იმ სადამოს არანაირ ფულზე არ ყოფილა საუბარი. შემთხვევის ადგილზე მყოფი სხვა მოწმეების ჩვენებებითაც არ დასტურდება, რომ იმ სადამოს დაზარალებულმა ხ. ბ-შვილმა ფული დაკარგა და ამ ფულის დაბრუნებას გ. ქ-იასგან ითხოვდა.

მითითებული გარემოებები იმაზე მიუთითებს, რომ საქმის მასალებით არ არის უტყუარად დადასტურებული, რომ დაზარალებულ ხ. ბ-შვილს მომხდარი შემთხვევის დროს მართლა ჰქონდა იმ რაოდენობის ფული, რასაც იგი თავის ჩვენებაში აღნიშნავს და რომ ეს ფული ხ. ბ-შვილის ჩანთიდან ნამდვილად გ. ქ-იამ ამოიღო. ამ ვერსიის დასადასტურებლად მხოლოდ დაზარალებულ ხ. ბ-შვილის ჩვენება ვერ ჩაითვლება საკმარის მტკიცებულებად, რის გამოც ბრალდების ეს ნაწილი სააკპელაციო სასამართლოს უნდა მოეხსნა.

გარდა აღნიშნულისა, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩვრებული განაჩენით არამართებული სამართლებრივი შეფასება მიეცა მსჯავრდებულ გ. ქ-ის მიერ ჩადენილ ქმედებას ბრალდების სხვა ნაწილშიც, კერძოდ, მხედველობაშია გ. ქ-ის მიმართ შერაცხული ბრალდება მის მიერ მარცხის ჩადენის თაობაზე. დაზარალებული ხ. ბ-შვილისა და მ. გ-იანის ჩვენებებით დასტურდება ის გარემოება, რომ გ. ქ-იამ მაგიდიდან ნამდვილად აიღო ხ. ბ-შვილის კუთვნილი მობილური ტელეფონი, რის შემდეგაც, დაზარალებულ ხ. ბ-შვილის კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, იგი არ დააბრუნა. არც საბრალდებო დასკვნით და არც განაჩენით არ არის დადგენილი შემდეგი გარემოება: როდესაც ხ. ბ-შვილმა და მ. გ-იანმა დაინახეს, როგორ აიღო გ. ქ-იამ ტელეფონი მაგიდიდან, ამ მომენტში გ. ქ-იამ შეამჩნია თუ არა, რომ დაზარალებული მას უყურებდა, ანუ სხვაგვარად - იგი ხსენებულ მობილურ ტელეფონს, მისი წარმოდგენით, ფარულად დაეუფლა, თუ - აშკარად, რასაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს მისი ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის. აქ გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის გარემოება, რომ მოწმეთა ჩვენებების მიხედვით, მაშინვე ჩატარდა ურთიერთშემოწმება (ჩხრეკა), მაგრამ ტელეფონი ვერ იქნა ნაპოვნი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დაუფლების შემდეგ გ. ქ-იამ მოასწრო ნივთის განკარგვა თავისი შეხედულებისამებრ, ე.ი. გ. ქ-იამ თავისი ქმედება -

მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ხ. ბ-შვილის კუთვნილი ნივთის - მობილური ტელეფონის დაუფლება - დაასრულა, ხოლო ეს ქმედება უნდა შეფასდეს როგორც ფარული დაუფლება, რადგან საქმის მასალებით მისი საწინააღმდეგო არ არის დადასტურებული. ის გარემოება, რომ შემდეგ გ. ქ-იამ არ დააბრუნა ნაქურდალი ნივთი, არ წარმოადგენს საფუძველს მის მიერ უკვე ჩადენილი ქმედების მარცვად შეფასებისათვის, რადგან, მოცემულ შემთხვევაში, არ მომხდარა ქურდობის მარცვაში გადაზრდა იმის გათვალისწინებით, რომ, როდესაც ხ. ბ-შვილმა ზემოხსენებული ნივთის უკან დაბრუნება მოითხოვა, ქურდობა უკვე მთლიანად დასრულებული იყო. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს გარემოება, როგორც ფაქტობრივი მხარე დანაშაულისა, საქმის მასალებით დადგენილია, რასაც უნდა მიეცეს ადეკვატური სამართლებრივი შეფასება. ამასთან ერთად აღსანიშნავია შემდეგი: საქმის მასალებით არ არის სარწმუნოდ დადგენილი, რა ღირებულების იყო ხ. ბ-შვილის კუთვნილი მობილური ტელეფონის აპარატი და, მაშასადამე, მისთვის მიყენებული ზიანი იყო თუ არა მნიშვნელოვანი. მართალია, თვით ხ. ბ-შვილი თავის ჩვენებაში აღნიშნავს, რომ ხსენებული ტელეფონის აპარატი 200 ლარად ჰქონდა შეძენილი, მაგრამ დადგენილი არ არის, როდის შეიძინა აღნიშნული ტელეფონის აპარატი, როგორი იყო მისი ცვეთის ხარისხი და, ამასთანავე, არ არის იგი შეფასებული - თუ დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის რამდენს შეადგენდა მისი რეალური ღირებულება. საყურადღებოა, რომ დაზარალებული მ. გ-იანი თავის ჩვენებაში ამბობს, რომ ხ. ბ-შვილმა კონფლიქტის დაწყებამდე თქვა - «ტელეფონი სულ 80 ლარი ღირდა, მაგრამ არ შევარჩენო». ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ არ არსებობს სარწმუნო საფუძველი ვარაუდისათვის, რომ გ. ქ-იამ თავისი ქმედებით დაზარალებულ ხ. ბ-შვილს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მსჯავრდებულის ქმედების კვალიფიკაციის დროს, კერძოდ, მას უნდა მოეხსნას ბრალდების ეს ნაწილი.

ბრალდების სხვა ნაწილში მსჯავრდებულ გ. ქ-იას მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაცია, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ», «გ», «დ» ქვეპუნქტებით, უნდა შეიცვალოს და ამ ნაწილში მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) როგორც ქურდობა, ჩადენილი არაერთგზის.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულ გ. ქ-იას არ ჩაუდენია დანაშაული და მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, ვინაიდან საქმეში სარწმუნო მტკიცებულებების სახით არსებობს ორი დაზარალებულის - ხ. ბ-შვილისა და მ. გ-იანის ჩვენებები, რომლებიც სრულიად თანმიმდევრულად ადასტურებენ, რომ მომხდარი შემთხვევის დროს დაზარალებულ ხ. ბ-შვილს ნამდვილად ჰქონდა მობილური ტელეფონი და ეს ნივთი ნამდვილად აიღო მაგიდიდან მსჯავრდებულმა გ. ქ-იამ, რომელიც შემდეგ უკან აღარ დაუბრუნა მის კანონიერ მფლობელს. აღნიშნული გარემოება დაცვის მხარის მიერ მოხმობილი არგუმენტებით ვერ იქნება გაბათილებული, რადგან მათ არ გააჩნიათ რეალური და დამაჯერებელი საფუძველი, რის გამოც საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და ხასიათის, ასევე თვით მსჯავრდებულის პიროვნების მახასიათებლების გათვალისწინებით, მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის მსჯავრდებულ გ. ქ-იას სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ოქტომბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები მსჯავრდებულ გ. ქ-იას მიმართ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ გ. ქ-იას დამცველის, ადვოკატ ჯ. ტ-ავას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილებები: მსჯავრდებულ გ. ქ-იას მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შერაცხული ბრალდება, აგრეთვე მასვე მოეხსნას ბრალდება მკვალიფიცირებულ გარემოებებში დაზარალებულ ხ. ბ-შვილის კუთვნილი თანხის - 220 ლარის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით აშკარად დაუფლებისა და მობილური ტელეფონის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებით დაზარალებულ ხ. ბ-შვილისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების თაობაზე, შესაბამისად, ბრალდების ამ ნაწილში მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. იმავე განაჩენში მსჯავრდებულ გ. ქ-იას ქმედება საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «გ», «დ» ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ»

ქვეპუნქტზე (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) და ამ დანაშაულისათვის მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მარცვა

განჩინება

#1600-აპ

30 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ხ. ლ-ელის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხ. ლ-ელი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 6 მარტის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა» ქვეპუნქტის საფუძველზე, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ ხ. ლ-ელს სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით, რომლის მოხდის ვადაში ჩაეთვალა წინა მსჯავრდებამდე წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო - 2 თვე და 12 დღე. მას სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2007 წლის 9 იანვრიდან.

განაჩენით ხ. ლ-ელს მსჯავრი დაედო ყაჩაღობისათვის, ჩადენილი არაერთგზის, რაც გამოიხატა შემდეგში: 2006 წლის 14 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ხ. ლ-ელი ცნო დამნაშავედ სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე და მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით ჩაეთვალა პირობით, ხოლო გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 4 წელი. მიუხედავად ამისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა დანაშაული: 2007 წლის 9 იანვარს ხ. ლ-ელმა განიზრახა რომელიმე მოქალაქეს ყაჩაღურად თავს დასხმოდა და ასეთი გზით სხვის კუთვნილ თანხას მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდა. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იმავე დღეს, დაახლოებით 23.00 საათზე, ხ. ლ-ელმა ვარკეთილის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე გააჩერა მოქალაქე ა. გ-იანის მფლობელობაში არსებული ავტომანქანა ტაქსი „ოპელ-ომეგას» მოდელი და მძღოლს გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ წერეთლის გამზირზე წაყვანაზე შეუთანხმდა. მის მიერ მითითებულ ადგილზე მისვლის შემდეგ ხ. ლ-ელმა სთხოვა ა. გ-იანს უკან - ვაზისუბანში წაყვანა, რაზედაც ეს უკანასკნელი დასაწყობდა და იგი ... მე-3 მ/რაიონის, მე-2 კვარტლის მე-8 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე მიიყვანა, რა დროსაც ხ. ლ-ელმა ა. გ-იანს ფულადი თანხა აგრესიული ტონით მოსთხოვა. პარალელურად მან შარვლის მარჯვენა საქმრე ადგილას წაივლო ხელი, რომ იარაღის თანქონის იმიტაცია შეექმნა. ამის გამო დაზარალებულმა მუქარა რეალურად აღიქვა, ჩათვალა, რომ მოთხოვნის შეუსრულებლობას შეიძლება ხ. ლ-ელის მხრიდან მისი სიცოცხლის მოსპობა ან ჯანმრთელობის ხელყოფა მოჰყოლოდა. აღნიშნულის თავიდან აცილების მიზნით ა. გ-იანი იძულებული გახდა, ხ. ლ-ელისათვის გადაეცა თანხა - 23 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ხ. ლ-ელის დამცველმა, ადვოკატმა ნ. ო-შვილმა. აპელანტი აღნიშნავდა, რომ მსჯავრდებულ ხ. ლ-ელს დაზარალებულისათვის ფული არ მოუთხოვია, მისი მხრივ არც რაიმე მუქარას ჰქონია ადგილი. ადვოკატის შეფასებით, დაზარალებულის ჩვენებით ხ. ლ-ელის ბრალეულობა არ დასტურდება, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ემყარება მხოლოდ პოლიციელების ჩვენებებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულის ადვოკატმა მოითხოვა ხ. ლ-ელის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

სააპელაციო საჩივარი განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2007 წლის 17 ივლისის განაჩენით არ დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 6 მარტის განაჩენი მსჯავრდებულ ხ. ლ-ელის მიმართ დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ხ. ლ-ელმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას, რომლითაც, იმავე მოტივების საფუძველზე, რაც მითითებული იყო სააპელაციო საჩივარში, ითხოვს გასაჩივრებული

განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ მას არ ჩაუდენია აღნიშნული განაჩენით მისთვის შერაცხული დანაშაული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ხ. ლ-ელის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ეყრდნობა დაზარალებულ ა. გ-იანისა და მოწმეების (პოლიციის თანამშრომლების): პ. გ-შვილისა და გ. კ-იას ჩვენებებს. დაზარალებულის ჩვენების მიხედვით, როდესაც ხ. ლ-ელმა ავტომანქანა გააჩერებინა, მან მბრძანებლური ტონით მოსთხოვა ფულადი თანხის მისთვის გადაცემა, თან იმ მომენტში ხელი მარჯვენა მხარეს, საქამრისკენ წაიღო, რაც მან აღიქვა საშიშ მუქარად, რადგან გაგონილი ჰქონდა, რომ ღამის საათებში ხშირად ხდებოდა ტაქსის მძღოლების დაყარება და მათი სიცოცხლის ხელყოფა. მისივე ჩვენებით, ხ. ლ-ელმა მას წაართვა 23 ლარი, რა დროსაც მათთან მივიდნენ პოლიციის თანამშრომლები, რომლებმაც ხ. ლ-ელი დააკავეს მისი განცხადების საფუძველზე.

მოწმეების: პ. გ-შვილისა და გ. კ-იას ჩვენებების მიხედვით, შემთხვევის ადგილზე მათ შენიშნეს საექვო მდგარი ავტომანქანა. როდესაც აღნიშნულ ავტომანქანას მიუახლოვდნენ, შენიშნეს, რომ ხ. ლ-ელმა ხელის მოძრაობით ფული სიჩქარის კოლოფთან დაყარა, ხოლო ავტომანქანის მძღოლმა ა. გ-იანმა მათ განუცხადა, რომ ხ. ლ-ელი მას აყარა და.

დაზარალებულისა და მოწმეების ჩვენებების გარდა საქმეში არსებობს საპროცესო დოკუმენტები თანხის ამოღებისა და ნივთმტკიცებად ცნობის შესახებ.

თვითონ მსჯავრდებული ხ. ლ-ელი უარყოფს მის მიერ დანაშაულის ჩადენას.

აღნიშნული მტკიცებულებებით ვერ დასტურდება ის ფაქტი, რომ ფულის მოთხოვნის დროს ხ. ლ-ელმა დაზარალებულ ა. გ-იანის მიმართ განახორციელა სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა, ანდა ასეთი ძალადობის მკაფიოდ გამოკვეთილი მუქარა. მოცემულ შემთხვევაში განაჩენი ეყრდნობა დაზარალებულის წარმოდგენას შესაძლო ძალადობის თაობაზე. მართალია, ქმედების ყაჩაღობად დაკვალიფიცირებისათვის ზოგიერთ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა აქვს დაზარალებულის მიერ დამნაშავეს მხრიდან განხორციელებული მუქარის რეალობად აღქმას, მაგრამ განხილულ შემთხვევაში არ ყოფილა აშკარად გამოხატული რაიმე ძალადობის გამოყენების მუქარა, ხოლო დაზარალებულმა ხ. ლ-ელის მიერ შესრულებული ხელის მოძრაობა მისგან ფულის მოთხოვნისას გადაჭარბებით და გაზვიადებულად შეაფასა ძალადობის მუქარად, რის გამოც მან თავისი ფულადი თანხა გადასცა ხ. ლ-ელს, ამასთან, ამ უკანასკნელმა იცოდა, რომ აშკარად ეუფლებოდა სხვის კუთვნილ ფულს და სურდა ამ ფულის მისაკუთრება, რასაც კიდევ მიაღწია.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ ხ. ლ-ელის მიმართ განაჩენის დადგენისას არ დაიცვა სსსკ-ის მე-18 და მე-19 მუხლებით დაცული მოთხოვნები, რამაც გავლენა მოახდინა საქმის შედეგზე, ამასთან, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რაც მოცემულ შემთხვევაში, თანახმად სსსკ-ის 562-ე-564-ე მუხლებისა, განაჩენის შეცვლის საფუძველია.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მსჯავრდებულ ხ. ლ-ელის ქმედება სსსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს სსსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე და იგი უნდა შეფასდეს როგორც ძარცვა, ჩადენილი არაერთგზის.

აღნიშნული დანაშაულისათვის მსჯავრდებულ ხ. ლ-ელს, ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და მისი პიროვნების გათვალისწინებით, სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, რასაც უნდა დაემატოს წინა განაჩენით მის მიმართ დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის, 9 თვისა და 18 დღის ვადით, რის გამოც ხ. ლ-ელს საბოლოო სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 9 წლის, 9 თვისა და 18 დღის ვადით, იქიდან გამომდინარე, რომ მის მიმართ წინა განაჩენის გამოტანამდე, რომლითაც მას სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობით, იგი წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა 2 თვისა და 12 დღის განმავლობაში.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორ ხ. ლ-ელის მოთხოვნას მისი გამართლების თაობაზე, რადგან მისი პოზიცია არ დასტურდება სარწმუნო ფაქტობრივი მონაცემებით და მოკლებულია რეალურ საფუძველს, რის გამოც მისი საკასაციო საჩივარი ვერ დაკმაყოფილდება.

საკასაციო პალატის დასკვნით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 ივლისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები მსჯავრდებულ ხ. ლ-ელის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ხ. ლ-ელის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 ივლისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ხ. ლ-ელის ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა» ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტზე და ამ დანაშაულისათვის მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, რასაც დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის, 9 თვის, 18 დღის ვადით და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 9 წლის, 9 თვისა და 18 დღის ვადით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.